საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№26 (402)
12 - 18 ივლისი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ნეოლიბერალური ენურეზი და არარსებული ქსენოფობია 10

## პუტინისა და ტრამპის შეხვედრა — რა უნდა გაითვალისწინოს საქართველომ 4



## ცივი ომი თუ ცხელი მშვიდობა? 2

## 14 ივლისს გამოჩნდება, რანი ვართ, რანი ვიქნებით 3

## ყველანი «ქართველთა მარშზე»!

## «შეშფოთებული» კურატორები და კუდამოძუებული «პატრიოტები» 6



## ქართულ მიწას მეზობლებს კანონით ვუმტკიცებთ, საკუთარ თავს კი — იმას, რომ ეს კარგია 7

«მეზობელ სომხეთს ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსსა და არჯის ნაციონალურ ტყე-პარკს ვუთმობთ»

## «მაქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობის დასაკანონებლად ემზადება» 8

## «ნაცბანდა» კიდევ რომ ბოგინობს ამ ქვეყანაში, ეს ბიძინა ივანიშვილის სინდისზეა» 5

## ვასილიჩის ქუდი, ანუ ქართულ-ყირგიზული პარალელები 12



ზურაბ კვარაცხელია: 9

## ლაზური ენის მსგავსად, მეგრულსაც ემუქრება გაქრობის საფრთხე



## რატომ არ შესწევთ უნარი პრეზიდენტებსა და მინისტრებს, იაზროვნონ რაციონალურად და სტრატეგიულად? 16



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აგვისტოს ომის შემდეგ ორი მთავარი მოთამაშე სამხრეთ კავკასიაში აღმოჩნდა სიტუაციაში, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „პოზიციური ჩიხი“. რუსეთი და აშშ ბლოკავდნენ ერთმანეთს, რითაც შედარებით სუსტმა მოთამაშეებმა ისარგებლეს. თუ აშშ-ისა და რუსეთის მდგომარეობის მხრივ სამხრეთ კავკასიაში ბოლო წლებში არსებითად არაფერი შეცვლილა, ევროკავშირმა და ჩინეთმა საქართველოში გავლენის სფეროები მნიშვნელოვნად გააფართოვეს.**

# ცივი ომი თუ ცხელი მშვიდობა?

**7 ივლისს ჰამბურგში, სადაც „დიდი ოცეულის“ სამიტი ჩატარდა, ერთმანეთს აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტები შეხვდნენ. პუტინისა და ტრამპის საუბართან დაკავშირებით არაერთი კომენტარი გაკეთდა, მათ შორის საქართველოში, რადგან მიჩნეული იყო, რომ ორი ლიდერი ოდნავ მაინც გაფანტავს იმ საშიშ ბუნდოვანებას, რომელიც გლობალურ პოლიტიკაში სუფევს.**

ეს შეხვედრა „დიდი ოცეულის“ ფორმატს დაუკავშირდა, რომელიც იმთავითვე ანტიკრიზისული იყო. ის 90-იანების ბოლოს შეიქმნა, როდესაც მსოფლიო აზიის ფინანსური კრიზისის ნეგატიური შედეგების მინიმიზაციას ცდილობდა. ზოგიერთმა კომენტატორმა ეს გაიხსენა კიდეც და გამოთქვა იმედი, რომ რუსულ-ამერიკულ შეხვედრას ანტიკრიზისული ხასიათი ექნება, თუმცა მათი ოპტიმიზმი გადაჭარბებული აღმოჩნდა.

ჰამბურგში ჩასვლამდე დონალდ ტრამპი სიტყვით გამოვიდა ვარშავაში გამართულ „სამი ზღვის ინიციატივის“ სამიტზე. ეს ფორმატი აღმოსავლეთ ევროპის 12 სახელმწიფოს აერთიანებს — პოლონეთს, უნგრეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთს, რუმინეთს, ბულგარეთს, ლიტვას, ესტონეთს, ლატვიას, სლოვენიას, ხორვატიას და ავსტრიას. ახალი გაერთიანების მთავარი სულის ჩამდგმელი პოლონეთის ხელისუფლებაა, აქტიურობით, აგრეთვე, ხორვატები გამოირჩევიან. ხორვატიის პრეზიდენტ **კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩის** თქმით, მისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საკვანძო ელემენტი რუსულ გაზზე ევროპის დამოკიდებულების შემცირებაა. ხორვატია უკვე ავითარებს ორ მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც ამ პოლიტიკას ამყარებს — თხევადი გაზის ტერმინალსა და ახალ ადრიატიკულ გაზსადენს. პოლონელები, თავის მხრივ, ზრდიან თავისი ტერმინალის შესაძლებლობებს ბალტიის ზღვაზე (ჩამოთვლილ 12 ქვეყანას 40 მილიარდი კუბმეტრი გაზი სჭირდება, ზემოთ ნახსენებ ტერმინალებს კი მაქსიმუმ 10 მილიარდის გატარება შეუძლია). იგულისხმება, რომ ეს და სხვა ახალი ტერმინალები „ახალი ევროპის“ ჩრდილოეთსა და სამხრეთში ძირეულად შეცვლის სიტუციას რეგიონის ენერგომომარაგებაში.

**თხევადი გაზის აქტიური ექსპორტი ტრამპის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მისი სტრატეგია ითვალისწინებს ევროპის ტრადიციული ან პოტენციური მომმარაგებლების იზოლაციას და, შესაძლოა, სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ პრობლემები, რომლებიც ბოლო დროს აშშ-ის მიმართ ტრადიციულად ლოიალურ ყატარს შეექმნა, რუსეთსა და ირანზე რომ არაფერი ვთქვათ.**

„სამი ზღვის ინიციატივის“ პირველ სამიტში, რომელიც ხორვატიაში გასული წლის სექტემბერში ჩატარდა, მონაწილეობა, ჩამოთვლილი ქვეყნების გარდა, ალბანეთმა, მაკედონიამ, ჩერნოგორიამ, კოსოვომ, თურქეთმა, აგრეთვე, აშშ-მა და ჩინეთმა მიიღეს. ყველაზე მოკლედ და გასაგებად ამერიკული სტრატეგიის არსი მაშინ ევროპაში ნატოს ჯარების ყოფილმა სარდალმა ჯეიმს ჯონსმა ჩამოაყალიბა, რომელმაც თქვა, რომ რუსეთის ხელისუფლება იყენებს ენერგეტიკულ რესურსებს, როგორც ბერკეტს ევროპაზე ზემოქმედებისთვის, ამიტომ ევროპის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ენერგეტიკული ინტეგრაცია, „სამი ზღვის ინიციატივის“ ფარგლებში მოწინააღმდეგეს მისივე იარაღით დაამარცხებს.

„სამი ზღვის ინიციატივა“ არა მხოლოდ ენერგეტიკული პლატფორმაა, არამედ გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მქონე, ერთგვარი გამყოფი ზღუდე რუსეთსა და „ძველი ევროპის“ ქვეყნებს შორის. მისი პერსპექტივები უნდა განიხილებოდეს ერთ კონტექსტში აღმოსავლეთ ევროპაში აშშ-ისა და ნატოს სხვა ქვეყნების შესაძლებლობების გაძლიერებასთან. ვარშავაში ტრამპის ვიზიტის დროს ხელი მოეწერა თითქმის 8 მილიარდი დოლარის მოცულობის შეთანხმებას პოლონეთისთვის „პეტრიოტის“ ტიპის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების მიწოდებაზე. გუშინ კი უნგრეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე დაიწყო მასშტაბური წვრთნა „სეიბრ გარდიან 2017“, რომელშიც მონაწილეობდა 25 ათასი სამხედრო 22 ქვეყნიდან, მათ შორის — ქართული ასეული.

**ვარშავაში ტრამპმა ისეთი განცხადებები გააკეთა, რომლებმაც გაფანტა ყოველგვარი ილუზია ახალ „გადატვირთვის“ შესაძლებლობაზე, თუკი ასეთი ჯერ კიდევ არსებობდა. „ჩვენ რუსეთს მოვუწოდებთ, შეწყვიტოს დესტაბილიზაციის გამომწვევი საქმიანობა უკრაინაში და სხვა რეგიონებში, — განაცხადა მან, — რუსეთმა უნდა შეწყვიტოს მტრულად განწყობილი რეჟიმების, მათ შორის სირიისა და ირანის, მხარდაჭერა“.** ამ პრელუდიამ პუტინთან შეხვედრის წინ კონფრონტაციული ფონი შექმნა, თუმცა რჩებოდა რამდენიმე საკითხი, რომელთა გადაწყვეტა პროგრესზე საუბრის შესაძლებლობას შექმნიდა. ასეთად კომენტატორები, უპირველესად, განიხილავდნენ თანამშრომლობას სირიის მიმართულებაზე, სადაც „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების შესუსტებამ შექმნა წინაპირობები პოლიტიკური დარეგულირების დაწყებისთვის. აქ მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ოპერატიული და სტრატეგიული საკითხები მანამ, სანამ კრემლი დარწმუნებულია, რომ აშშ მის იზოლირებას ცდილობს, ხოლო მხარეთა პოზიციები უკრაინის კრიზისში აბსოლუტურად განსხვავებულია; ვერანაირი, თუნდაც წარმატებული, კონსულტაციები სირიის (ან, მაგალითად, ჩრდილოეთ კორეის) თაობაზე ვერაფერს შეცვლის.

**საქართველო შორია „ევროპული ფრონტისგან“ და „სამი ზღვის ინიციატივაში“ არ მონაწილეობს, მაგრამ კრემლი მას აშშ-ის პოლიტიკის ერთ-ერთ გამტარებლად განიხილავს, რაზეც ივნისის ბოლოს განცხადება გრიგორი კარასინმა გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დრამატული მოვლენები ამჟამად**



**ფაქტობრივად, საქართველო ცხოვრობს ვულკანზე, რომელიც შეიძლება ნებისმიერ წუთს ამოიფრქვეს, რაც ნამდვილად უშლის ხელს მის მდგრად განვითარებას და შესაბამისი განწყობის გავრცელებას. მარტივად რომ ვთქვათ, ქართველებს მომავლის ეშინიათ, უპირველესად იმიტომ, რომ მას გაცილებით მეტ უარყოფით მოლოდინს უკავშირებენ, ვიდრე დადებითს**

**უკრაინაში ვითარდება, ხოლო საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მოახერხა, შეემცირებინა დაძაბულობა რუსეთთან ურთიერთობებში და ახალი ომის დაწყების ალბათობა, ჩვენი ქვეყანა ვერ ამოვარდება აშშ-რუსეთის ურთიერთობის საერთო ლოგიკიდან; გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ის „ფრონტისპირა სახელმწიფოდ“ რჩება.**

აგვისტოს ომის შემდეგ ორი მთავარი მოთამაშე სამხრეთ კავკასიაში აღმოჩნდა სიტუაციაში, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „პოზიციური ჩიხი“. რუსეთი და აშშ ბლოკავდნენ ერთმანეთს, რითაც შედარებით სუსტმა მოთამაშეებმა ისარგებლეს. თუ აშშ-ისა და რუსეთის მდგომარეობის მხრივ სამხრეთ კავკასიაში ბოლო წლებში არსებითად არაფერი შეცვლილა, ევროკავშირმა და ჩინეთმა საქართველოში გავლენის სფეროები მნიშვნელოვნად გააფართოვეს. ეს არ იყო შესაძლებელთაგან ყველაზე ცუდი ვარიანტი, რაზეც ბრძოლის ველად ქცეული უკრაინის გამოცდილება მიუთითებს. მაგრამ „პოზიციური ჩიხი“ შეუძლებელს ხდიდა, როგორც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტას, ისე უსაფრთხოების მყარი გარანტიების მოპოვებას. რაც მთავარია, ეს იყო (და არის) დროებითი, ტრანზიტული მდგომარეობა, რომელიც აუცილებლად შეიცვლება მას შემდეგ, როდესაც ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშე დასუსტდება, რეგიონის მიმართ ინტერესს დაკარგავს ან ურთიერთობა აშშ-სა და რუსეთს შორის ღია კონფრონტაციაში გადავა (ბოლო დროს ამის არაერთ ნიშანს ვხედავთ). **ფაქტობრივად, საქართველო ცხოვრობს ვულკანზე, რომელიც შეიძლება ნებისმიერ წუთს ამოქმედდეს, რაც ნამდვილად უშლის ხელს მის მდგრად განვითარებას და შესაბამისი განწყობის გავრცელებას. მარტივად რომ ვთქვათ, ქართველებს მომავლის ეშინიათ, უპირველესად იმიტომ, რომ მას გაცილებით მეტ უარყოფით მოლოდინს უკავშირებენ, ვიდრე დადებითს.**

გასულ კვირას საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის პარლამენტებმა ევროპარლამენტს მიმართეს და მხარდამჭერი რეზოლუციის მიღება სთხოვეს, რომელშიც კიდევ ერთხელ დაფიქსირდება მოწოდება ევროკავშირის საბჭოს მიმართ, რომ ამ სამ ქვეყანას, ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის შესაბამისად, წევრობის პერსპექტივა გაუხსნას. ამ მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო, რომელიც მის ღირებულებებს იზიარებს.

სამ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას ევროკავშირის წევრობისგან ძალიან დიდი მანძილი აშორებს, თუმცა ეს განცხადება, ალბათ, უპირველესად, ფსიქოლოგიურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ნატოში გაწევრების ან თუნდაც მაპ-ის მინიჭების დაპირება დღეს აღარ მუშაობს; მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პროცესი დაბლოკილია, საყოველთაოდ გავრცელდა. ევროასოცირებასთან და ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული დისკუსიები მთლიანობაში დასრულდა — ორივე არა მომავალს, არამედ წარსულსა და აწმყოს უკავშირდება. შესაბამისად, დღეს არ არსებობს მკაფიო სიგნალი დასავლეთიდან, რომელიც დაეხმარება საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ხელისუფლებებს, შექმნან ბედნიერი მომავლის სურათი, რომელიც ამომრჩევლებს მოიზიდავს. მათ სჭირდებათ შთამბეჭდავი ოცნება ან თუნდაც ხარისხიანი ილუზია, რომლის მოწოდება, ევროპელებისგან განსხვავებით, ამერიკელებს ამ ეტაპზე არ ძალუძთ, რადგან უმცროსმა ბუშმა და სააკაშვილმა ნატოში სწრაფი გაწევრების დაპირება გაუაზრებლად გასცეს და არასათანადოდ გამოიყენეს.

ჯერჯერობით არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ამერიკელები მზად არიან, საქართველოს „ნატოს ფარგლებს გარეთ ძირითადი მოკავშირის“ სტატუსი მიანიჭონ, ზემომგებიანი სავაჭრო ხელშეკრულება გაუფორმონ ან თუნდაც სავიზო რეჟიმი მოუხსნან. ევროპელებს კი შეუძლიათ, მხოლოდ ერთი დეკლარაციით ევროკავშირში საქართველოს გაწევრების შესაძლებლობაზე შექმნან მომავლის სწორედ ისეთი სურათი, რომელიც ხელისუფლებას ამომრჩეველთან ურთიერთობაში სჭირდება. სხვა საქმეა, რამდენად ულირთ ამის გაკეთება, რადგან ევროკავშირის საბჭოს მსგავსი დაპირება გარკვეულ ვალდებულებებს წარმოშობს, მაგრამ ამავე დროს, ბრიუსელსა და სხვა ევროპულ დედაქალაქებში კარგად ესმით, რომ პროდასავლური ორიენტაცია პოსტსაბჭოთა „ფრონტისპირა“ რესპუბლიკებში შეიძლება სწრაფად შესუსტდეს, თუ მსგავსი დაპირებები საერთოდ არ იარსებებს.

მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა „ქართული ოცნება“ „ევროპული ნატვრით“ მანიპულირების შესაძლებლობას, მთავარი ისაა, რომ ახალი ცივი ომი აშშ-სა და რუსეთს შორის აშკარად ხურდება და ის ფარდობითი სიმშვიდე, რომელშიც საქართველო ბოლო 5 წლის განმავლობაში ცხოვრობდა, შეიძლება ისევ მწვავე კონფრონტაციით შეიცვალოს. ეს უდავოდ მიაყენებს ზიანს „ქართული ოცნების“ რეიტინგს, რადგან რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია მის ერთ-ერთ მთავარ დაპირებას წარმოადგენდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მმართველ პარტიას არაფრის შეცვლა არ შეუძლია — მას არ აქვს არც ძალა, არც ნებისყოფა, დინების საწინააღმდეგოდ გაცუროს.

**მთავარი ისაა, რომ ახალი ცივი ომი აშშ-სა და რუსეთს შორის აშკარად ხურდება და ის ფარდობითი სიმშვიდე, რომელშიც საქართველო ბოლო 5 წლის განმავლობაში ცხოვრობდა, შეიძლება ისევ მწვავე კონფრონტაციით შეიცვალოს. ეს უდავოდ მიაყენებს ზიანს «ქართული ოცნების» რეიტინგს, რადგან რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება მის ერთ-ერთ მთავარ დაპირებას წარმოადგენდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მმართველ პარტიას არაფრის შეცვლა არ შეუძლია — მას არ აქვს არც ძალა, არც ნებისყოფა, დინების საწინააღმდეგოდ გაცუროს**

**ნიშანდობლივია, რომ არც ერთმა ქართულმა ტელევიზიამ არ გააშუქა პალესტინელის მიერ ეკლესიის წაბილწვის საგანგაშო ფაქტი. გაშუქებას ვინ ჩივის, ტელეკომპანია „იმედმა" ისეთი ამაზრზენი სიუჟეტი მიუძღვნა 14 ივლისს დაანონსებულ „ქართველთა მარშს", რომ... ჩვენი ხელისუფლების ყველა შტოსა და ე.წ. არასამთავრობო სექტორს, აგრეთვე, ლიბერალურ მედიას, რომლებიც, დიდი ხანია, მეხუთე კოლონის როლს ასრულებენ, ხომ ის უფრო აღელვებს, რას იტყვის ევროპა და არა ის, რა სტკივა საქართველოს, ქართველ ერს?!**



ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 14 ივლისს გამოჩნდება, რანი ვართ, რანი ვიქნებით

# ყველანი «ქართველთა მარშზე»!

„დილას ოქრო ხარ, სტუმარო,
საღამოს ვერცხლად იქცევი,
თუ კიდევ დაგიგვიანდა,
სპილენძად გადაიქცევი"

*ქართული ფოლკლორიდან*

**დიდხანს ვფიქრობდი, რით, საიდან დამეწყო წინამდებარე წერილი და, აჰა, ჩემს ყოყმანს წერტილი დაუსვა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულმა ვიდეომ, მთვრალი პალესტინელი ნაბიჭვარი წიხლით როგორ ანგრევს პლეხანოვზე (მარჯანიშვილისა და ჯავახიშვილის ქუჩების კუთხეში) მდებარე ალექსანდრე ნეველის ტაძრის კარს.**





**საქართველოს ამ «სტუმარმა» შეაღწია რა ტაძრის ეზოში, შეურაცხყო იქ არსებული საფლავები, მათ შორის, მამა ვიტალის სასწაულთმოქმედი სამარე. საბედნიეროდ, დროულად გამოჩნდა მადლიანი ქართველი და, რომ იტყვიან, თავ-ყბა დაულეწა დაუპატიჟებელ სტუმარს, რომელსაც მოგვიანებით მოსულმა პატრულმა ბორკილები დაადო, მაგრამ ჩვენმა ჰუმანურ-ტოლერანტულმა სასამართლომ 100-ლარიანი ჯარიმა აკმარა პალესტინელ ნაძირალას**

საქართველოს ამ „სტუმარმა" შეაღწია რა ტაძრის ეზოში, შეურაცხყო იქ არსებული საფლავები, მათ შორის, მამა ვიტალის სასწაულმოქმედი სამარე. საბედნიეროდ, დროულად გამოჩნდა მადლიანი ქართველი და, რომ იტყვიან, თავ-ყბა დაულეწა დაუპატიჟებელ სტუმარს, რომელსაც მოგვიანებით მოსულმა პატრულმა ბორკილები დაადო, მაგრამ ჩვენმა ჰუმანურ-ტოლერანტულმა სასამართლომ 100-ლარიანი ჯარიმა აკმარა პალესტინელ ნაძირალას.

აბა, რა უნდა ექნა?!

ჩვენ ხომ ვაჟას „სტუმარმასპინძლის" „ტოლერანტული" საქართველო ვართ და არა „ველური" რუსეთი, რომელმაც ეკლესიის შეურაცხმყოფელი „პროსტიტუტკების" როკ-ჯგუფი, მიუხედავად „განათლებული" დასავლეთის პროტესტისა, სამაგალითოდ დასაჯა.

**ნიშანდობლივია, რომ არც ერთმა ქართულმა ტელევიზიამ არ გააშუქა პალესტინელის მიერ ეკლესიის წაბილწვის საგანგაშო ფაქტი. გაშუქებას ვინ ჩივის, ტელეკომპანია „იმედმა" ისეთი ამაზრზენი სიუჟეტი მიუძღვნა 14 ივლისს დაანონსებულ „ქართველთა მარშს", რომ... ჩვენი ხელისუფლების ყველა შტოსა და ე.წ. არასამთავრობო სექტორს, აგრეთვე, ლიბერალურ მედიას, რომლებიც, დიდი ხანია, მეხუთე კოლონის როლს ასრულებენ, ხომ ის უფრო აღელვებს, რას იტყვის ევროპა და არა ის, რა სტკივა საქართველოს, ქართველ ერს?!**

აქედან გამომდინარე, „შერეკილი" ხუტა ოდიშელიძისა არ იყოს, „თვალი დაუდგა ევროპას" და პალესტინელის ქართველ მოსამართლეს მინდა ვკითხო: **რატომ ასეთი მსუბუქი სასჯელი?** თუ მართლა ვაჟა-ფშაველას ეყრდნობით, დიდმა პოეტმა ის უკვდავი პოემა ვაჟკაცებზე დაწერა და ხომ ვერ მეტყვით, ის პალესტინელი ნაძირალა ზვიადაურია თუ ჯოყოლა? ჰოდა, ვიმეორებ: **რატომ ასეთი მსუბუქი სასჯელი** (ქუჩაში მოშარდვისთვისაც, ალბათ, 100 ლარით დაგაჯარიმებენ)?

თუ „ველური" რუსებივით სისხლის სამართლის საქმე ვერ აღძარით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის რატომ არ მიუსაჯეთ მაქსიმალური, 90-დღიანი, პატიმრობა დაუპატიჟებელ სტუმარს და მხოლოდ 100 ლარით დაჯარიმება აკმარეთ? **პალესტინაში რომ ჩავიდე და რომელიმე მეჩეთს წიხლები დავუშინო, რას მიზამენ? სიმბოლურ ჯარიმას მაკმარებენ კი არა, პოლიციას არც კი დაელოდებიან, ისე ჩამქოლავენ ლინჩის წესით.**

ასე რომ, „ქართველთა მარში", რომლის ჩატარების შესახებაც ცოტა ხნის წინათ განაცხადეს, დროული კი არა, დაგვიანებულიც კია — ისე ღრმად არის წასული ანტიქართული პროცესები, მეეჭვება, მშვიდობიანმა მარშმა რამე უშველოს.

ტოლერანტობის, გამოხატვის უფლების, ერთი სიტყვით, „დემოკრატიის" ქადაგებით ყურები რომ, გამოგვიჭედეს ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა", რაც ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერის გადასაშენებელ-გადასაგვარებლი იარაღის გარდა, სხვა არაფერია, ერს სხვა უფლებები არ აქვს?

**ქართველი ერი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა და, თუ რამე არ შეიცვალა, სპეციალისტთა აზრით, 2040 წელს ქართველები სამშობლოში ნაცუმცირესობა ვიქნებით. ეს პროგნოზი მსოფლიოში ჯერ არნახული მიგრაციის პროცესების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე გაკეთდა და რეგიონებიდან მოსული საგანგაშო ცნობებისა თუ თბილისის ქუჩების შემხედვარე, სადაც ნაბიჯს ისე ვერ გადადგამ, სხვადასხვა ჯიშისა და ჯილაგის მიგრანტს არ გაეხახუნო, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა შავ დღეშია საქართველო.**

იქნებ უკვე დღეს ვართ ქართველები სამშობლოში ნაცუმცირესობა?

ზემორე თქმულიდან გამომდინარე, რასაც ქვემოთ ვიტყვი იმისთვის, უკაცრავად პასუხია და, სულ ფეხებზე მკიდია, რას იტყვის ჩემზე ადგილობრივი ნეოლიბერალური მედია, არასამთავრობო სექტორი თუ პოლიტიკური ისტებლიშმენტი, რადგან სიმონიკა ბერეჟიანის ერთი ლექსისა არ იყოს, **„თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, ფერფლადქცეული დამენახოს მთელი სამყარო."**

კარის მეზობლად ტანზანიელი თუ მოზამბიკელი ზანგების (პარადოქსია, მაგრამ თვითონ მათ, ვინც ზანგების ძვლებზე ააშენეს ამერიკა, აკრძალეს სიტყვა „ზანგის" გამოყენება და უფრო „ცივილიზებული" — აფრო-ამერიკელი დაამკვიდრეს) ოჯახი მყავს, რომელმაც ბინა ერთი იმერლისგან იყიდეს და, თუ იმ იმერლის კარის მეზობლობა მირჩევნია ტანზანიელის თუ მოზამბიკელის მეზობლობას და ეს არის ფაშიზმი თუ ქსენოფობია, მაშინ ვარ ფაშისტიც და ქსენოფობიც.

„ქართველთა მარშის" ერთ-ერთი მოთხოვნა არალეგალი მიგრანტების გაძევებაა საქართველოდან და, თუ ეს არის ფაშიზმი და ქსენოფობია, მაშინ ვარ ერთიცა და მეორეც.

„ქართველთა მარშის" კიდევ ერთი მოთხოვნა საიმიგრაციო პოლიტიკის გადახედვაა, უფრო მეტიც, იმის გამოძიება, ბოლო 5-6 წელიწადში კანონიერად მიიღო თუ არა საქართველოს მოქალაქეობა ათასობით უცხოელმა (გახსოვთ, ალბათ, საქართველოს მაოხრებელმა გზირმა თავისი პრეზიდენტობის ბოლო დღეებში საქართველოს მოქალაქეობა ათასობით თურქს რომ მიანიჭა) და, თუ ეს მოთხოვნაა ფაშიზმი და ქსენოფობია, ვარ ფაშისტიც და ქსენოფობიც. კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება ქართველთა მხრიდან „ფაშიზმისა და ქსენოფობიის" გამოვლენის საილუსტრაციოდ, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტი და არასამთავრობო სექტორი, ლიბერალური მედია ქართველთმოძულეობასთან ერთად რუსოფობიითაც არიან დაავადებულნი. ისინიც დასავლელ „მეგობრებთან" (თუმცა, ბრჭყალები აქ ზედმეტია, რადგან ჩვენგან, ქართველი ერისგან, განსხვავებით, ნეოლიბერალური დასავლეთი საქართველოში მოქმედი მეხუთე კოლონის ნამდვილი მეგობარია) უნისონში გაჰყვირიან, რომ ყველაფერი, რაც კი ცუდი ხდება მსოფლიოში, რუსების ბრალია. მეგონა, მსგავს უსაფუძვლო ფობიებსაც ჰქონდა საზღვარი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაოდ — ჩვენმა მეხუთე კოლონამ „ქართველთა მარშიც" რუსულ დაკვეთად, პროექტად შერაცხა.

მეხუთე კოლონის წარმომადგენელთა თქმით, „ქართველთა მარშის" ორგანიზატორებმა შეიძლება თვითონვე მოაწყონ არეულობა და არ არის გამორიცხული, 1-2 ადამიანი დაიღუპოს კიდეც, რაც გამოიწვევს ქაოსს ქვეყანაში და რუსეთი თავისი მოქალაქეების, ტურისტების დასაცავად ჯარს შემოიყვანსო საქართველოში.

ამაზე მეტი სისულელე გაგონილა?!

თანაც, ამას ამბობენ ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში ყოფნისას დაოსტატებული იყვნენ სცენარის — „ორი გვამი მჭირდება სასწრაფოდ" — დაგეგმვა-შესრულებაში. მაგრამ, ეგეც იქით იყოს — რა, რუსის ჯარი არ არის შემოსული და გამაგრებული ახალშექმნილ სამხედრო ბაზებზე აფხაზეთ-ცხინვალში?

თუმცა, კიდევ ერთხელ, ეგეც იქით იყოს, ვინც ჰამბურგში გამართულ G-20-ის პერიპეტიებს ობიექტური თვალით უყურა, დამეთანხმება, რომ ეს, „დიდი ოცეულის" სამიტი კი არა, რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინთან** „დიდი ოცეულის" ქვეყნების პრეზიდენტების აუდიენცია უფრო იყო.

ყველა ელოდებოდა პუტინისა და **ტრამპის** შეხვედრას, რომელიც, დაგეგმილი 30 წუთის ნაცვლად, 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა. ამ შეხვედრაზე უკრაინას ისე შეეხნენ, რომ ყირიმი არც უხსენებია აშშ-ის პრეზიდენტს, საქართველო კი არავის გახსენებია არა მხოლოდ ორი პრეზიდენტის შეხვედრაზე, არამედ, საზოგადოდ, სამიტზე.

მოკლედ, „დიდი ოცეულის" სამიტი რუსეთის პრეზიდენტის ტრიუმფით დასრულდა და ეს მხოლოდ ჩემი აზრი კი არ არის, ამას ღაღადებს თვით რუსეთის სიძულვილით გაჟღენთილი დასავლური, მათ შორის, ამერიკული ლიბერალური მედიაც. ასე რომ, სამწუხაროდ, რუსეთს საქართველო სულაც არ აინტერესებს, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, ამიტომ საკუთარ თავს მივხედოთ.

აუცილებლად უნდა ჩავატაროთ „ქართველთა მარში" — ვნახოთ, რამდენი გამოვალთ.

14 ივლისს პლეხანოვზე გამოჩნდება, არსებობის ღირსი ერი ვართ თუ „ფეისბუკისა" და სუფრის ლომები!

თუ ბევრნი ვიქნებით (რისი იმედიც მაქვს), შემდგომ მოთხოვნებიც უნდა გავაფართოვოთ, რადგან ამ რაოდენობის მიგრანტების „გადამუშავებას" პატარა საქართველო ვერ შეძლებს და რა ვქნათ — **ევროპა-ამერიკის ხათრით ჰარაკირი გავიკეთოთ სამიათასწლიანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქართველმა ერმა?!**

ახლავე, დღესვე უნდა გამოცხადდეს მორატორიუმი საქართველოში უცხოტომელთა უკონტროლო შემოსვლაზე; თურქებს, რომლებსაც საკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ჩამოურიგა, უპირობოდ უნდა ჩამოერთვათ საქართველოს მოქალაქის სტატუსი და გადაიხედოს „ქართული ოცნების" მიერ მოქალაქეობის მინიჭების საკითხის კანონიერებაც.

და მთავარი — 180 გრადუსით უნდა შეიცვალოს საქართველოს საგარეო ვექტორი და გეზი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეობისკენ ავიღოთ — „დიდი ოცეულის" სამიტის შემდეგ მაინც მივხვდეთ ქართველები, რომ რუსეთი არავის დაუთმობს სამხრეთ კავკასიას, რომლის გასაღები თბილისია ისევე, როგორც სოხუმ-ცხინვალის გასაღები — მოსკოვი!

**მაგრამ ეს დღეს-ხვალ არ მოხდება და რის გაკეთებაც ახლავე შეიძლება, არის ის, რომ საქართველოს არც ერთი მოქალაქე, რომლებსაც სამშობლოდ მიაჩნიათ ჩვენი ქვეყანა, არ უნდა შევიდეს უცხოტომელთა რესტორნებსა თუ მაღაზიებში, ზუსტად ისე, როგორც ეს გააკეთეს ჩვენს მოძმე სომხეთში.**

14 ივლისი — ბასტილიის დაცემის დღე, საქართველოს აღდგომის დასაწყისი ყოფილიყოს!

ყველანი „ქართველთა მარშზე"!

**დავით მხეიძე**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ორი ზესახელმწიფოს ლიდერების წარმატებული შეხვერდა მნიშვნელოვანი იყო პატარა საქართველოსთვისაც, რადგან, თუ ჩვენთან დაინახავდნენ, რომ პუტინი შეურაცხყოფილია, დღევანდელ მთავრობასაც გაუჩნდებოდა ისეთივე „თავდაჯერებულობა“, როგორიც სააკაშვილს; შედეგად მიეცემოდათ საბაბი, ნაბიჯები გადაედგათ რუსეთის წინააღმდეგ. ისეთს არ გადადგამდნენ, რა თქმა უნდა, როგორიც სააკაშვილმა გადადგა, მაგრამ მაინც ჩაიდენდნენ სისულელეს. ჩვენ ამ შეხვედრის დადებითად დამთავრებამ გადაგვარჩინა“.**

# პუტინისა და ტრამპის შეხვედრა — რა უნდა გაითვალისწინოს საქართველომ

**2016 წლის 1 დეკემბერს „დიდი ოცეულის“ თავმჯდომარე გერმანია გახდა და სწორედ ეს ქვეყანა მასპინძლობდა ორდღიან სამიტს, რომელიც უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. 7 ივლისს მსოფლიო საზოგადოების ყურადღება გერმანიის ქალაქ ჰამბურგისკენ იყო მიპყრობილი, რადგან იქ რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების შეხვედრა დაიგეგმა.**




აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** „დიდი ოცეულის“ სამიტის დაწყებას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა: „მოუთმენლად ველი შეხვედრებს მსოფლიო ლიდერებთან, მათ შორის, შეხვედრას რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან. ბევრი რამ გვაქვს განსახილველი“.

„ღირებულებებს — თავისუფლებას, რწმენასა და ოჯახს, რომლებიც ამერიკასა და ევროპას აკავშირებს, საფრთხე ემუქრება გარედან — საერთო მტრების მხრიდან და შიგნიდან — ბიუროკრატიის მხრიდან. ჩვენი დროის ფუნდამენტური კითხვებია: შეძლებს თუ არა დასავლეთი გადარჩენას? გვაქვს თუ არა რწმენა ჩვენი ღირებულებებისადმი, რათა ისინი დავიცვათ ნებისმიერ ფასად? ვცემთ თუ არა საკმარისად პატივს ჩვენს მოქალაქეებს, რათა დავიცვათ ჩვენი საზღვრები? გვაქვს თუ არა სურვილი და გამბედაობა, შევინარჩუნოთ ჩვენი ცივილიზაცია?“ — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სამიტამდე ერთი დღით ადრე ვარშავაში სიტყვით გამოსვლისას და დასძინა, რომ იმ ძალებთან დაპირისპირება, რომლებიც ძირს უთხრიან ამ ღირებულებებს და შლიან კულტურის, რწმენისა და ტრადიციის კავშირებს, ერთობლივად უნდა მოხდეს.

ორი ზესახელმწიფოს, რუსეთისა და აშშ-ის, ლიდერების შეხვედრა 30-წუთიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის 2 საათსა და 16 წუთს გაგრძელდა. მას ესწრებოდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **სერგეი ლავროვი** და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **რექს ტილერსონი.**

შეხვედრის დაწყებამდე აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ის პრეზიდენტ პუტინთან ერთად აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობებისთვის დადებით შედეგებს ელის. ვლადიმერ პუტინმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მწვავე საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად საჭიროა ამგვარი შეხვედრები და იმედოვნებს, რომ ეს შეხვედრა დადებით შედეგს მოიტანს.

მოგვიანებით გამართულ ბრიფინგზე ვლადიმერ პუტინმა ყველაზე მეტი დრო სირიის კრიზისსა და ბაშარ ალ-ასადის რეჟიმზე ლაპარაკს დაუთმო. რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონს დიდ პატივს სცემს, მაგრამ მის მოსაზრებებს ასადის მიმართ ვერ გაიზიარებს. რექს ტილერსონმა რამდენიმე თვის წინათ აღნიშნა, რომ ასადს სირიაში მომავალი არ აქვს და ის, როგორც პოლიტიკური ფიგურა, აღარაფერს წარმოადგენს.

„ტილერსონი პატივსაცემი დიპლომატია, მაგრამ ის არ არის სირიის მოქალაქე, მან არ იცის, რა სურს სირიელ ხალხს, ამიტომ სჯობს, ბატონმა ტილერსონმა სირიელ ხალხს მიანდოს თავისი ქვეყნის ბედი“, — განაცხადა პუტინმა, რომელმაც დონალდ ტრამპი დაახასიათა, როგორც გონებამახვილი პიროვნება. „ტრამპი, რომელსაც ტელეეკრანზე ვხედავთ, მკვეთრად განსხვავდება რეალური ტრამპისგან. ის აბსოლუტურად ადეკვატურად რეაგირებს თანამოსაუბრის განსხვავებულ მოსაზრებებზე, იცის მოსმენა და ძალიან სწრაფად აანალიზებს ყველა დეტალს“, — განაცხადა პუტინმა.

ჰამბურგში რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების შეხვედრის მნიშვნელობაზე ქართველი საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს ვესაუბრეთ.



## „ჩვენი მთავრობა ვალდებულია, პუტინისა და ტრამპის შეხვედრიდან ლოგიკური დასკვნები გამოიტანოს“

**გიორგი ოთხმეზური, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

— ნამდვილად დიდი იყო ინტერესი ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის მიმართ. ორი დიდი და ძლიერი სახელმწიფოს ლიდერების საუბარზე ბევრი ქვეყნის ბედია დამოკიდებული, მათ შორის — პატარა საქართველოსი, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ტრამპი-პუტინის შეხვედრა დადებითი მოვლენა იყო.

## «საქართველო ასეთი უინტერესო, როგორიც დღეს არის, არასოდეს ყოფილა მსოფლიო პოლიტიკისთვის»

ჩვენ ვნახეთ, რომ მათი საუბარი დათქმულ დროზე გაცილებით მეტ ხანს გაგრძელდა, რაც უკვე კარგია. რა მოჰყვება ამ შეხვედრას, დრო გვიჩვენებს.

ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ ჩვენი მთავრობა ვალდებულია, პუტინისა და ტრამპის შეხვედრიდან ლოგიკური დასკვნები გამოიტანოს და ქვეყნისთვის სასარგებლო ნაბიჯები გადადგას.



## „ჰამბურგში რუსეთის პრეზიდენტისთვის ხელის ჩამოსართმევად რიგი იდგა“

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მათ შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია. შეხვედრა წარმატებით წარიმართა, ორივე ქვეყნის პრეზიდენტი კმაყოფილი იყო. ეს კმაყოფილება იმაშიც გამოიხატა, რომ მათი საუბარი, დაგეგმილი 30 წუთის ნაცვლად, 2 საათსა და 16 წუთს გაგრძელდა, საუბარი, შესაძლოა, მეტ ხანსაც გაგრძელებულიყო, მაგრამ მასპინძელი ქვეყნის ლიდერმა კონცერტი დაგეგმა, რომელზეც აუცილებელი იყო ყველას დასწრება, ამას გარდა, რუსეთის პრეზიდენტს შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი იაპონიის პრემიერმინისტრთან. პუტინისა და ტრამპის შეხვედრის შედეგებს მომავალში ვიხილავთ, მაგრამ მთავარია ის, რომ მათ სირიაზე ისაუბრეს, მნიშვნელოვან თემად იქცა ჰაკერებთან დაკავშირებული სკანდალიც. შესაძლოა, ვიღაცას მოეჩვენოს, რომ ეს უმნიშვნელო საკითხებია, მაგრამ ასე არ არის. პუტინთან შეხვედრას ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ბრწყინვალე უწოდა და ეს მნიშვნელოვანია... ვლადიმერ პუტინმაც დადებითად შეაფასა შეხვედრა.

**— ვლადიმერ პუტინმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ არ იცის, შესრულდება თუ არა ის ყველაფერი, რაზეც მოილაპარაკეს...**

— შეხვედრაზე რაზე ისაუბრეს, ამას ვერავინ გაიგებს. რაც შეეხება პუტინის სკეპტიციზმს, ეს ნორმალურია, რადგან დიდ პოლიტიკაში იმის თქმა, რომ ყველაფერი შესრულდება და მივაღწიეთ საწადელს, არ არის ნორმალური. სახელმწიფო მოღვაწეები ასე არ საუბრობენ, ეს შეიძლება **კვირიკაშვილმა** და **მარგველაშვილმა** თქვან. პუტინი გამოცდილი ლიდერია და ეს მან მრავალი წლის განმავლობაში დაამტკიცა. მსოფლიოს ლიდერები მას აღიარებენ, როგორც საზრიან და გამოცდილ პრეზიდენტს. მას მხოლოდ ქართველები მოიხსენიებენ აგდებით.

**— როგორ ფიქრობთ, ვის მხარეს იყო უპირატესობა?**

— სიმართლე გითხრათ, ბევრი ქართველი პოლიტიკოსის და არა მხოლოდ მათი, სურვილი იყო, პუტინისა და ტრამპის შეხვედრა არ გაგრძელებულიყო 20 წუთზე დიდხანს. სურდათ, ტრამპს პუტინი გაელანძღა, საერთოდ, ბევრი ქვეყნის პოლიტიკოსის სურვილია, რომ პუტინი გაილანძღოს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, **ობამას**, სურვილი იყო და ამას დღესაც ცდილობენ, პუტინი როგორღაც იზოლაციაში მოაქციონ, თუმცა ვნახეთ, რომ ჰამბურგში რუსეთის პრეზიდენტისთვის ხელის ჩამოსართმევად რიგი იდგა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთის როლი, როგორც ზესახელმწიფოსი, ძალიან დიდია. ვლადიმერ პუტინი უპოპულარულესი პოლიტიკოსია.

არც ერთ მსოფლიო ფორუმს არ ჰქონია ისეთი დიდი გამოხმაურება და ინტერესი, როგორც ამ სამიტს, რადგან აქ პუტინი და ტრამპი ხვდებოდნენ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის წინ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, ყველაფერი საათის ისრებმა გააბათილა... ყველა მიხვდა, რომ ისინი ამინდზე არ საუბრობდნენ. მათი საუბრის უამრავი დეტალი ჩვენთვის უცნობია და ასეც შეიძლება დარჩეს.

ორი ზესახელმწიფოს ლიდერების წარმატებული შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო პატარა საქართველოსთვისაც, რადგან, თუ ჩვენთან დაინახავდნენ, რომ პუტინი შეურაცხყოფილია, დღევანდელ მთავრობასაც გაუჩნდებოდა ისეთივე „თავდაჯერებულობა“, როგორიც სააკაშვილს, შედეგად მიეცემოდათ საბაბი, ნაბიჯები გადაედგათ რუსეთის წინააღმდეგ. ისეთს არ გადადგამდნენ, რა თქმა უნდა, როგორიც სააკაშვილმა გადადგა, მაგრამ მაინც ჩაიდენდნენ სისულელეს. ჩვენ ამ შეხვედრის დადებითად დამთავრებამ გადაგვარჩინა.



## „საქართველო სასაცილოდ გამოიყურება. ბრიყვი ქართველები ამერიკის ელჩს უსმენენ“

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:**

— პუტინისა და ტრამპის შეხვედრა დიდი მოვლენა იყო მსოფლიოს პოლიტიკაში. ამ შეხვედრისგან ყველაზე მეტი დივიდენდი პუტინმა მიიღო, რადგან ის, ტრამპისგან განსხვავებით, მომზადებული ჩავიდა ჰამბურგში. ამერიკის პრეზიდენტი წინააღმდეგობებით იყო სავსე. მან ერთი დღით ადრე პოლონეთში განაცხადა, რომ შეეწინააღმდეგება პუტინს, რათა დესტაბილიზაციის ობიექტად არ აქციოს აღმოსავლეთი ევროპა... ტრამპს არ უხსენებია ბალტიისპირეთის ქვეყნები, ახსენა უკრაინა და სიტყვა არ დაუძრავს საქართვე- ▶

## «ჩემმა სტუდენტმა რომ მითხრას ის, რაც განათლების მინისტრმა ჯეჯელავამ თქვა, ინსტიტუტიდან გავრიცხავ. ჯეჯელავა თვლის, რომ მთავარია პროცესი და არა შედეგი... აი, ასეთ ვითარებაში რა გინდა, რომ თქვა? ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება, 30 წელი ნატოში მიღებას ველოდოთ. საქართველო ცაიტნოტშია... დღეს დილეტანტიზმი, ბავშვური გულუბრყვილობაა გამეფებული ჩვენს ქვეყანაში»

„ქართველთა მარში“ აღიზიანებს ყველას, ვისაც ქართული სულისკვეთება არ აქვს; აღიზიანებს მათ, ვინც ჩაკლა 1990-იანების დროინდელი ქართველების სულისკვეთება და შემართება, ვინც პატრიოტიზმი ჩაკლა ჩვენში; აღიზიანებს მას, ვისაც გავლენა აქვს ისეთ ბიზნესზე, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ საზოგადოების უდიდეს ნაწილთან ერთად ვილაშქრებთ“.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლოსა და სამხრეთ კავკასიაზე. გარდა ამისა, ტრამპმა შეხვედრა დაიწყო ჰაკერების შესახებ შეკითხვით, რომელზეც პუტინმა უპასუხა ის, რასაც ყოველთვის ამბობდა...

პუტინი ლაპარაკობდა და ტრამპი თავს უქნევდა. რუსეთის პრეზიდენტის ბონუსი ისიც იყო, რომ ის იზოლაციიდან გამოვიდა. ტრამპთან მისასვლელი ბილიკი მოძებნილია, ამიტომ გაცილებით იოლია რუსეთის პრეზიდენტისთვის ევროპასთან ურთიერთობა.

შეხვედრა შედგა, არავინ ელოდა, რომ იქნებოდა „გადატვირთვა“, მაგრამ სირიაში ცეცხლის შეწყვეტაზე ისაუბრეს... პუტინი არ წავიდა დათმობაზე „უსაფრთხო ცის“ საკითხში. შემხვედრი დაპირება მისგან არ ყოფილა.

შეხვედრა დაგეგმილზე 4-ჯერ მეტხანს გაგრძელდა, ასეთი რამ დიპლომატიაში არ მახსოვს, თუმცა რაზე ილაპარაკეს, არავისთვის ცნობილი არ არის. სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ პუტინის ჩარევის თემა ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში, მოისხნა. ეს ტრამპს სჯერა, მაგრამ ამერიკის ოთხ სადაზვერვო ორგანიზაციას ამას ვერ დააჯერებ...

ევროპელებისთვის აღნიშნული შეხვედრა საჩუქარი არ იყო, პუტინი თამამი იქნება ევროპასთან ურთიერთობაში.

**— რა იყო საგულისხმო საქართველოსთვის ამ შეხვედრისას?**

— თქვენ ქართულ დიპლომატიას გულისხმობთ? ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს მას შემდეგ, რაც ქვეყნის პირველ დიპლომატ **ჯანელიძეს** მოვუსმინე. მან განაცხადა, საქართველოს საკითხი ასეთი აქტუალური არასოდეს ყოფილა ამერიკისა და ევროპისთვისო. ჯანელიძემ არ იცის, რომ საქართველო ასეთი უინტერესო, როგორიც დღეს არის, არასოდეს ყოფილა მსოფლიოს პოლიტიკისთვის.

ნახევარი საუკუნეა, დიპლომატიას ვსწავლობ და ვიცი, რომ ელჩების, უცხოეთიდან ჩამოსული პოლიტიკოსების განცხადებები არაფერს ნიშნავს, ჩემთვის მთავარია შედეგი. ჩემმა სტუდენტმა რომ მითხრას ის, რაც განათლების მინისტრმა **ჯეჯელავამ** თქვა, ინსტიტუტიდან გავრიცხავ. ჯეჯელავა თვლის, რომ მთავარია პროცესი და არა შედეგი... აი, ასეთ ვითარებაში რა გინდა, რომ თქვა? ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება, 30 წელი ნატოში მიღებას ველოდოთ. საქართველო ცაიტნოტშია.

ასე რომ, თქვენს შეკითხვაზე პასუხი არ მაქვს. დღეს დილეტანტიზმი, ბავშვური გულუბრყვილობაა ჩვენს ქვეყანაში და სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი, არ ვიცი.

რუსეთს საქართველოს განადგურება არ სურს, მაგრამ მასთან არავინ საუბრობს. რუსეთს სხვანაირი საქართველო სურს, მაგრამ როგორი? — ამ საკითხზე მას არავინ ელაპარაკება. ქვეყანა, რომელიც კონსტიტუციაში საგარეო კურსზე ჩანაწერს აკეთებს, არასერიოზულად გამოიყურება. ამას არავინ აკეთებს. არ არსებობს ევროპის სახელმწიფო, რომელსაც კურსი არ შეუცვლია. საქართველო სასაცილოდ გამოიყურება. დებილი ქართველები ამერიკის ელჩს უსმენენ...

# «ნაცბანდა» კიდევ რომ ბოგინობს ამ ქვეყანაში, ეს ბიძინა ივანიშვილის სინდისზეა»

**დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში, დავით აღმაშენებლისა და შოთა რუსთაველის გამზირებზე, ბოლო პერიოდში თვალში საცემია უცხო ქვეყნის მოქალაქეების სიმრავლე, მათ გახსნილი აქვთ ე.წ. ბარ-რესტორნები, რომელთა „მუშაობაც“ ყბადაღებულ თემად იქცა.**

ამა წლის 11 იანვარს მთავრობის სხდომაზე პრემიერმინისტრ **გიორგი კვირიკაშვილის** განცხადებამ თბილისში, ვარდების მოედნის მიწისქვეშა კომპლექსის ე.წ. არაბულ ბარებში არასრულწლოვანთა პროსტიტუციის შესახებ დიდი რეზონანსი გამოიწვია. მეტიც, პრემიერმა შს მინისტრს ამ საკითხით დაინტერესება დაავალა. საზოგადოების ერთ ნაწილში გაჩნდა მოსაზრება, რომ ხელისუფლებამ პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. სხვები კი მიიჩნევდნენ, რომ გიორგი კვირიკაშვილის ეს განცხადება მხოლოდ სხვა, ხელისუფლებისთვის არასასიამოვნო, თემის გადაფარვას ემსახურებოდა. სკეპტიკოსების ვარაუდი გამართლდა — ობიექტები, რომლებითაც პრემიერი დაინტერესდა, მუშაობას კვლავ განაგრძობს...

რამდენიმე თვის წინათ ცნობილმა ადამიანებმა „ქართველთა დაცვის კომიტეტი“ შექმნეს და ხელისუფლების გამოსაფხიზლებელი აქციები ჩაატარეს, 14 ივლისს კი „ქართველთა მარში“ დაგეგმეს. ქართველი საზოგადოების აღშფოთება 51 წლის ირანელის მიერ ახალციხეში მოზარდის გაუპატიურების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას მოჰყვა. საქართველოში სექსბიზნესი საკმაოდ წარმატებულია, თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, პრობლემა არის ის, რომ პროსტიტუციაში არასრულწლოვანი, სოციალურად დაუცველი, ე.წ. ქუჩის ბავშვები არიან ჩართულნი. ამასთანავე, არის უცხოელთა მხრიდან რელიგიური და კულტურის ძეგლების შეურაცხყოფის ფაქტებიც. გავრცელდა კადრები, რომლებზეც ჩანს, როგორ ურტყამს ფეხს პალესტინელი ახალგაზრდა ეკლესიის ალაყაფს. აღსანიშნავია, რომ მას ქართველმა სამართალდამცველებმა 100-ლარიანი ჯარიმა აკმარეს...

„ქართველთა მარშის“ ორგანიზატორების მთავარი მოთხოვნებია: საემიგრაციო კანონის გამკაცრება; ბინადრობისა და მოქალაქეობის შეზღუდვა; არალეგალი დამნაშავეების ქვეყნიდან გაძევება. ამ მოთხოვნებს უამრავი ქართველი უერთდება, თუმცა არიან მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც ამბობენ, რომ „ქართველთა მარში“ ქსენოფობიისა და ფაშიზმის გამოვლინებაა და ამ აქციას რუსეთი აფინანსებს. ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები „ქართველთა მარშის“ ორგანიზატორებს პატრიოტიზმს უწუნებენ და ამბობენ, რომ ე.წ. მცოცავი ანექსიის წინააღმდეგ აქციის მოწყობა უფრო უპრიანი იქნებოდა, ვიდრე არალეგალების წინააღმდეგ გამოსვლა, რადგან საზღვარგარეთ უამრავი ქართველი ცხოვრობს არალეგალურად და მათ შეიძლება პრობლემები შეექმნათ. პარალელურად, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველო-სომხეთის საზღვრის დელიმიტაციის დასრულების შემდეგ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხუჯაბის ღვთისმშობლის ქართული მონასტერი თავისი ტყე-პარკით სომხეთის ტერიტორიაზე მოექცევა... გვესაუბრებიან „ქართველთა მარშის“ ორგანიზატორები:



## „ნაცმოძრაობა“ ქართველი საზოგადოებისგან ყოველთვის ითხოვს „ორ გვამს“

**ჯუმბერ კირვალიძე, პოლიტოლოგი, „ქართველთა მარშის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი:**

— მოხარული ვარ, რომ „ქართველთა დაცვის“ კომიტეტში აღმოვჩნდი. ჩვენ ძალიან კარგი საქმე გავაკეთეთ, როდესაც ხელისუფლება ვაიძულეთ, კონსტიტუციაში ჩაეწერათ, რომ ქართული მიწა უცხოელებზე არ იყიდება. ამ საქმეს ბოლომდე რომ მივყევით, უამრავ პრობლემას წავაწყდით. აღმოჩნდა, რომ გვაქვს ხარვეზები მოქალაქეობის გაცემის საკითხშიც. მოგეხსენებათ, **სააკაშვილმა** უაზროდ დაურიგა მოქალაქეობა უამრავ გადამთიელს და კანონიც შეცვალა. წარმოჩნდა, აგრეთვე, არალეგალების პრობლემაც. აქ ჩამოდიან ადამიანები ახლო აღმოსავლეთიდან, არ შემოაქვთ დიდი ინვესტიციები, მაგრამ იმ ფულს, რაც მოაქვთ, უცხო ქვეყნების ასობით მოქალაქე მოჰყვება — ზოგი ლეგალურად, ზოგიც არალეგალურად, ფულის წარმომავლობაც საეჭვოა.

## «14 ივლისს ჩვენ ლეგიტიმური მოთხოვნით გამოვდივართ ქუჩაში, ვითხოვთ, საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას და მოკრიმინალო უცხოელების შემოსვლის აკრძალვას»

14 ივლისის აქცია მიმართულია არალეგალების წინააღმდეგ, რაც საჭიროა და კანონიერიც. გვეკითხებიან, ქართველ არალეგალებს რა ეშველებათო. ყველას ვეტყვი, არალეგალებს ყველა ქვეყნიდან აძევებენ. გაიხსენონ უნგრელების მიერ აშენებული კედელი, რომლითაც ქვეყანას არალეგალი ლტოლვილებისგან იცავენ. გაიხსენონ ისრაელი, საიდანაც უამრავი ქართველი გამოაბრუნეს. გერმანიიდან ასეულობით ქართველი გამოაძევეს... არალეგალების შენახვა მდიდარ ქვეყნებსაც კი უჭირთ... საქართველო კი მდიდარი ქვეყანა არ არის, ტერიტორიაც არ გვაქვს იმხელა, უცხოელები დავასახლოთ, ჩვენი მოქალაქეების რჩენაც არ შეგვიძლია, აქ წელიწადში 300 ბავშვი შიმშილით კვდება.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოიმატა კრიმინალის შემთხვევებმა. ჩვენ ჩვენი პედოფილები და კრიმინალებიც გვეყოფა, არალეგალურად მცხოვრები დამნაშავეები კი წავიდნენ ამ ქვეყნიდან.

**— თქვენი ოპონენტები ამბობენ, აღმაშენებლის გამზირზე კი არა, „ოკუპაციის“ ადგილას ჩავიდნენ და მცოცავი ანექსია გააპროტესტონო...**

— ეს პროვოკაციაა! ვინც ამას ამბობს, ნაცხროვის წარმომადგენელია, სააკაშვილ-ჟვანიას გუნდის წევრი და საქართველოს დამღუპველი. მათ ვითომ სურთ, ნამუსსზე აგვაგდონ. ამას ლაპარაკობს ყოფილი პარლამენტარი **ანი მიროტაძეც**, რომელსაც ფასეულობები ვერ გაურჩევია და, „ეროვნულ ფორუმში“ რა უნდოდა, არ ვიცი. 14 ივლისს ჩვენ ლეგიტიმური მოთხოვნით გამოვდივართ ქუჩაში, ვითხოვთ, საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას და მოკრიმინალო უცხოელების შემოსვლის აკრძალვას, მაგრამ ნაცხროვამ ზუსტად ამ დღეს დაამთხვია აქცია, რომლის გამართვასაც ვითომ მცოცავი ანექსიის წინააღმდეგ აპირებენ. არადა, ეს პროვოკაციაა. ისინი ხალხს ომისკენ მოუწოდებენ, როგორც მათმა ლიდერმა **სააკაშვილმა** გააკეთა. სწორედ ამ შეურაცხადის პოლიტიკამ უბიძგა რუსეთს, დამოუკიდებლად ეღიარებინა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიები. „ნაცმოძრაობა“ ქართველი საზოგადოებისგან ყოველთვის ითხოვს „ორ გვამს“. „ნაცბანდა“ კიდევ რომ ბოგინობს ამ ქვეყანაში, ეს **ბიძინა ივანიშვილის** სინდისზეა.

ჩვენ საიმიგრაციო პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვდივართ და ამისთვის სრულიად საკმარისია მშვიდობიანი მსვლელობა, მაგრამ რუსული მცოცავი ანექსიის შესაჩერებლად ნებისმიერი პროვოკაციული მარში სისხლიანი მოვლენების განვითარების საბაბი შეიქნება, ვითარება ორ ქვეყანას შორის უფრო დაიძაბება. ეს საკითხი არ არის ნაცების გადასაწყვეტი. ამ ნაძირალებს არ ჰყოფნით ქართველთა ის სისხლი, რომელიც დაღვარეს, და კიდევ სურთ დამატება. ყველას მოვუწოდებ, ელისო კილაძესა და მისნაირ ბიოსისტემებს არ აჰყვეთ, არ ჩაებათ პროვოკაციაში!

**— ბატონო ჯუმბერ, იცით თუ არა, რომ საქართველო-სომხეთს შორის საზღვრის გავლებისას, რაც სექტემბერში უნდა დასრულდეს, მარნეულის რაიონში მდებარე ხუჯაბის ღვთიმშობლის მონასტერი სომხეთის ტერიტორიაზე მოექცევა?**

— ეს საკითხი უყურადღებოდ არ დარჩება. თუკი ვინმე მსგავს რამეს ხელს მოაწერს, ვაი, მის დღეს! დიდი ხანია, ხუჯაბის მონასტერზე დავობენ, სომხეთი პროვოკაციას აწყობს და ეს იშვიათად არ ხდება, მაგრამ, თუ საკითხის გადაწყვეტას ვინმე კულუარებში ან დახურულ კარს მიღმა შეეცდება, შავ დღეში ჩავარდება.

## «დიდი ხანია, ხუჯაბის მონასტერზე დავობენ. სომხეთი პროვოკაციას აწყობს და ეს იშვიათად არ ხდება, მაგრამ, თუ საკითხის გადაწყვეტას ვინმე კულუარებში ან დახურულ კარს მიღმა შეეცდება, შავ დღეში ჩავარდება»



## „ყველა შესანიშნავად ცხოვრობს საქართველოში, მხოლოდ ჩვენ, ქართველები, ვართ უუფლებო“

**კონსტანტინე მორგოშია, ბიზნესმენი, „ქართველთა მარშის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი:**

**— ბატონო კონსტანტინე, ამბობენ, რომ თქვენი აქცია რუსული ფულით არის დაფინანსებული...**

— ამ ბრალდების გამო, პროკურატურაში შეგვაქვს სარჩელი და მოვითხოვთ, სასწრაფოდ გამოიძიონ ჩვენი კავშირი რუსეთთან, ასევე გამოიძიონ **გიგა ბოკერიას, გიგი უგულავს, „გირჩის“** კავშირები და დამნაშავეები დაისაჯონ.

„ქართველთა მარში“ აღიზიანებს ყველას, ვისაც ქართული სულისკვეთება არ აქვს; აღიზიანებს მათ, ვინც ჩაკლა 1990-იანების დროინდელი ქართველების სულისკვეთება და შემართება, ვინც პატრიოტიზმი ჩაკლა ჩვენში; აღიზიანებს მას, ვისაც გავლენა აქვს ისეთ ბიზნესზე, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ საზოგადოების უდიდეს ნაწილთან ერთად ვილაშქრებთ. აზერბაიჯანელი, სომეხი, თურქი, არაბი — ყველა შესანიშნავად ცხოვრობს საქართველოში, მხოლოდ ჩვენ, ქართველები, ვართ უუფლებონი, ამიტომ ხმა უნდა ამოვიღოთ და ჩვენი ძალა დავანახვოთ მათ, უნდა დავანახვოთ, რომ ამ ქვეყანაში ვერ გაბედავენ იმას, რაც ქართველს არ ეკადრება.

**— „ქართველთა მარშის“ პარალელურად იმართება ე.წ. მცოცავი ანექსიის საწინააღმდეგო აქცია საზღვრის პირას...**

— ამ აქციას ჩვენი მოთხოვნის გადასაფარავად მართავენ ის ძალები, რომლებმაც ახალგორი ჩააბარეს მოძღურს. სასაცილოა მათი მხრიდან რაღაცის გაპროტესტება. ვფიქრობ, ეს პროვოკაციაა.

**გვერდები მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩვენი იმჟამინდელი ნათქვამი 11 წლის შემდეგ, 2008 წელს, ახდა. ამერიკამ „გემი შემოუშვა ფოთში“ საქართველოსთვის „მხარდაჭერის დაფიქსირების მიზნით“ და, როდესაც „შეშინებულმა რუსეთმა“ სოხუმი და ცხინვალი ოფიციალურად წაგვართვა — თბილისი ხომ შეგანარჩუნებინეთო! — ამაყად გვითხრეს ამერიკელებმა და „ვალმოხდილი მეგობრების“ იერით გავიდნენ ფოთიდან.**

# «შეშფოთებული» კურატორები და კუდამოძუებული «პატრიოტები»

**მართლაც საოცარია, როგორ ახერხებს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე საწოლის ქვეშ ისე შეძრომას, რომ არ წაიკუზოს. უფრო ზუსტად, თავი წელში გამართულად წარმოიდგინოს, სიტყვებით ივაჟკაცოს, იყვიროს, მუშტები აბრახუნოს, ლაჩრები გვეძახოს, თვითონ დიდ მამულიშვილად წარმოაჩინოს თავი და ამ მომენტში საწოლის ქვეშ იყოს დამალული. არადა, ძალიან მომრავლდნენ ისეთი „ვაჟკაცები“, თავს ძალიან გაბედულ ტიპებად რომ გვაჩვენებენ, რეალურად კი საწოლის ქვეშ იმალებიან და იქიდან უთვლიან მუქარას მტერს.**



**ვინმეს წარმოგიდგენიათ სანგარში ჩაწოლილი, მიწითა და სამხედრო ტექნიკის გამონაბოლქვით სახეგამურული, მტრის მიმართ მრისხანებით ანთებული გიგა ნასარიძე, რომელსაც ყუმბარის ნასხვრევი აქვს მოხვედრილი სხეულზე და აინუნშიც არ აგდებს, ისე მიიწევს მტრის პოზიციებისკენ? დიახ, გაგელიმებათ, ეს სამშობლოსთვის უმტკივნეულეს საკითხს რომ არ ეხებოდეს! სამაგიეროდ, «გიგა ნასარიძეებს» დაზუთხული აქვთ ფრაზები: «აბა, რა ვქნათ, წავიკუზოთ რუსეთის წინაშე?», «აბა, ფეხები ავულოკოთ პუტინს?», «აბა, დათვს ბაბაია დავუძახოთ?»...**

ასეთი „ვაჟკაცების“ მუქარის ძირითადი ობიექტია რუსეთი და ყველას, ვინც შედარებით კეთილგონიერად ვაზროვნებთ და გარკვეულ არასამხედრო, არაძალისმიერი, არადაძაბული გზის გამონახვას ვცდილობთ ჩვენი სამშობლოსთვის უპირველესი რიგის პრობლემების მოსაგვარებლად, ეს საწოლქვეშა „ვაჟკაცები“ გულზე მჯილის ბრახუნით გვიწოდებენ „რუსეთის მონებს“, „პუტინის ჩექმის მლოკველებს“, „კოლაბორაციონისტებს“ და სხვა მათთვის უკვე სავალდებულო რეცეპტულ ფრაზებად ქცეულ სისულელეებს.

საქმე საქართველოსთვის მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემას — ტერიტორიულ მთლიანობასა და ძირძველი, ისტორიული ქართული მიწების ოკუპაციას რომ არ ეხებოდეს, გაეღიმებოდა კიდეც ადამიანს, ისეთი პერსონები ცდილობენ, თავი „ოკუპანტთან უშიშარ მებრძოლებად“ წარმოაჩინონ.

მაგალითად, ასეთი „ვაჟკაცების“ ბელადად თავისუფლად შეგვიძლია ვაღიაროთ **გიგა ნასარიძე**, რომელიც 2008 წლის ომის დროს მხოლოდ იმით გამოირჩა, რომ ვაკეში, რუსეთის საელჩოსთან, დამტვრეული უნიტაზი მიიტანა და ამით, თავისი ჭკუით, რუსი ჯარისკაცების მიერ ქალაქ გორის ძარცვა და საცხოვრებელი ბინებიდან უნიტაზების მოპარვა გააპროტესტა. როგორც ჩანს, გიგასთვის „გორი შორია“, თორემ სჯობდა, ის უნიტაზი, შუაგულ ვაკეში კი არა, გორში წაეღო და მტერიც საკუთარი თვალით ენახა...

ამაზე ერთი შემთხვევა მახსენდება, რომელიც სტუდენტობის პერიოდში გადამხდა თავს. მესამე კურსზე ვიყავი, სამხედრო ყაზარმებში რომ წაგვიყვანეს მთელი კურსი, ქუთაისში, 35-ე სამხედრო ქალაქში, რამდენიმე თვით. იმ წელს თავდაცვის სამინისტრომ ფინანსები გამონახა და სტუდენტებმა ჩვეულებრივი წვევამდელებივით ყაზარმებში გავიარეთ სამხედრო მომზადება, რის გამოც მიმაჩნია, რომ გამიმართლა. სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და, **ჯარში ჩემთან ერთად უნდა ყოფილიყო რამდენიმე აწ უკვე ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, რომლებმაც ყაზარმებში 2-3 თვით ყოფნასაც კი აარიდეს თავი და ფული გადაიხადეს, ქართულ ჯარში რომ არ წამოსულიყვნენ, ახლა კი ხშირად „პატრიოტობენ“.** მოკლედ, ქუთაისამდე მატარებლით ჩაგვიყვანეს და გზაში საუბრის ძირითადი თემა სწორედ აფხაზეთის დაბრუნება-ვერდაბრუნება იყო. 1997 წელი იდგა. აი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო „რუსეთს თავი არ უნდა დავუხაროთ“ ტიპის აგიტაცია, რაც, ჭკვიანი და მართლა პატრიოტი ადამიანისთვის იმთავითვე ცხადი იყო, მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს აძლევდა ხელს რუსეთის გასაღიზიანებლად, ამ ქვეყნისთვის მაქსიმალური ზიანის მისაყენებლად, რისთვისაც აპირებდა სრულიად კავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოს გამოყენებას.

მე, პირადად, და არაერთი ჩემნაირად მოაზროვნე იმთავითვე ვამბობდით, რომ ამერიკისთვის ეს მხოლოდ „გართობაა“ და იმის შემოწმება, რაზეა რუსეთი წამსვლელი, რას გაბედავს და რას ვერ გაბედავს, ხოლო, თუკი ამერიკელთა მიერ „რუსების დაჩმორების“ ამ სტრატეგიამ არ გაამართლა, მხოლოდ საქართველო იზარალებს, ამერიკა კი ბოდიშს მოგვიხდის და სხვას არაფერს გააკეთებს.

**ჩვენი იმჟამინდელი ნათქვამი 11 წლის შემდეგ, 2008 წელს, ახდა. ამერიკამ „გემი შემოუშვა ფოთში“ საქართველოსთვის „მხარდაჭერის დაფიქსირების მიზნით“ და, როდესაც „შეშინებულმა რუსეთმა“ სოხუმი და ცხინვალი ოფიციალურად წაგვართვა — თბილისი ხომ შეგანარჩუნებინეთო! — ამაყად გვითხრეს ამერიკელებმა და „ვალმოხდილი მეგობრების“ იერით გავიდნენ ფოთიდან.**

ამის შემდეგ თითქმის 10 წელი გავიდა და ჩვენი „მეგობრებისა“ და „სტრატეგიული პარტნიორების“ საქციელი ჩვენ მიმართ დიდად არ შეცვლილა. მიუხედავად ამისა, დღესაც იმავეს იჩემებს ზოგიერთი, — რუსეთს არ უნდა დავუჩოქოთო. და ხომ წარმოგიდგენიათ, 1997 წელს რა იქნებოდა?

მოკლედ, თბილისიდან ქუთაისამდე რამდენიმე თანაკურსელმა ყურები გამოგვიჭედა ბაქიბუქით, — ჩვენ არ ვართ ვაჟკაცი ერი, არ ვიმსახურებთ თავისუფლებას. აგერ, ჩეჩნები, ხომ ხედავ, რა დღეში აგდებენ რუსეთსო (ჯერ კიდევ გაგანია ბობმთაცვენა იყო ჩეჩნეთში).

აი ასეთი რიტორიკით ცდილობდნენ ჩვენს დაშინებას, — ემანდ, ლაჩრები არ ვეგონოთო, — გავეჩუმებინეთ, თვითონ კი ლამის ისტერიკულად ითხოვდნენ აფხაზეთის ომით დაბრუნებას, რუსეთისთვის ომის გამოცხადებას, წინაპრების სულების გამოძახებას და ა.შ.

საღამო ხანს მატარებლიდან ჩამოგვრეკეს და საღორიის უბანში ყაზარმებში შეგვრეკეს. მე და რამდენიმე ჩემნაირმა „რუსეთუმემ“ დავიწყეთ სასურველი „კოიკის“ მოძებნა, ტანსაცმლის გამოცვლა, „ტუმბოების“ ათვისება, „კაპტიორკაში“ სამგზავრო ჩანთების შეტანა და ა.შ. ამ გაწამაწიაში ქალური ქვითინი შემომესმა. მოვიხედე და ერთ-ერთ ნარზე ჩამომჯდარი ჩემი თანაკურსელი დავინახე, სწორედ ის, რომელიც აფხაზეთის ომით დაბრუნებას ყველაზე ხმამაღლა ითხოვდა და, რომელიც ყველაზე მედგრად უხმობდა წინაპართა სულებს (სახელს და გვარს არ ვასახელებ, მაგრამ ვინმეს თუ ჰგონია, რამეს ვაჭარბებ, პირადად მომმართოს და ვეტყვი). მივუჯექი გვერდით და ვეკითხები, რა გჭირს, რა გატირებს-მეთქი?

ალალად მიპასუხა: „მე დედა და მამა ყოველთვის მანებივრებდნენ, გაქათქათებული ბუმბულის ლეიბისა და ფაფუკი საბნის გარდა არაფერში მძინებია და ამ რკინის საწოლზე, ამ აყროლებულ ლეიბზე და თითქმის სველ გადასაფარებელში როგორ დავიძინო?“ და ამხელა კაცი მართლა ქალივით ქვითინებდა. გამეღიმა და პირდაპირ ვუთხარი: ბიჭო, შენ არ იყავი, მატარებელში ლაჩრები რომ გვეძახე და გმირი წინაპრების შემარცხვენლები? ომს რომ აპირებ, რა გგონია, ომში ფაფუკ ქვეშაგებელს მოგართმევს ვინმე თუ დედიკო გამოგყვება წინა ხაზზე?

დღემდე არ დამვიწყებია, როგორი გაოცებული თვალები ჰქონდა, როცა მიპასუხა: „ძმაო, მე ომს რომ ვითხოვ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მე უნდა წავიდე ომში. არა, ამ სამყაროში ყველას თავისი დანიშნულება აქვს. ვიღაც ვარგა მეომრად, ვიღაც — არა. ვიღაცას „ტვინის“ ფუნქცია აქვს დაკისრებული. ომში უნდა წავიდეს ის, ვინც მეომარია. მე და ჩემნაირებმა კი ისინი უნდა ვმართოთ!“

რა თქმა უნდა, არც მიცდია, შემეგნებინებინა ამ დებილისთვის, რომ ომში მტერი, მხოლოდ წინა ხაზს კი არა, ზურგსაც უმოწყალოდ ბომბავს, რადგან უკვე მეგობრები მტაცებდნენ ხელიდან ამ აბღავლებულ რეგვენს, რომელსაც ომი სხვისთვის უნდა და არა თავისთვის; რომელიც ვაჟკაცობას სხვის ხარჯზე ქადაგებს, წინაპრების სულებს სხვისი გამოყენებით ეკეკლუცება და სხვისი დედების ატირება არაფრად მიაჩნია, მთავარია, მისმა დედიკომ ჩააწვინოს ქათქათა თეთრეულში.

მაშ, მიპასუხეთ, **ვინმეს წარმოგიდგენიათ სანგარში ჩაწოლილი, მიწითა და სამხედრო ტექნიკის გამონაბოლქვით სახეგამურული, მტრის მიმართ მრისხანებით ანთებული გიგა ნასარიძე, რომელსაც ყუმბარის ნასხვრევი აქვს მოხვედრილი სხეულზე და აინუნშიც არ აგდებს, ისე მიიწევს მტრის პოზიციებისკენ?**

დიახ, გაგელიმებათ, ეს სამშობლოსთვის უმტკივნეულეს საკითხს რომ არ ეხებოდეს!

სამაგიეროდ, **„გიგა ნასარიძეებს“ დაზუთხული აქვთ ფრაზები: „აბა, რა ვქნათ, წავიკუზოთ რუსეთის წინაშე?“, „აბა, ფეხები ავულოკოთ პუტინს?“, „აბა დათვს ბაბაია დავუძახოთ?“** და ა. შ.

სხვათა შორის, ასეთი ბრიყვული რიტორიკით იმ დონეზე გამოაშტერეს ზოგიერთი, რომ ამას წინათ **მანანა ნაჭყებიამ** ნამუსზე აგვაგდო: „რომ გაიძახით, რუსეთს ვერ მოვერევით და ამიტომ მასთან ომს ყველა მეთოდით თავი უნდა ავარიდოთო, ეგრე რომ ეაზროვნათ ქართველთა წინაპრებს და ომებისთვის თავი აერიდებინათ ხოლმე, ხომ განადგურდებოდა დღემდე საქართველო?!“

არადა, საქართველოს ისტორია სავსეა მაგალითებით, როგორ აარიდეს თავი ჩვენმა მართლა ბრძენმა წინაპრებმა უთანასწორო ომს, როგორ ეახლნენ ქართველი მეფეები და დიდებულები მტრის მეფეებს, შაჰებს, ყაენებს და გაითვალისწინეს მათი ინტერესები, დამორჩილდნენ და სწორედ ასე იხსნეს და მოიყვანეს დღემდე საქართველო.

ასეთი შტერობის მთქმელი მანანა ნაჭყებია კი დღემდე ამაყად განიხილავს რუსეთ-საქართველოს თემას სხვადასხვა ტელევიზიის პირდაპირ ეთერში და ჭკუასაც გვარიგებს...

საბოლოოდ, მართლა რეალურად მაინტერესებს — რას ეძახის ეს ხალხი „არდაჩმორებას“, „არწაკუზვას“, მტრისთვის „ფეხების არ ალოკვას“?

ერთ ანეკდოტს მოვყვები და გამგებმა უნდა გაიგოს:

ცოლი სცემს ქმარს, მოსდევს იატაკის ჯოხით, აშკარად უფრო ძლიერია ქმარზე და ჩაგრავს. აუჭრელა გვერდები. ბოლოს ქმარმა, როგორც იქნა, მოისაზრა და შევარდა საწოლქვეშ, ყველაზე შორ კუთხეში მიიკუნჭა, რათა ცოლის იატაკის ჯოხი ვერ მიწვდომოდა და არ გამოდის იქიდან. მიადგა ცოლი საწოლს, უკივის და უწივის: — გამოდი მაქედან! სად შეძვერი! გამოდი დროზე!“

ქმარმა გამოყო თავი საწოლის ქვეშიდან, იატაკზე მუშტი დააბრახუნა და მკაცრი სახით უპასუხა:

— ამ ოჯახის უფროსი მე ვარ და, სადაც მინდა, იქ შევძვრები!

**ხომ არავის გაგონებთ?**

**საქმე საქართველოსთვის მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემას — ტერიტორიულ მთლიანობასა და ძირძველი, ისტორიული ქართული მიწების ოკუპაციას რომ არ ეხებოდეს, გაეღიმებოდა კიდეც ადამიანს, ისეთი პერსონები ცდილობენ, თავი «ოკუპანტთან უშიშარ მებრძოლებად» წარმოაჩინონ**

**მიხეილ სააკაშვილმა მოიფიქრა და შექმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომია, მოიფიქრა და შექმნა დიმიტრი სანაკოევი, სამხრეთ ოსეთს მიუერთა ახალგორის რაიონი თავის სოფლებიანად და შედეგად მივიღეთ ის, რომ აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილის მიერ დეკლარირებული დოკუმენტით რუსებს მიაქვთ ის სოფლები, რომლებიც სამხრეთ ოსეთს სააკაშვილმა ხელის ერთი მოსმით გადასცა. სხვათა შორის, ანალოგიური სქემით იმოქმედა სააკაშვილმა, როცა კოდორის ხეობა ზემო აფხაზეთად გამოაცხადა და, პრაქტიკულად, უზრძოლველად ჩააბარა.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართულ მიწას მეზობლებს კანონით ვუმტკიცებთ, საკუთარ თავს კი — იმას, რომ ეს კარგია

## მეზობელ სომხეთს ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსსა და არპის ნაციონალურ ტყე-პარკს ვუთმობთ

**შემოდგომაზე სომხეთთან საზღვრის დელიმიტაციის პროცესი დასრულდება და მხარეები ხელს მოაწერენ დოკუმენტს, რომელიც მეზობელ ქვეყანასთან საზღვარს ოფიციალურად დაადგენს.**



ხუჯაბის სამონასტრო კონპლექსი




შეგახსენებთ, რომ ამჟამად საქართველოს მხოლოდ თურქეთთან აქვს საზღვარი დადგენილი და ისიც რამდენიმე თვის წინათ მოვახერხეთ... სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინათ თურქეთს ამ დოკუმენტით ექვს ჰექტარ მიწაზე მეტი დავუთმეთ, აქაოდა, წლების წინათ მდინარე ადიდდა, კალაპოტი შეიცვალა და საქართველოს ექვსი ჰექტარი ერგოო. რაც შეეხება სომხეთთან საზღვრის დელიმიტაციას, **გაირკვა, რომ, შემოდგომაზე ხელმოსაწერი დოკუმენტის მიხედვით, ჩვენს მეზობლებს ხუჯაბის სამონასტრო კონპლექსსა და არპის ნაციონალურ ტყე-პარკს დავუთმობთ.** სადავო მეზობელთან სწორედ ეს გვქონდა. ანალოგიური პროცედურები მიმდინარეობს კიდევ ერთ მეზობელთან — აზერბაიჯანთან და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, **როცა დღის წესრიგში აზერბაიჯანთან საზღვრის დელიმიტაციის დრო დადგება, მეზობლებს დავით გარეჯის მონასტრის სადავო ნაწილს დავუთმობთ... საუბარია ჩიჩხიტურის კოშკზე, სწორედ იმაზე, რომელსაც დღემდე სასროლეთისთვის იყენებენ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები და მას შეგნებულად აზიანებენ.** სხვათა შორის, საჯაროდ არავინ ამბობს, თორემ აზერბაიჯანული მხარე სადავო ტერიტორიებად, საგარეჯოს რაიონის გარდა, ლაგოდეხის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონსაც თვლის.

სომხეთთან მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა და პირველ სექტემბერს კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართება. ჩვენი ინფორმაციით კი ეს შეხვედრა სწორედ დოკუმენტის ხელმოსაწერად გაიმართება და ის საქართველო-სომხეთის საზღვარზე შედგება, ზუსტად ისე, როგორც თურქეთი-საქართველოს საზღვარზე ხელის ერთი მოწერით დავთმეთ ექვსი ჰექტარი. ცნობისთვის: **სომხებმა უკვე დოლს შემოჰკრეს, აქაოდა, ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ სამშობლოს უბრუნდება, მალე იქ სომეხი ტერტერა მივა და ილოცებსო. როგორ გგონიათ: ქართული მხარე იტყუება თუ სომხური?!**

ჰო, ჩვენც ასე გვგონია...

მეზობლებთან „კეთილგანწყობილები“ მხოლოდ ამ მიმართულებით არ ვართ. აბრა, რომელიც გვაუწყებდა, რომ 1757 წელს ქართველთა ლაშქარმა სოლომონ I-ის მეთაურობით თურქთა ლაშქარს მუსრი გაავლო, თურქების მოთხოვნით შეიცვალა და ახლა წერია, რომ ქართველთა ლაშქარმა მტერი დაამარცხა. ხრესილის მარცხის დავიწყების შემდეგ, თურქები დიდგორის დავიწყებასაც ცდილობენ და სწორედ მათი რეკომენდაციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ დიდგორობის უქმე დღედ გამოცხადების პროცედურა შეაჩერა. არადა, კანონი მომზადებული იყო, პარლამენტშიც იყო შეტანილი განსახილველად, მაგრამ ახლა ამ კანონს მტვერი ადევს.

ყველაფერ ამის ფონზე, **სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, რომელზეც ასახულია, როგორ უშლის დაცვის პოლიცია ქართველ ბავშვებს ქართული ცეკვის შესრულებას იმ მიზეზით, რომ თურმე იქვე, ახლოს ირანის საელჩოა და ირანელებს ქართული მელოდიები არ მოსწონთ. გამოდის, საქართველოში გვიკრძალავენ იმას, რითაც მსოფლიო გვიცნობს — ცეკვასა და სიმღერას, ქართულ ფოლკლორს.** როგორც ჩანს, სამართალდამცველები ძალიან უფრთხილდებიან ირანელთა „ფაქიზ ფსიქიკას“ და სულაც არ ადარდებთ, რა დაემართებოდა იმ ბავშვებს, რომლებიც ცეკვავდნენ, და ჯერ მედოლეს გააჩერებინეს დოლის დაკვრა, შემდეგ კი ცეკვაც აკრძალეს. ეს მაშინ, როცა ბათუმში ხან თურქული მუსიკა ისმის, ხან სომხური სიმღერები და ხანაც აზერბაიჯანული ბაიათები.

შესაბამისად, 14 ივლისს დაგეგმილი „ქართული მარში“ თითქოს დროული და საჭიროა, მაგრამ ხელისუფლების დუმილის ფონზე ოპოზიციამ ხმა აღიმაღლა და გამოაცხადა, რომ ეს ყველაფერი რუსეთის სპეცსამსახურების დადგმულია და, არალეგალების კრიმინალური ქმედებების ნაცვლად, საოკუპაციო ზოლთან რუსეთის ოკუპაცია უნდა გავაპროტესტოთ. ამ იდეის ინიციატორები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან და ისინი არ ამბობენ, რომ ტერიტორიების ოკუპაცია, რომელიც თურმე სწორედ 14-ში უნდა გავაპროტესტოთ, მათი დამსახურებაა. **მიხეილ სააკაშვილმა მოიფიქრა და შექმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომია, მოიფიქრა და შექმნა დიმიტრი სანაკოევი, სამხრეთ ოსეთს მიუერთა ახალგორის რაიონი თავის სოფლებიანად და შედეგად მივიღეთ ის, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, სააკაშვილის მიერ დეკლარირებული დოკუმენტით, რუსებს მიაქვთ ის სოფლები, რომლებიც სამხრეთ ოსეთს სააკაშვილმა ხელის ერთი მოსმით გადასცა. სხვათა შორის, ანალოგიური სქემით იმოქმედა სააკაშვილმა, როცა კოდორის ხეობა ზემო აფხაზეთად გამოაცხადა და, პრაქტიკულად, უზრძოლველად ჩააბარა.** და ახლა, სააკაშვილის ჩასვრილი საქმის გასაპროტესტებლად უნდა დაირაზმოს თურმე სრულიად საქართველო და ის, რომ საქართველოში მალე ქართულად საუბარიც აღარ მოეწონებათ და თურქული, ირანული, ინდური თუ ჩინური ენების შესწავლას დაგვაწყებინებენ, თურმე ჩვეულებრივი ამბავია. ისიც ჩვეულებრივი ამბავია, სააკაშვილის ხელისუფლებამ 4 შვილის დედა **თეა სირაძე** 5 ინდოელი მამაკაცის გალახვისთვის რომ დააკავა და მისმა გუნდმა ტაში დაუკრა. ახლა კი, როცა ირანელი მამაკაცი არასრულწლოვანის გაუპატიურების მცდელობისთვისაა დაკავებული, ხმას არ ვიღებთ და არ ვიმჩნევთ, — უცხო ქვეყნის მოქალაქეა და არაფერი ეწყინოსო...

ის, რომ სწორედ 14 ივლისს აპირებენ ოკუპაციის გაპროტესტებას, შემთხვევითი არ არის. ამ ყველაფრის ფონზე, არავინ აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ **დონალდ ტრამპისა** და **ვლადიმერ პუტინის** შეხვედრას მთელი ცივილიზებული სამყარო განიხილავს. გავრცელებული ცნობის თანახმად, შეხვედრას, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** და სახელმწიფო მდივანი **რექს ტილერსონი**, ხოლო რუსეთის მხრიდან ვლადიმერ პუტინი და საგარეო საქმეთა მინისტრი **სერგეი ლავროვი** ესწრებოდნენ, საუბარი დაძაბულად წარიმართა. როგორც ტილერსონი ყვება, პუტინი ბოლო ხმაზე უყვიროდა ტრამპს და კიბერშეტევასთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთს ბრალდება, მტკიცებულებების დადებას ითხოვდა. თუ კარგად ვერ გაიაზრეთ, კიდევ გავიმეორებთ: პუტინი უყვიროდა ტრამპს და დოკუმენტების წარდგენას ითხოვდა. სწორედ ის პუტინი, ჩვენ ოკუპაცია რომ უნდა გავუპროტესტოთ, უშვერი სიტყვებით ვლანძღოთ და მერე რა, თუ აგვისტო მოდის. **გაღიზიანებული მეზობელი სამხედრო ინტერვენციას თუ დაიწყებს, ეს ხომ საუკეთესო ვარიანტი იქნება ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. სწორედ ეს აქვთ გათვლილი ოპოზიციაში და სულ არ ანაღვლებთ, მათ პროვოკაციას ერთეულები შეეწირებიან თუ ასეულები. ასე იყო 2008 წელს და ასეა ახლაც...**

დღე არ გავა, საქართველოდან აზერბაიჯანში გატაცებული თუ საკუთარი ნებით გადასული ჟურნალისტი **აფგან მუხთარლი** არ ახსენონ ტელევიზიებმა, ხოლო კონგოში გატაცებული **სოსო ოსორაული** უკვე მიივიწყეს და მას, ოჯახის წევრების გარდა, არავინ ახსენებს. **ოპოზიციურ პარტიებს თავში აზრადაც არ გაუვლიათ, ოსორაულის გატაცება გაეპროტესტებინათ, ამაზე გამოეცხადებინათ თარიღი, შეკრებილიყვნენ, აქტიური ქმედება მოეთხოვათ, ბოლოს და ბოლოს, იმ მილიონი დოლარის მოგროვება დაეწყოთ, რომელსაც გამტაცებლები ოსორაულის სანაცვლოდ ითხოვენ.** არა, ეს არ არის მომგებიანი, რადგან ერთი კაცი მათთვის ტრაგედია არ არის, ტრაგედიის შესაქმნელად მასშტაბებია საჭირო და მასშტაბური ტრაგედია სწორედ იქ შეიძლება მოხდეს, სადაც შეიარაღებული ხალხი დგას, სადაც შეგიძლია პროვოკაციაზე წამოაგო „თოფიანი კაცი“ და მერე ხელისუფლება უნიათობაში დაადანაშაულო. კონგოელი გამტაცებლები მტრები არ არიან, მტერი მხოლოდ რუსეთია და ამიტომ, სწორედ მათ უნდა მივუხტეთ ბუნაგში და ეგებ ვინმემ თოფიც ისროლოს...

გაგიკვირდებათ და, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად არც ხელისუფლების წარმომადგენლებს სცალიათ, ისინი პრეზიდენტთან კეჭნაობით არიან დაკავებულნი და იმ კონსტიტუციის გატანას ფიქრობენ, რომელიც დაწერეს და შექმნეს. ერთი ეგაა, თუ ასე გაგრძელდა, კონსტიტუცია არც ჩვენთვის იქნება და არც ჩვენი შვილებისთვის — საქართველოს მიწას მეზობლებს კანონიერად, დოკუმენტებით ვუმტკიცებთ, საკუთარ თავს კი — იმას, რომ ეს კარგია.

14 ივლისს „ქართული მარში“ გაიმართება... ოპოზიციამ ის უკვე მონათლა რუსულ პროექტად და რუსულ, „ქსენოფობიურ“ მარშს შეადარა. რუსმა „ქსენოფობებმა“ კი თავიანთ სამშობლოში უკვე აკრძალეს სექტები, აკრძალეს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევართა დემონსტრაციები, იქ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე ხმასაც ვერავინ იღებს და ჩვენ...

ქალები უკვე წაგვართვეს, ახლა ირკვევა, რომ მუსიკას გვიკრძალავენ და გამოდის, დუდუკიც წაგვართვეს, ღვინო კი ჯერ ისევ შეგვრჩა. ჰოდა, ღვინოს მიეძალეთ, მერე, ნამთვრალევზე, ლეგალიზებული მარიხუანა მიაყოლეთ და ერთმანეთის შესაშინებლად იძახეთ: „რუსი მოდის, რუსი მოდის...“

**ბესო ბარბაქაძე**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ არ შეიძლება ქვეყანაში ისეთი ორგანიზაციების ფუნქციობა, რომლებიც დაუფარავად ებრძვიან ეროვნულ ფასეულობებს, ღირებულებებსა და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ეს არის საფრთხე, რომელიც დამოკლეს მახვილივით კიდია თითოეული ჩვენგანის თავს ზემოთ. წარმოიდგინეთ, გარშემო მუსლიმანური სახელმწიფოები გვყავს და ვიღაცები საქართველოს ადანაშაულებენ მუსლიმანების ჩაგვრაში.**

# «მაქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობის დასაკანონებლად ემზადება»

**არასამთავრობო ორგანიზაცია TDI-მ (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი) კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე საგანგებო განცხადება გაავრცელა. განცხადების თანახმად, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი საფრთხეს უქმნის რელიგიის თავისუფლებას და „წარმოშობს უფლებაში არამართლზომიერი ჩარევის მაღალ რისკს“. „მოყვანილი ფორმულირება აუარესებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტს, რადგან აფართოებს შეზღუდვის იმ პირობებს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია უფლებაში ჩარევა. ამასთანავე, წინაპირობების ნაწილი ბუნდოვანია და განჭვრეტადობის სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს, რადგან სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა, ამ საფუძვლების საფარქვეშ არამართლზომიერად ჩაერიოს უფლებით დაცულ სფეროში და მნიშვნელოვნად გაართულოს მისი პროცესუალური დაცვა“, — აღნიშნულია განცხადებაში. კონკრეტულად რომელი უფლებების დაცვაზე საუბრობს ორგანიზაცია TDI, რას ნიშნავს რელიგიის თავისუფლება და რა საფრთხეებს ქმნის ახალი კონსტიტუციის პროექტი ამ თვალსაზრისით — ამ საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ უფლებადამცველებსა და სასულიერო პირს დაუკავშირდა.**



## „ეს ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დაგვპირდა და თავზე არალეგალები დაგვასვა“

**ნიკოლოზ მჟავანაძე, უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე:**

— საქართველო ნორმალური სახელმწიფო რომ იყოს, ეს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები არ უნდა რეგისტრირდებოდნენ და, საერთოდ, არ უნდა არსებობდნენ. ესენი არიან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ მართული სუბიექტები და გარკვეული უცხო ძალების ინტერესების შესაბამისად ახორციელებენ ქვეყნისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას. ეს ორგანიზაციები, უკვე დიდი ხანია, თხუპნიან საპატრიარქოს კედლებს და აკეთებენ პროვოკაციულ განცხადებებს, როგორც ეკლესიის, ისე პირადად პატრიარქის მისამართით. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ამ ორგანიზაციების არსებობა ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობის უსუსურობაა. უბრალოდ, ხელისუფლებას არ შესწევს ძალა და არც იმის ნება აქვს, რომ დაინტერესდეს და გამოიძიოს, საიდან ფინანსდებიან ეს ვაიორგანიზაციები...

**— კონკრეტულად რაში გამოიხატება ხელისუფლების უსუსურობა?**

— უსუსურობაა ის, რომ ასეთი ტიპის ორგანიზაციებს იწვევენ უმაღლესი დონის შეხვედრებზე, სადაც განიხილება კონსტიტუციაში განსახორციელებელი ცვლილებები, სადაც იმყოფებიან უცხო ქვეყნების დელეგაციები და ა.შ. აი, ამიტომ არის ეს ქვეყანა ასეთ დღეში და, ხვალ-ზეგ რომ გამოვიდნენ და ერთბაშად მოითხოვონ ყველა იმ უზნეობის დაკანონება, რომელიც ევროპაში ხდება, არ იქნება გასაკვირი. **დღევანდელ მსოფლიოში არიან საკმაოდ მძლავრი გლობალისტური ძალები, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს კაცობრიობის გარყვნა და დაცემა. მათ სამსახურშია პროპაგანდის ყველა საშუალება, რომლებითაც ხდება ადამიანების დარწმუნება, რომ თურმე ცოდვა არ არსებობს, თურმე ყველანაირი გადახრა და ამორალურობა, რომლითაც შეიძლება ადამიანი შეპყრობილი იყოს, ნორმაა და ეს უნდა მივიღოთ, როგორც ჩვეულებრივი ამბავი.** კიდევ ვიმეორებ: ისინი არიან ავადმყოფები და ძველად ასეთ ადამიანებს სარზე სვამდნენ. ახლა, რა თქმა უნდა, ამას ვერ გააკეთებ, მაგრამ რაღაც სხვა ბერკეტები უნდა გამოვიყენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალ თაობებს წაგვართმევენ. რაც დრო გადის, საზოგადოება მიჰყავთ სრული მორალური დეგრადაციისკენ.

**— რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები არ წარმოადგენდნენ ქვეყანაში ასეთ ანგარიშგასაწევ ძალას?**

— კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ არ შეიძლება ქვეყანაში ისეთი ორგანიზაციების ფუნქციობა, რომლებიც დაუფარავად ებრძვიან ეროვნულ ფასეულობებს, ღირებულებებსა და სახელმწოფოებრივ ინტერესებს. ეს არის საფრთხე, რომელიც დამოკლეს მახვილივით კიდია თითოეული ჩვენგანის თავს ზემოთ. წარმოიდგინეთ, **გარშემო მუსლიმანური სახელმწიფოები გვყავს და ვიღაცები საქართველოს ადანაშაულებენ მუსლიმანების ჩაგვრაში. ხვდებით, ამას რა შეიძლება მოჰყვეს?! ეს ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დაგვპირდა და თავზე არალეგალები დაგვასვა...**

არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: დღეს საქართველო არის სოდომი და გომორა. ქვეყანაში, სადაც ინფორმაციის მასობრივი საშუალებების უმრავლესობა, მთელი პოლიტიკური სპექტრი ჩაძირულია უზნეობის ჭაობში, არ არსებობს არაფერი წმინდა, გარდა ერთეული ადამიანებისა, რომლებსაც, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ შესწევთ ძალა და გამძლეობა, რომ წინ აღუდგნენ ყველანაირ გარყვნილებას...

**— არასამთავრობო ორგანიზაციების აკრძალვა ან მათი შეზღუდვა, რა საფუძვლითაც უნდა მოხდეს, ხომ არ ფიქრობთ, რომ გარკვეულ პოლიტიკურ დაძაბულობას გამოიწვევს დასავლეთსა და ჩვენს ხელისუფლებას შორის?**

— რა, ისრაელში თუ არის აკრძალული რაღაც-რაღაცები, რომელიმე ქვეყანაზე ნაკლები დემოკრატია აქვთ?! აბა, გაბედოს ვინმემ და უთხრას მათ ხელისუფლებას, რომ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს მოსმენების უფლება; ან ვინმემ გაბედოს და შეეხოს მათ რელიგიას... მაინც და მაინც ამ ცისფრებისა და პედარასტების პროპაგანდაში უნდა ვედრებოდეთ ევროპას?! მაშინ რაღად გვინდა საერთოდ ეს დამოუკიდებლობა, ავდგეთ და იურიდიულად მივიუერთდეთ რომელიმე დასავლურ სახელმწიფოს. **რა მნიშვნელობა აქვს ან კანონის არსებობას, ან კონსტიტუციის, თუ მაინც ვიღაცამ უნდა გვიკარნახოს გარედან, რა ჩავწეროთ ამა თუ იმ დოკუმენტში?!**

სამწუხაროდ, დღეს ჩვენ აღარ ვართ სახელმწიფო, დღეს საქართველო ჩაძირულია ულმერთობისა და უნამუსობის, წარმოუდგენელი აღვირახსნილობის მორევში...

## „ემზადებიან სამოქალაქო კოდექსში გარკვეული ცვლილებების შესატანად, რომლებითაც მოხდება ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობის რეგისტრაციის დაშვება“



**დიმიტრი ლორთქიფანიძე, იურისტი, უფლებადამცველი:**

— ნეოლიბერალური ძალებისა და მათთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების სტრატეგია სრულიად ნათელია. სწორედ მათი და მათი დასავლელი მამამარჩენლების აქტიურობის შედეგად 2010 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც სხვადასხვა რელიგიურ კონფესიას იურიდიული სტატუსი მიენიჭა და გამოეყო დაფინანსება ბიუჯეტიდან, აქტუალურია კონკორდატის საკითხი. რატომ? — იმიტომ, რომ ეს იყო მთავარი პრობლემა, რომელიც ამ ე.წ. ნეოლიბერალებს აღელვებდათ და არაერთი მაღალი ტრიბუნიდან, მათ შორის, სახალხო დამცველის მხრიდანაც, გაკეთებულა განცხადება, რატომ კონკორდატი მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და იგივე პირობები რატომ არა სხვა კონფესიებს. დღეს უკვე ხმამაღლა ისმის ეს პრეტენზიები და მეტიც, განცხადებები ერთგვარ კოალიციურ რეჟიმში კეთდება. მაგრამ, ვფიქრობ, მათ არაფერი გამოუვათ, რადგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი საკმაოდ მკაფიოდაა გაწერილი კონსტიტუციაში.

რაც შეეხება მიზეზს, რომლის გამოც სამღვდელოება და პირადად მისი უწმინდესობა მუდმივად სამიზნეში ჰყავთ ამოღებული ამ ორგანიზაციებს, ძალიან მარტივი ახსნა აქვს: ყველა გამოკითხვითა და კვლევით, ყველაზე მაღალი ავტორიტეტის მქონე ინსტიტუტი დღეს ქვეყანაში არის სწორედ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია. აი, ეს უშლით მათ ნერვებს და აფრთხობთ, ამიტომ არის წარმოუდგენლად დიდი რესურსები მიმართული იქით, რომ ხვალ-ზეგ რაც შეიძლება ნაკლებმა ადამიანმა იაროს ეკლესიაში. ეს არის მათი ვალდებულება, რომელიც გულისხმობს ტოლერანტობის საფარქვეშ ეკლესიის დაკნინებასა და დისკრედიტაციას.

**— რამდენიმე დღის წინათ ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ჯანი ბუკიკიომ განაცხადა, რომ ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობა აუცილებლად კანონით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. როგორ ფიქრობთ, გაითვალისწინებენ ჩვენი კანონმდებლები მის რჩევა-დარიგებას?**

— არსებობს ვალდებულება, რომელიც რასიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებზე მომუშავე ევროპული კომისიის მიერ რეკომენდაციების სახით გავრცელდა ჯერ კიდევ 2015 წლის მარტში და რომლის ფარგლებშიც საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია, საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოს ე.წ. ერთნაირსქესიანი წყვილების სამოქალაქო პარტნიორობა. ეს ყველაფერი, როგორც შემდგომ გაირკვა, უნდა იყოს ერთგვარი საკანონმდებლო კომპენსაცია იმ ჩანაწერის გამო კონსტიტუციაში, რომელიც ოჯახის დეფინიციას ეხება.

ახლა რაც შეეხება შეკითხვას: გაითვალისწინებენ თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლები დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციებსა და დირექტივებს? — ისინი, ალბათ, მოერიდებიან ამის პირდაპირ გაკეთებას, რადგან იციან, რა რეაქციაც მოჰყვება ხალხისგან, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ ემზადებიან სამოქალაქო კოდექსში გარკვეული ცვლილებების შესატანად, რომლებითაც მოხდება ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობის რეგისტრაციის დაშვება. ამ ცვლილებას მიიღებენ ძალიან მშვიდად, წყნარად და ზედმეტი ხმაურის გარეშე, რაც, ფაქტობრივად, იქნება იმავე ქორწინების დაკანონება, იმიტომ, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებასა და სამოქალაქო პარტნიორულ უფლებებს, სამემკვიდრეო სამართლის თვალსაზრისით, ერთნაირი შედეგი მოაქვს და არანაირი განსხვავება ამ ორ პოზიციას შორის არ არსებობს.



## „ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ნაყიდი და დაქირავებული მოღალატეები არიან“

**მამა გურამი (გამცემლიძე), დიღმის სამი მღვდელმთავრის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი:**

— დღეს საქართველოში მოქმედი ყველა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან, მართლმადიდებლობის მტრები არიან და მიზანმიმართულად ებრძვიან დედაეკლესიას. ასე იყო შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც, ნაციონალების მმართველობის პერიოდშიც და ასეა დღესაც. მათთან არ შეიძლება არც ერთ საკითხზე ლაპარაკი. ამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ნაყიდი და დაქირავებული მოღალატეები, რომლებიც მოქმედებენ კონკრეტული ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ამოცანებით...

**— რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებისა მიიჩნევენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი მართლმადიდებლობას პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს და ამით რელიგიის თავისუფლება ირღვევა. თქვენ, როგორც სასულიერო პირი, რას უპასუხებთ მათ?**

— მათ რომ ჰკითხოთ, ერთნაირსქესიანთა ქორწინებაც უნდა დავაკანონოთ: კაცი კაცზე უნდა დაქორწინდეს, ქალი — ქალზე... ამას ნორმად აცხადებენ, მაგრამ არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: რა პროპაგანდაც არ უნდა მიდიოდეს, რა თანხებიც უნდა დაიხარჯოს და რა ძალისხმევაც უნდა მიმართონ ადამიანების ცნობიერებაზე ზემოქმედებისთვის, ამ სიბინძურეს ქართველ ხალხს მაინც ვერ მოახვევენ თავს. სოდომია არის უმძიმესი ცოდვა და ამას ვერ შეცვლიან, ხოლო, თუ ხელისუფლება მიიღებს მას, როგორც ნორმას, გადაჰყვება ამ ცვლილებას.

რაც შეეხება „ლიბერალების“ წუხილს, რომ მართლმადიდებლობას განსაკუთრებული როლი და ადგილი აქვს ქვეყანაში, ეს ასე იყო ისტორიულად და ასე უნდა იყოს დღესაც. ჩვენ მართლმადიდებლობამ მოგვიყვანა აქამდე. ამის ხაზგასმა და აღნიშვნა არავის დისკრიმინაცია და, მით უფრო, უფლებების შეზღუდვა არ არის. ასე რომ, თუ პირდაპირ ჩაიწერება კონსტიტუციაში, რომ მართლმადიდებლობა უპირატესია და განსაკუთრებული ადგილი უკავია, მისასალმებელი იქნება. ვინც ამაში ცუდსა და დისკრიმინაციულს ხედავს, მისი პრობლემაა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## «თუ პირდაპირ ჩაიწერება კონსტიტუციაში, რომ მართლმადიდებლობა უპირატესია და განსაკუთრებული ადგილი უკავია, მისასალმებელი იქნება»

„არსებობს მეგრული ენა, როგორც სრულფასოვანი ენა, არსებობს მეგრული ენობრივი კულტურა, როგორც ქართული ენობრივი კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. არსებობს და კიდეც უნდა იქმნებოდეს ლიტერატურული ნაწარმოებები მეგრულ ენაზე“.

ჩა ენა წახდეს...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ზურაბ კვარაცხელია:

# ლაზური ენის მსგავსად, მეგრულსაც ემუქრება გაქრობის საფრთხე

**საქართველო უამრავი გამოწვევის წინაშე დადგა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა. გაჭირვებაში ჩავარდნილი ქვეყანა 1990-იან წლებში ბევრმა ქართველმა დატოვა და უცხო ქვეყანას შეაფარა თავი, ეს პროცესი დღემდე გრძელდება... ქვეყნიდან ადამიანების გადინებას, აგრეთვე, მოჰყვა შიგა მიგრაციაც — სოფლებიდან ოჯახებმა დედაქალაქს მიაშურეს ლუკმაპურის საშოვნელად, ორი ავტონომიური ოლქის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, დაკარგვის შემდეგ ლტოლვილთა დიდმა ნაწილმაც თბილისს შეაფარა თავი.**

საუბარი შორიდან დავიწყე, მაგრამ ვფიქრობ, ეს აუცილებელია, რათა ნათლად დავინახოთ პრობლემის სიმძაფრე. თბილისში ჩამოსულ ლტოლვილებსა თუ სამეგრელოდან მიგრირებულ ქართველებს დედაქალაქის მცხოვრებნი მეგრულად ლაპარაკის გამო ხშირად აქილიკებდნენ და გამოაჯავრებდნენ ხოლმე, რაც არაერთხელ ყოფილა უსიამოვნების საბაბი. ანალოგიური მდგომარეობაა სვანებისა და სვანურის მიმართაც, სამაგიეროდ, ჩვენდა სამწუხაროდ, თბილისში, „პარკეტზე“ გაზრდილ ახალგაზრდებს სულაც არ აღიზიანებთ „თბილისელი სომხების“ საუბარი და ენა. ახლა აგრერიგად მომრავლებული უცხოელების ენასაც შეეჩვივნენ და მშვენივრად ასხვავებენ, ვინ სადაურია...

საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ალბათ, მოგისმენიათ ფრაზა: „რა საშინელი კილო აქვთ მეგრელებს (სვანებს)!“, აქვე განვმარტავ, მეგრული კილო არ არის...

დღეს ქვეყანაში არსებული უმძიმესი ვითარებიდან გამომდინარე, იძულებულები ვართ, უხილავი თუ ხილული მტრის წინააღმდეგ ხმა ამოვიღოთ. ვიბრძოლოთ ენის, მიწის, რწმენის, ოჯახის, კულტურული და ისტორიული ფასეულობების დასაცავად. ერთ-ერთი ასეთი უძველესი და უძვირფასესი ღირებულება ქართული ენა და ის ქართველური ენებია, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში შევინარჩუნეთ და რომელსაც ახლა გადაგვარება უწერია, თუ დაცვას ვერ შევძლებთ.

პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** 2001 წლის 12 ოქტომბერს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მე-2 ყრილობაზე წარმოთქვა მეტად საინტერესო სიტყვა: **„არსებობს მეგრული ენა, როგორც სრულფასოვანი ენა, არსებობს მეგრული ენობრივი კულტურა, როგორც ქართული ენობრივი კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. არსებობს და კიდეც უნდა იქმნებოდეს ლიტერატურული ნაწარმოებები მეგრულ ენაზე. ყველაფერი ეს პატივისცემას, შენარჩუნებასა და განვითარებას ითხოვს.**

**რა არის ცუდი იმაში, რომ ქართველი მოსწავლე საქართველოს ყველა კუთხეში ამას წაიკითხავს, ამ ჭეშმარიტებას გაიცნობიერებს და, როდესაც სამეგრელოში თავის თანატოლების წრეში სტუმრად აღმოჩნდება, მეგრულის გაგონებაზე იფიქრებს: ეს ჩემი ძირძველი ენაა, ქართულია, მშობლიურია.**

**შეუწყობს თუ არა ეს ხელს ქართველი ერის გამთლიანებას?**

**მოგეხსენებათ, იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებით, იქ ჯერ კიდევ 10 წლის წინათ სკოლებში შემოღებული იქნა იტალიური ენის ყველა დიალექტის სწავლება, იტალიელები რატომღაც თვლიან, რომ ეს ერის კონსოლიდაციას უწყობს ხელს. ასევე მოიქცა საფრანგეთის მთავრობა სამი წლის წინათ ბრეტონელებისა და კორსიკელების მიმართ, მაგრამ ჩვენს „რეფორმატორებს“ სიამოვნებით გადმოაქვთ დასავლეთიდან ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც ყოვლად მიუღებელია ჩვენი საზოგადოებისთვის, ქართული ეკონომიკისთვის, ქართული ეროვნული შეგნებისთვის, ხოლო დასავლეთის ქვეყნების ის გამოცდილება, რომელიც მართლა მისაღებია, რომელიც ერის გამთლიანებას ემსახურება, ჩვენი ხელისუფლებისთვის მიუღებელია. ყველამ უნდა გაიგოს, რომ სამეგრელოს, მეგრელების, მეგრული ენის, კულტურის, ტრადიციული თვითმყოფადობის სპეციფიკური თავისებურებების დაცინვა, აუგად ხსენება, შეურაცხყოფა ქართველობის მტრობას ნიშნავს, ქვეყნის დაშლას, ერთიანი ქართული ეროვნული სხეულის დანაწევრებას ნიშნავს“.**

1999 წელს, როდესაც საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა, „რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების ვალდებულება აიღო, მაგრამ დღემდე ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. არადა, ევროპისკენ მივისწრაფვით...

**ამ მეტად მტკივნეულ თემაზე სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ წევრ ზურაბ კვარაცხელიას ვესაუბრეთ.**

— საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში კოლხურ-იბერიული მოდგმის თითოეულ ეთნოსუბიექტს უნდა ჰქონდეს თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება-განვითარების შესაძლებლობა. ეს არის ის, რაზეც უნდა იფიქროს, იქადაგოს და ილვაწოს თითოეულმა მამულიშვილმა. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ლაზური ენის მსგავსად, მეგრულსაც ემუქრება გაქრობის საფრთხე. მართალია, ახალგაზრდები საუბრობენ მეგრულად, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რა შეიძლება მოხდეს 30-50 წლის შემდეგ. შეიძლება მეგრული ენაც გაქრეს, და ეს თავიდან რომ ავიცილოთ, ერთად უნდა ვიფიქროთ გამოსავალზე.

**გლობალიზაციის ეპოქაში თვით სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართულ ენასაც კი ემუქრება საფრთხე და, წარმოიდგინეთ, როგორია მეგრული, ლაზური და სვანური ენების მდგომარეობა.**

**— შესაძლოა, ეს დიალექტები საერთოდ გაქრეს?**

— ფაქტია, რომ ეს ენები გაქრობის პირასაა. ცალკეული ენთუზიასტების მცდელობა ნამდვილად არ არის საკმარისი ამ ენების გადასარჩენად. უნდა არსებობდეს საზოგადოების და, რაც მთავარია, ხელისუფლების კეთილი ნებაც, რადგან საჭიროა დამცავი საკანონმდებლო ბაზა და მექანიზმები. მიმაჩნია, რომ აუცილებელია კოლხურ-იბერიული (ქართველური) ენების დაცვის სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოყალიბება. ამ სტრუქტურამ, თავის მხრივ, უნდა შექმნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას, რომელშიც უნდა ჩაიდოს ყველაფერი, რაც შეუქცევადს გახდის მეგრულ-ლაზური და სვანური ენების გადარჩენა-განვითარების პროცესს. თუ რა უნდა ჩაიდოს იმ პროგრამაში, აი ამაზე უნდა იფიქროს საზოგადოებამ და წინადადებებიც შესთავაზოს კომისიას. ვფიქრობ, ეს ენები დაწყებით კლასებში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს. აგრეთვე, აუცილებელია, ამ ენებზე რადიო და ტელემაუწყებლობა სახელმწიფოს ორგანიზებით. უნდა მოხდეს ამ ენებზე ბეჭდვითი გამოცემების სტიმულირებაც. კიდევ გავიმეორებ: **ერთეული ენთუზიასტების ძალისხმევა არ არის საკმარისი და, თუ სახელმწიფოებრივ დონეზე არ მოგვარდა პრობლემა, უახლოეს ათწლეულებში ეს ენები გაქრება. ენის გაქრობა კი, შესაბამისად, ჩვენს იდენტობასაც წაშლის, რაც ეთნოსის სიკვდილია...** აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მრავალგზის მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებას, გაეთვალისწინებინა ჩვენი პოზიცია ამ საკითხისადმი. ვთხოვეთ, შექმნილიყო ქართველური ენების დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მაგრამ სახელისუფლო სტრუქტურებიდან არაფრისმთქმელი, გაუგებარი პასუხები მივიღეთ.

**— ამ წერილს რომ წაიკითხავენ, შესაძლოა, ბევრმა სეპარატიზმის ნიშნები დაინახოს...**

— ეს პირველი შემთხვევა არ იქნება. მუდმივად აპელირება იმაზე, რომ „ეს სეპარატიზმია, ეს არის კრემლის ოცნება და იმპერიულ წისქვილზე წყლის დასხმა“, სიმართლე გითხრათ, უკვე მოსაბეზრებელიცაა და ამაზრზენიც. მავანი მუდმივად ცდილობს, ამგვარი ინსინუაციებით ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ გვამყოფოს. ფაქტი კი არის ის, რომ არც მე და არც სხვა ენთუზიასტები ბრიუსელს, ვაშინგტონსა და მოსკოვს კი არ ვთხოვთ ამ პრობლემის მოგვარებას, არამედ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ თბილისს. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრს ვთხოვთ, მიხედოს საქართველოს უძვირფასეს განძს — მეგრულ და სვანურ ენებს. ამ ქვეყნის ისტორიაში ერთხელ მაინც კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და დაიკისროს პასუხისმგებლობა კოლხურ-იბერიული ენების დაცვა-განვითარებაზე. ჩვენ არ გვსურს საკითხის რადიკალიზაცია. ჩვენ გვინდა საზოგადოებრიობის ფართო წრეებისა და ხელისუფლებისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და თანადგომა. ეს ეროვნული სხეულის ერთიანობას უფრო გაამყარებს. უნდა შეიგნოს დიდმაც და პატარამაც, რომ ამ საკითხის იგნორირება მხოლოდ დააზარალებს ჩვენს ერთიანობას. ამ საკითხზე შესანიშნავად ილაპარაკა ნიჭიერმა ქართველმა კაცმა, პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ, მაგრამ, სამწუხაროდ, მის ნათქვამს არავინ ითვალისწინებს. არადა, ყველა მისი შეფასება და პროგნოზი წინ დაგვხვდება ხოლმე.

> «მოვეფეროთ ჩვენს ენას, ვისაუბროთ მეგრულად, სვანურად, შვილებსაც ვასწავლოთ და ეს ენებიც დაცული იქნება. კონსტიტუცია არ არის ენის სიძლიერის განმსაზღვრელი. ენის სიძლიერის განმსაზღვრელი ხალხია»

**— თქვენ რას აკეთებთ მეგრული ენის დასაცავად?**

— ‘2013 წლიდან ყოველ 29 მაისს აღინიშნება მეგრული ენის დღე ზუგდიდსა თუ სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტებში. ეს თარიღი საგანგებოდ შეირჩა, ენათმეცნიერ **მამანტი ძაძამიას** დაბადების დღეა.

წელსაც აღვნიშნეთ და უამრავი სტუმარიც გვყავდა. ღონისძიება ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში ჩატარდა, სადაც მეგრულად კითხულობდნენ ლექსებს, პოემებს, მღეროდნენ და ყველა გამომსვლელი მეგრულად მიმართავდა დამსწრე საზოგადოებას. ამ დღის აღნიშვნით უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება მშობლიური ენის შენარჩუნებით. ეს, აგრეთვე, იქნება ხელისუფლებისთვის კიდევ ერთხელ შეხსენება, რომ მეგრულ ენაზე ზრუნვა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული უნდა იყოს, რადგან მისი გაქრობით საფრთხე კონსტიტუციით დაცულ ქართულსაც ემუქრება.

მეგრული ენის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე წელს ლაზი **მაჰირ ილდისი** გვესტუმრა, რომელმაც თქვა, თურქეთში მცხოვრებ ლაზებს აქვთ მშობლიური ენის ცოდნის პრობლემა, მის შენარჩუნებას ცდილობენ, მაგრამ არ აქვთ სათანადო წიგნები და სახელმძღვანელოები, რაც ლაზურის შესწავლის პროცესს ართულებსო.

**— რას ეტყვით მეგრელებს, რომლებიც ცდილობენ, მეგრულად აღარ ილაპარაკონ, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთ, რომლებსაც ასეთი საგანძური გვაქვს და სათანადოდ არ ვაფასებთ?**

— მოვეფეროთ ჩვენს ენას, ვისაუბროთ მეგრულად, სვანურად, ვასწავლოთ შვილებს მეგრული, სვანური და ეს ენებიც დაცული იქნება. კონსტიტუცია არ არის ენის სიძლიერის განმსაზღვრელი. ენის სიძლიერის განმსაზღვრელია ხალხი.

> «გლობალიზაციის ეპოქაში თვით სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართულ ენასაც კი ემუქრება საფრთხე და, წარმოიდგინეთ, როგორია მეგრული, ლაზური და სვანური ენების მდგომარეობა»

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



## გიორგი მამალაძემ ბარგის ჩხრეკისას იმ ნივთის შეუმჩნევლად გვერდზე გადადება სცადა, რომელშიც ნატრიუმის ციანიდს მალავდა

**ამის თაობაზე პროკურორმა ზვიად გუბელაძემ სამშაბათს, 11 ივლისს, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, განაცხადა.** როგორც მან აღნიშნა, პროცესზე დაკითხულმა გამომძიებლებმა დეტალურად გაიხსენეს მათ მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები და განაცხადეს, რომ ყველა მოქმედება კანონის სრული დაცვით განხორციელდა.

„გამომძიებლებმა გაიხსენეს, რომ ბრალდებულმა თავად ამოიღო ტანსაცმლის საწმენდი ნივთი, რომელიც საკუთარი ინიციატივით დაშალა, შემდეგ ამოიღო ფეხსაცმლის საწმენდი სპრეი, რომლის გვერდზე გადადებას შეეცადა გაუხსნელად, თუმცა, გამომძიებლების მოთხოვნის შემდეგ მოხადა თავი, საიდანაც გადმოვარდა პოლიეთილენის პარკში გახვეული ნატრიუმის ციანიდი. ამის შემდეგ ბრალდებულმა დამსწრე ადვოკატს განუცხადა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო და მისი დახმარება არ სჭირდებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ადვოკატთან გაიარა კონსულტაცია და მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდეგ მოიფიქრა, თითქოსდა ეს ნივთიერება მისი არ იყო. მანამდე არავითარი განცხადება აღნიშნულთან დაკავშირებით არ გაუკეთებია“, — განაცხადა ზვიად გუბელაძემ.

პროტესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იქნებ რუსეთის პროპაგანდის შედეგი იყო I და II მსოფლიო ომებიც, აშშ-ის მიერ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბების ჩამოყრა, ომი ვიეტნამში ან მართლმადიდებელი სერბეთის დაბომბვა აღდგომის დღესასწაულზე? ან იქნებ აყვავებული ლიბიის მიწასთან გასწორება იყო რუსეთის პროპაგანდის შედეგი, ან ტერორისტული ორგანიზაციების, როგორიცაა „ალ ქაიდა“ და „ისლამური სახელმწიფო“, შექმნა და ავღანეთის, ერაყისა და სირიის დანაწევრება-გაპარტახება, ან გუანტანამოსა და აბუ გრეიბის საშინელებები?**

# ნეოლიბერალური ენურეზი და არარსებული ქსენოფობია

**მოძრაობა „ეროვნულებმა“ და „ქართული მიწის დაცვის“ ჯგუფმა თბილისში, ალმაშენებლის გამზირზე, საქართველოდან არალეგალი მიგრანტების გაძევების, პროსტიტუციის ბუდეების მოშლის, პროსტიტუციაში არასრულწლოვანთა ჩაბმისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის აკრძალვის მოთხოვნით საპროტესტო აქცია „ქართული მარშის“ ჩატარების შესახებ განაცხადეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალციხეში 51 წლის ირანელმა ქართველი მოზარდის გაუპატიურება სცადა, ხოლო თბილისში, ვარკეთილში, 2 ინდოელმა 5 მოზარდი ბინაში მოტყუებით შეიყვანა, გააშიშვლა და ფოტოები გადაუღო.**

„ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ყველა უცხოელი, რომლებიც არალეგალურად იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, არღვევს კანონს და ექვემდებარება დაკავებასა და დეპორტაციას, ამას ვითხოვთ ჩვენც. კანონმდებლობით, აგრეთვე, იკრძალება პროსტიტუციის ბუდეების შექმნა, არასრულწლოვანების პროსტიტუციაში ჩაბმა და ნარკოტიკებით ვაჭრობა. ჩვენც ვითხოვთ, რომ აღსრულდეს კანონი — ეს საეჭვო ტიპის დაწესებულებები დაიხუროს და პასუხისგებაში მიეცნენ მათი მფლობელები; აგრეთვე, ვითხოვთ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა მიხედვით მაქსიმალურად გამკაცრდება საქართველოში ბინადრობის უფლება. ჩვენი ყველა მოთხოვნა ემსახურება მოქმედი კანონების დაცვასა და აღსრულებას“, — თქვა **სანდრო ბრეგაძემ** და საპროტესტო აქციის ჩატარების დღედ 14 ივლისი გამოაცხადა.

„ეროვნულების“ ლიდერის განცხადებას ფართომასშტაბიანი აქციის გამართვაზე მყისვე მოჰყვა უცხოეთიდან გულუხვად დაფინანსებული ე.წ. ნეოლიბერალური ძალების — მედიასაშუალებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ განაყოფი პარტიების წარმომადგენელთა ისტერიკული ვაი-ვიში, რომ ეს არის ქსენოფობია, ფაშიზმი და ყველაფერი რუსეთის მიერ იმართება(?!). ამ მხრივ ყველაზე მეტად აქტიურობდა ტელეკომპანია „იმედი“ (ეს ტელეკომპანია, ბევრის აზრით, ანტიქართული გამოხდომებით არაფრით ჩამოუვარდება „რუსთავი 2“-ს), რომელმაც 6 ივლისს ორ გადაცემაში, „იმედის დილა“ და „იმედის დღე“, საკმაო დრო დაუთმო ამ საკითხს, თანაც ცალმხრივად, ტენდენციურად გააშუქა — აქცია „ქართველთა მარშს“ **ეგრეთ წოდებული** უწოდეს ამ მართლაც ე.წ. ჟურნალისტებმა. სანდრო ბრეგაძეს წუთ-ნახევარი დაუთმეს აზრის გამოსახატავად და ალაპარაკეს რუსეთში მიმდინარე აქციის ფონზე (ანუ მათი ჭკუით, თავიდანვე დაუკავშირეს აქცია „ქართული მარში“ რუსეთს), სტუდიაში კი მიწვეული ჰყავდათ მხოლოდ „ქართველთა მარშის“ მოწინააღმდეგენი: ფილოსოფოსი **ლევან ღამბაშიძე** და „გირჩის“ წარმომადგენელი, ანალიტიკოსი **სანდრო თარხან-მოურავი**. მათ თითქმის ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში დაადანაშაულეს აქციის ორგანიზატორები, რომლებიც ამბობენ, რომ ქართველი სამშობლოში არ უნდა იჩაგრებოდეს და მოითხოვენ კანონის აღსრულებას — ქვეყანაში არალეგალურად მცხოვრებთა გაძევებას.




**«იმედის დილისა» და «იმედის დღის» წამყვანები და მათი სტუმრები თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ, თუ 14 ივლისს თბილისში არალეგალების გაძევების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართება, ეს იქნება ქსენოფობიის, ფაშიზმისა და რასიზმის გამოვლინება. რაც მთავარია, ეს არის პრორუსული პროპაგანდის შედეგი და ყველაფერი, რაც ცუდი ხდება საქართველოში, რუსული პროპაგანდის შედეგია**

დაახლოებით ორი საათის შემდეგ, მეტი დამაჯერებლობისთვის „იმედმა“ ანალოგიური რამ გაიმეორა გადაცემა „იმედის დღეში“. იგივე სიუჟეტი — „ქართველთა მარშის“ ეგრეთ წოდებულად მოხსენიება, სანდრო ბრეგაძის წუთნახევრით ჩართვა რუსეთში მიმდინარე აქციის ფონზე, ოღონდ ამჯერად სტუდიაში მიწვეული ჰყავდათ გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ფილოსოფის დოქტორი **ლაშა ბაქრაძე** და საქართველოში მცხოვრები ბრიტანელი **ჯოზეფ ალექსანდერ სმიტი**. მოკლედ, **„იმედის დილისა“ და „იმედის დღის“ წამყვანები და მათი სტუმრები თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ, თუ 14 ივლისს თბილისში არალეგალების გაძევების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართება, ეს იქნება ქსენოფობიის, ფაშიზმისა და რასიზმის გამოვლინება. რაც მთავარია, ეს არის პრორუსული პროპაგანდის შედეგი და ყველაფერი, რაც ცუდი ხდება საქართველოში, რუსული პროპაგანდის შედეგია.**

ამ ორ, საერთო ჯამში, თითქმის საათნახევრიან გადაცემაში აღსანიშნავი იყო 3 ეპიზოდი:

**1.** „ნაციონალური მოძრაობის“ განაყოფ „გირჩის“ „ანალიტიკოსი“ **სანდრო თარხან-მოურავი** ამტკიცებდა, რომ რუსეთი პედოფილიის მაჩვენებლებით „ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში“;

**2.** „იმედის დილის“ „ყველაფრისმცოდნე“ (ასე უწოდეს მეორე დღეს „იმედის დილის“ ეთერში) წამყვანმა **გოდერძი შარაშიამ** განაცხადა, რომ ქართველებიც სჩადიან უცხოეთში დანაშაულს, მაგრამ არც ერთ უცხოელ პოლიტიკოსს არ უთქვამს, ქართველები უნდა გავაძევოთ ქვეყნიდანო;

**3.** უფრო შორს წავიდა ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე, რომელმაც განაცხადა, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც მიგრანტების ძალადობა ადგილობრივებზე, რომლებსაც საპროტესტო გამოსვლები მოჰყვება ხოლმე, რუსეთის პროპაგანდისა და ე.წ. რუსეთის მეხუთე კოლონის შედეგია. და მაგალითად მოიყვანა გერმანიაში 13 წლის გოგონა ლიზას გაუპატიურების საქმე.

განვიხილოთ თითოეული ეპიზოდი ცალ-ცალკე:

**1** პედოფილია — ეს არის ცენტრალური ნერვული სისტემის პათოლოგია, ზრდასრული ადამიანის სექსუალური ლტოლვა ბავშვებისადმი.




* მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში შექმნილია პედოფილთა ორგანიზაციები. პირველი ასეთი ორგანიზაცია XX საუკუნეში ჩამოყალიბდა ჰოლანდიაში. 2011 წელს კი ერთ-ერთმა ჰოლანდიელმა ჰომოსექსუალმა აღიარა, რომ 87 ახალშობილი გააუპატიურა;

* 2008 წელს ნორვეგიაში პოლიციამ 40 ათასამდე პედოფილი გამოავლინა (მოსახლეობის თითქმის 10%). აღსანიშნავია, რომ ნორვეგიის ყოფილი პრემიერმინისტრი, ამჟამად ნატოს გენერალური მდივანი **იენს სტოლტენბერგი**, რომელსაც პედოფილიის მხარდამჭერად მიიჩნევენ, 2012 წელს გამოძახებული იყო სასამართლოში თავისი უახლოესი მეგობრისა და თანაპარტიელის, ნორვეგიის მმართველი მუშათა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — **რუნე ოიეგარდის** საქმეზე. ოიეგარდს, რომელსაც ბრალი ედებოდა 12 წლის გოგონას გარყვნა, 4 წლით აღუკვეთეს თავისუფლება;

* ნორვეგიელი ჰომოფილების აზრით, ბავშვებსაც აქვთ სექსის უფლება და ბავშვთან სექსი ძალადობა არ არის;

* ბერგენის (სიდიდით მეორე ქალაქი ნორვეგიაში) უნივერსიტეტის კვლევის შედეგების მიხედვით, ნორვეგიაში პოპულარულია სექსტურიზმი. ქვეყანაში იწვევენ ე.წ. სექსტურისტებს, რომლებსაც სთავაზობენ ბავშვებთან სექსს. თვითონ ნორვეგიელი პედოფილები კი ბავშვებთან ქორწინების ლეგალიზებისთვის იბრძვიან;

* ამჟამად სან-ფრანცისკოსა და ნიუ-იორკში ოფისები აქვს ბოილავერების ჩრდილოამერიკული ასოციაცია NAMBLA-ს (შეიქმნა ბოსტონში), რომელიც იბრძვის ბავშვებთან სექსუალური ურთიერთობის ლეგალიზებისთვის.

ანალოგიური ორგანიზაციები არსებობდა დანიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში;

* საუდის არაბეთსა და ყატარში დადგენილი არ არის, რამდენი წლის ადამიანს შეუძლია უარის თქმა სექსუალურ ურთიერთობაზე (გათხოვებაზე). ქორწინების ასაკობრივი ცენზი 12 წელია იემენში, 13 — ირანში;

* ევროპის საბჭოს 2011 წლის მონაცემებით, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ყოველი მე-10 ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია;

* 2013 წელს ლოს-ანჯელესის კათოლიკურ ეკლესიაში გამოააშკარავეს იერარქები, რომლებიც ხელს აფარებდნენ პედოფილ მღვდლებს. ეს „სასულიერო პირები“ 2 ათეული წლის განმავლობაში ხრწნიდნენ მოზარდებს (ასეთი აღმოჩნდა 500-ზე მეტი), პედოფილებს მფარველობდა ლოს-ანჯელესის იმჟამინდელი არქიეპისკოპოსი **როჯერ მაჰონი;**

* 2013 წელს დიდი ბრიტანეთის ქალაქ რიჩდეილში სკანდალი ატყდა, როდესაც გაირკვა, რომ მიგრანტების ჯგუფი რამდენიმე წლის განმავლობაში ძალადობდა ღარიბი ოჯახების წარმომადგენელ მოზარდ გოგონებზე. პოლიციამ იცოდა ამ დანაშაულის შესახებ, მაგრამ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრა, რადგან ეშინოდა, რომ არატოლერანტობაში დაადანაშაულებდნენ;

* 2016 წელს შოტლანდიაში დააპატიმრეს 77 ადამიანი, რომლებსაც ბავშვებზე სექსუალურ ძალადობაში დასდეს ბრალი, მსხვერპლთა შორის ყველაზე უმცროსი 3 წლის იყო;

* 2017 წლის თებერვალში ავსტრალიის კათოლიკე მღვდელმსახურთა 7% პედოფილიაში ამხილეს. მათ 1980-დან 2015 წლამდე 4000-ზე მეტი ბავშვი გარყვნეს. ავსტრალიის კათოლიკურმა ეკლესიამ უკვე გადაუხადა 200 მლნ დოლარი სექსუალური ძალადობის მსხვერპლთ, რომლებზეც მღვდელმსახურებმა იძალადეს;

* ცოტა ხნის წინათ პედოფილიაში დაადანაშაულეს ავსტრალიის კათოლიკური ეკლესიის კარდინალი **ჯორჯ პელი**, რომელიც ვატიკანის ხაზინადარის პოსტსაც იკავებს;

* რამდენიმე დღის წინათ კი კარდიფის (უელსი, დიდი ბრიტანეთი) სასამართლომ 13 წლით პატიმრობა მიუსაჯა ამ ქალაქის მეჩეთის იმამს მოზარდებზე სექსუალური ძალადობის გამო.

**აი ასეთი ვითარებაა დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც პედოფილია ლამის ცხოვრების ნორმად ქცეულა, და „გირჩის“ წარმომადგენელი „ანალიტიკოსის“ განცხადება, რომ რუსეთი პედოფილიის მაჩვენებლებით მოწინავეა მსოფლიოში, უბრალოდ, სასაცილოა.**

**2** „ყოვლისმცოდნე“ გიორგი შარაშიას განცხადების მიუხედა- ▶


ისრაელიდან დეპორტირებული ქართველები

**2017 წლის დასაწყისში ისრაელიდან საქართველოს 23 მოქალაქე გამოაძევეს. ქართველების ჯგუფი ისრაელში 23 იანვარს ჩავიდა, მაგრამ ქვეყანაში არ შეუშვეს. საზღვრის დაცვის სამსახურს ეჭვი ჰქონდა, რომ საქართველოს მოქალაქეები ისრაელში არალეგალურად დარჩენას აპირებდნენ. დეპორტაციამდე კი ქართველები გადაიყვანეს ციხეში, სადაც არაადამიანურად ეპყრობოდნენ.**


# პროტესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


◀ვად, რომ ქართველები უცხოეთში დანაშაულს სჩადიან, მაგრამ ქვეყნიდან მათ გაძევებაზე არავინ ლაპარაკობს, ფაქტები საწინააღმდეგოზე მიუთითებს:

2015 წლის მაისის ბოლოს ბერლინში პრესკონფერენცია გამართა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ტომას დე მეზიერმა** და ჟურნალისტებს კრიმინალური შემთხვევების 2015 წლის სტატისტიკა გააცნო. დე მეზიერის განცხადებით, გერმანიაში ბევრი არ არის თავშესაფრის მაძიებელი ქართველი, მაგრამ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული აღემატება სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ჩადენილ დანაშაულს. საქართველო თავისი ეჭვმიტანილი მოქალაქეების რაოდენობით მერვე ადგილზე იყო (2015 წ.) იმ ქვეყნებს შორის, რომელთა ქვეშევრდომები გერმანიის პოლიციის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ, მაგრამ ქართველები ჩადენილი დანაშაულების (ქონების მოპარვა, ბინების გაქურდვა) მიხედვით (3 838 შემთხვევა) მესამე ადგილს იკავებდნენ, კოსოვოელებისა და მაროკოელების შემდეგ.

„საქართველოდან ჩვენთან ბევრი მოქალაქე ჩამოდის, ითხოვს თავშესაფარს, დახმარებას და, სანამ შესაბამისი ორგანოებიდან პასუხს მიიღებენ, გერმანელთა ბინების ძარცვას იწყებენ. ამ მხრივ მათი ქცევა ყველაზე აღმაშფოთებელია. ამას წინათ ბერლინში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ჩამოვიდა და მასთან მოლაპარაკებისას ხელი მოეწერა შეთანხმებას სისხლის სამართლის დანაშაულის სფეროში თანამშრომლობს შესახებ. **არ გვაქვს პრობლემა საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დეპორტაციის საკითხშიც**“, — განაცხადა გერმანიის შს მინისტრმა.

*** 2016 წლის მონაცემებით, გერმანიის დატოვების ვალდებულება საქართველოს 2 240 მოქალაქეს დაეკისრა, ხოლო 2015 წელს განხორციელდა 300 ქართველის რეადმისია. სულ კი 2015 წელს გერმანიიდან დეპორტირებული იყო სხვადასხვა ქვეყნის 20 888 მოქალაქე;**

* 2017 წლის დასაწყისში ისრაელიდან საქართველოს 23 მოქალაქე გამოაძევეს. ქართველების ჯგუფი ისრაელში 23 იანვარს ჩავიდა, მაგრამ ქვეყანაში არ შეუშვეს. საზღვრის დაცვის სამსახურს ეჭვი ჰქონდა, რომ საქართველოს მოქალაქეები ისრაელში არალეგალურად დარჩენას აპირებდნენ. დეპორტაციამდე კი ქართველები გადაიყვანეს ციხეში, სადაც არაადამიანურად ეპყრობოდნენ.

 აი ასე: **როცა გერმანიაში უცხო ქვეყნის მოქალაქე დანაშაულს სჩადის ან ისრაელში არალეგალურად ცხოვრებას ცდილობს, მას ან ციხეში სვამენ ან ქვეყნიდან აძევებენ, მაგრამ ამის დანახვა და გაგონება არ სურს „ყველაფრისმცოდნე“ შარაშიას და მხოლოდ ქართველების ქსენოფობიაზე ლაპარაკობს.**

**3** წარმოშობით რუსი გოგონას, 13 წლის ლიზას გაუპატიურების საქმეზე გერმანიაში გამოძიება 2016 წელს დაიწყო. თავდაპირველად ლაპარაკი იყო „არაბული გარეგნობის“ ახალგაზრდების მხრიდან ძალადობაზე, მაგრამ გაირკვა, რომ გოგონას ურთიერთობა არ ჰქონია ლტოლვილებთან, თუმცა 1 წლით ადრე მას სექსუალური კავშირი ჰქონდა 2 გერმანელ ახალგაზრდასთან, რომლებსაც პირობითი სასჯელი და 3000 ევროს გადახდა აკმარეს. აი ეს ამბავი გამოიყენა ლაშა ბაქრაძემ იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთი თავისი პროპაგანდის მეშვეობით დესტაბილიზაციას იწვევს სხვადასხვა ქვეყანაში.

რაც შეეხება მიგრანტების მხრიდან სექსუალურ ძალადობას, ცნობილია, 2016 წლის ახალი წლის ღამეს როგორ დაესხნენ თავს ახლო აღმოსავლელი და ჩრდილოაფრიკელი მიგრანტები ქალაქ კელნში (გერმანია) გერმანელ ქალებს — აღრიცხულია 1000-მდე შემთხვევა.

კელნის გარდა, მსგავსი შემთხვევა მოხდა გერმანიის სხვა ქალაქებშიც — ბერლინში, ჰამბურგში, დიუსელდორფში, შტუტგარტში, აგრეთვე, შვეიცარიის ქალაქ ციურიხსა და ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში.

**არაბები კოლექტიურ თავდასხმას, კოლექტიურ სექსუალურ ძალადობას „თახარუშს“ უწოდებენ. ანალოგიური რამ, ანუ თახარუში კელნში კვლავ განმეორდა 2017 წლის საახალწლო დღეებშიც — მიგრანტთა 650-კაციანმა ჯგუფმა ქალაქის ცენტრში ქალებზე იძალადა (სხვათა შორის, ავსტრიის საკურორტო ქალაქ ინსბრუკშიც ათეულობით ქალმა მიმართა პოლიციას მიგრანტის მხრიდან ძალადობაზე).** ამის გამო კელნის პოლიციის უფროსი **ვოლფგანგ ალბერსი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. კელნის მერმა **ჰენრიეტა რეკერმა** კი გერმანელ ქალებს გამაოგნებელი რამ ურჩია — „ჯგუფ-ჯგუფად ევლოთ“ და „ხელის გაწვდენაზე დაეცვათ დისტანცია“. გერმანიის ხელისუფლება მაქსიმალურად შეეცადა, მიგრანტების მიერ ჩადენილი მიეჩქმალა, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა კანცლერ **ანგელა მერკელის** მიგრაციულ პოლიტიკას, მაგრამ აღშფოთებულმა გერმანელებმა არაერთი საპროტესტო აქცია გამართეს.



საპროტესტო აქცია გერმანიაში

**2016 წლის მონაცემებით, გერმანიის დატოვების ვალდებულება საქართველოს 2 240 მოქალაქეს დაეკისრა, ხოლო 2015 წელს განხორციელდა 300 ქართველის რეადმისია. სულ კი 2015 წელს გერმანიიდან დეპორტირებული იყო სხვადასხვა ქვეყნის 20 888 მოქალაქე**


საპროტესტო აქცია კელნში. 2016 წლის იანვარი

* ბევრისთვის, ალბათ, ცნობილია ერაყელი ლტოლვილის, ვინმე **ამირის**, მიერ ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, საცურაო აუზის ტუალეტში, 10 წლის ბიჭის გაუპატიურების ამბავი. აღსანიშნავია, რომ ავსტრიის სასამართლომ მოძალადე გაამართლა;

* ახლახან კი გერმანიის ქალაქ მიულჰაუზენის სასამართლოში 28 წლის ქალმა დაწვრილებით ისაუბრა, როგორ გააუპატიურა სამმა ეთიოპიელმა მამაკაცმა 9-ჯერ.

მიგრანტთა ძალადობას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სწორედ საპროტესტო აქციებით უპასუხეს. საპროტესტო აქციები გაიმართა საფრანგეთის ქალაქებში — დუვრსა და კალეში, შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში (ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლების განცხადებით, მხოლოდ სამ თვეში მიგრანტებმა 5000-მდე დანაშაული ჩაიდინეს), საბერძნეთში. **ჰოლანდიაში კი სირიელი ლტოლვილების ბანაკის ლობეზე ღორის თავები ჩამოაცვეს წარწერით „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში“**, წელს უკრაინელი მიგრანტების საწინააღმდეგო აქციები გაიმართა პოლონეთში;

* აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** მიგრაციული პოლიტიკა გაამკაცრა და ამერიკაში მიგრანტების არალეგალურად შესვლის აღსაკვეთად მექსიკასთან კედლის აშენებას აპირებს. უნგრეთმა კი ასეთი კედელი უკვე ააშენა სერბეთთან საზღვარზე;

* პოლონეთმა, ჩეხეთმა, უნგრეთმა და სლოვენიამ — ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა, ახლახან საერთოდ უარი თქვეს ევროკავშირის მიერ დაწესებული კვოტებით მიგრანტებს მიღებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მათ სანქციებით დაემუქრა;

* ავსტრიამ და იტალიამ მიგრანტების შესაკავებლად საზღვარზე ჯავშნიანი მანქანები გაგზავნეს...

თავი რომ დავანებოთ 2015 წლის პარიზში და 2016 წელს ნიცაში მოწყობილ საშინელ ხოცვა-ჟლეტას, 2017 წელს ევროპაში თითქმის ყოველ თვეს ხდებოდა ტერაქტები: **22 მარტს ლონდონში, პარლამენტის შენობასთან, ვესტმინსტრის ხიდზე ტერორისტი ავტომობილით შეიჭრა მშვიდობიანი მოქალაქეების ჯგუფში (დაიღუპა 4 ადამიანი); 22 მაისს აფეთქება მოაწყვეს ინგლისის ქალაქ მანჩესტერში (დაიღუპა 22 ადამიანი); 3 ივნისს ლონდონში შეიარაღებული მამაკაცები დაესხნენ თავს ქუჩაში გამვლელებს (8 დაღუპული); 25 ივნისს ნიუკასლის მეჩეთთან შეკრებილებს ავტომობილი დააჯახა 42 წლის ქალმა...**

ევროპელები, რომლებმაც 2 წლის წინათ თავაზიანად მიიღეს ახლოაღმოსავლელი და ჩრდილოეთაფრიკელი მიგრანტები, ახლა მათ უკან გაგზავნას აპირებენ. ეს პროცესი უკვე დაიწყო გერმანიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, ფინეთსა და ავსტრიაში — ქვეყნებში, რომლებსაც მიგრანტები სამოთხედ მიიჩნევენ. მაგალითად, გერმანელებმა უკან გააბრუნეს 80 ათასი ლტოლვილი...

**და ეს ყველაფერი, ლაშა ბაქრაძის აზრით, შედეგია რუსეთის პროპაგანდისა, რომლითაც ეს ქვეყანა ცდილობს, მიგრანტების წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის ამხედრებით დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ამა თუ იმ ქვეყანაში.**

ისე, იქნებ რუსეთის პროპაგანდის შედეგი იყო I და II მსოფლიო ომებიც, აშშ-ის მიერ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბების ჩამოყრა, ომი ვიეტნამში ან მართლმადიდებელი სერბეთის დაბომბვა აღდგომის დღესასწაულზე? ან იქნებ აყვავებული ლიბიის მიწასთან გასწორება იყო რუსეთის პროპაგანდის შედეგი, ან ტერორისტული ორგანიზაციების, როგორიცაა „ალ ქაიდა“ და „ისლამური სახელმწიფო“, შექმნა და ავღანეთის, ერაყისა და სირიის დანაწევრება-გაპარტახება? ან გუანტანამოსა და აბუ გრეიბის საშინელებები? ან იქნებ ეს არის „ვარდების რევოლუცია“, რომლის შედეგადაც 9 წლის განმავლობაში თავზე გვაჯდა „ნაციონალური მოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმი?

**თუ ეს ყველაფერი, რაც დღეს ევროპაში ხდება, ტრადიციული ევროპული ფასეულობებისა და ქრისტიანობისგან განდგომამ და ე.წ. მულტიკულტურიზმის დამკვიდრების მცდელობამ გამოიწვია?**

შეუძლებელია, ეს არ იცოდეს ფილოსოფიის დოქტორმა ან ითქვას, რომ მეხსიერება ღალატობს. თუმცა, როდესაც უცხო ქვეყნის ინტერესების დაცვას ცდილობ მართლაც ტოლერანტი სამშობლოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, სადაც არასოდეს ყოფილა ქსენოფობიური განწყობა, და ყველაფერი უცხოური გიყვარს, ანუ ქსენოფილი ხარ, სხვის თვალში ქსენოფობიასაც დაინახავ და ბეწვსაც, საკუთარში კი დირესაც ვერ შეამჩნევ...

**ნიკა კორინთელი**



ჰოლანდიაში სირიელი ლტოლვილების ბანაკის ლობეზე ღორის თავები ჩამოაცვეს

**P.S. „დღის შოუს“ წამყვანმა ბრიტანელ ჯოზეფ ალექსანდერ სმიტს ჰკითხა: „უკვე წლებია, საქართველოში ცხოვრობ და ქართველებს შენ მიმართ ქსენოფობია თუ გამოუმჟღავნებიათ?“ სმიტმა უარყოფითად უპასუხა და, ცხადია, ამით უნდა დასრულებულიყო კამათი საკითხზე — არის თუ არა ქსენოფობია საქართველოში, მაგრამ დასრულდა ლაშა ბაქრაძის კომენტარით: „ეს იმიტომ, რომ თეთრკანიანია, აბა, შავკანიანი ყოფილიყო, მერე ნახავდით ქსენოფობიასო“...**

**ცნობისთვის:** სამართალდამცველებმა 30 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით თბილისში, რუსთაველის გამზირთან ახლოს მდებარე რამდენიმე ბარიდან, იდენტიფიცირების მიზნით, 147 სექსმუშაკი პოლიციის შენობაში მიიყვანეს. 145 პირიდან 91 ქალია, 56 — მამაკაცი. შსს-ს ინფორმაციით, 91 ქალიდან, 71 ქართველია, 20 — უცხოელი. 56 მამაკაცი სექსმუშაკიდან 15 – ქართველი, 41 კი — უცხოეთის მოქალაქე.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძალთა ბალანსი ისეთია, რომ ყირგიზეთში შეიძლება ყველაფერი მოხდეს, არჩევნების შედეგის გაპროტესტების, ხელისუფლების დამხობისა და „ყირგიზი ივანიშვილის“ — ბაბანოვის „გამეფების“ ჩათვლით. მართალია, ვაშინგტონი „ფერად რევოლუციებს“ მხარს ძველი ენთუზიაზმით აღარ უჭერს, მაგრამ 2005 წლის გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი ჯორჯ სოროსის ვაჟიშვილი — ალექს სოროსი სულ ახლახან, ივნისის დასაწყისში, ბიშკეკში ჩავიდა, პრეზიდენტ ატამბაევსა და ადგილობრივი ელიტის წარმოამდგენლებს შეხვდა.**

**საქართველოსა და ყირგიზეთს შორის ორი ათასი კილომეტრია, მაგრამ მთელ რიგ ასპექტებში ეს ქვეყნები ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. ორი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის სიღარიბე, ქაოსური პოლიტიკა და ფარდობითი დემოკრატიულობა საინტერესო პარალელების გავლების შესაძლებლობას გვაძლევს.**

# ვასილიჩის ქუდი, ანუ ქართულ-ყირგიზული პარალელები


რევოლუცია ყირგიზეთში


„ვარდების რევოლუცია“

**რა მოხდება, თუ ოდესმე (ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად მოხდება) ისეთივე ჭრელ პარლამენტს მივიღებთ, როგორიც ყირგიზეთმა ბაკიევის დამხობის შემდეგ? შეძლებენ თუ არა ქართველი პოლიტიკოსები ამბიციების შეზღუდვას და კოალიციურ თანამშრომლობას? დააკმაყოფილებს თუ არა მათი მოქმედება მასებს და ხომ არ დასრულდება ყოველივე ახალი დიქტატორის მოსვლით?**

სსრკ-ის დაშლის შემდეგ, შორეული ყირგიზეთი თბილისში მხოლოდ 2005 წლის მარტში გაიხსენეს, როდესაც იქ ე.წ. ტიტების რევოლუცია მოხდა. სააკაშვილის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა მისთვის ხელი შეეწყო. **ქართველ ტელემაყურებლებს დღემდე ახსოვთ გივი თარგამაძის პირდაპირი ჩართვა ბიშკეკიდან, „ვასილიჩს“ ყირგიზული ეროვნული ქუდი რომ ეხურა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის გუნდის როლი „ტიტების რევოლუციაში“, რომელსაც წინ უძღოდა „ნარინჯისფერი რევოლუცია“ უკრაინაში, გაცილებით მოკრძალებული იყო, ვიდრე სურდათ, რომ წარმოეჩინათ; მათ „ფერადი რევოლუციების“ მთავარი ექსპორტიორების სახელი პოსტსაბჭოთა სივრცეში მაინც დაუმკვიდრდათ.** ყირგიზეთი უკანასკნელი დიდი წარმატება იყო. 2006 წლის მარტში მინსკში „ფერადი რევოლუციონერების“ ძალისხმევა უშედეგო გამოდგა და სწორედ მაშინ გივი თარგამაძე პირველად გაეხვია შარში – მას სატელეფონო ჩანაწერი გამოუქვეყნეს, სადაც ის საუბრობდა იმაზე, რომ ბელარუსული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე მილინკევიჩი მოსაკლავია.

თუმცა მანამდე იყო წარმატებული რევოლუცია ყირგიზეთში. საინტერესოა, რომ იქაც ჩამოყალიბდა ერთგვარი „ტრიუმვირატი“ – ყურმანბეკ ბაკიევის, ფელიქს კულოვისა და როზა ოტუნბაევას შემადგენლობით. თუმცა ოტუნბაევა, ნინო ბურჯანაძისგან განსხვავებით, ავანსცენიდან მალევე „მოტეხეს“ (ზოგი იტყვის „ბურჯანაძის მსგავსად“ და მიუთითებს, რომ რეალურად ის თითქმის არაფერს წყვეტდა), ამიტომ ექსპერტები, როგორც წესი, საუბრობენ ბაკიევისა და კულოვის (პრეზიდენტისა და პრემიერის) ტანდემზე. იქ ისეთივე გააფთრებული და ნაკლებად თვალშისაცემი ბრძოლა წარიმართა ხელისუფლებისთვის, როგორც საქართველოში სააკაშვილისა და ჟვანიას შემთხვევაში. უბრალოდ, იქ იმდენად დრამატული ფინალი არ ჰქონია — ბაკიევმა კულოვი, უბრალოდ, ხელისუფლებიდან გააძევა.

ისევე, როგორც საქართველოში, ყირგიზეთში რევოლუციური ხელისუფლება მალევე გამოვიდა ამერიკელი პარტნიორების კონტროლიდან — ორივე ქვეყანაში რეჟიმის სწრაფი კრიმინალიზაცია და ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერება დაიწყო. ეს არ არის „ფერად რევოლუციებთან“ დაკავშირებული ფენომენი, მას გაცილებით ხანგრძლივი ისტორია აქვს. გამოჩენილი ამერიკელი ისტორიკოსი **არტურ შლეზინგერი** 1986-ში წერდა: **„მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იარაღის მიმწოდებელი შეიძლება აკონტროლებდეს მის მიმღებს, რომ პატრონი იმპერია შეიძლება აკონტროლებდეს კლიენტს „მესამე სამყაროში“, მუდმივი ამერიკული შეცდომაა. ამ შეცდომამ, გაუგებარია როგორ, გაუძლო მწარე გამოცდილებას, რომელიც 40-იანებში ჩინეთში და 60-იანებში ვიეტნამში მივიღეთ. როგორც კი პატრონი პირობას დებს, რომ კლიენტს მისი მიზნების მიღწევაში დაეხმარება, მისი გავლენის საშუალებები სუსტდება. დღეს პატრონმა საკუთარ თავს უმაღლესი სანქციის უფლება, კლიენტისთვის დახმარების შეწყვეტა წაართვა. მიიღებს რა ერთხელ ამერიკულ დახმარებას, კლიენტი ვეღარ ხედავს მიზეზს, რომლის გამოც უნდა წავიდეს დათმობებზე ადგილობრივ ჯგუფებთან, რომლებიც დემოკრატიულ ცვლილებებსა და პოლიტიკურ პროცესში ჩართვას მოითხოვენ“.**

**ბაკიევის რეჟიმმა 5 წელი გაძლო, სააკაშვილის რეჟიმმა კი — 9 და ეს, შესაძლოა, ორმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა: პაუზამ, რომელიც ქართულმა ოპოზიციამ აგვისტოს ომის შემდეგ აიღო, და დიდძალმა უცხოურმა დახმარებამ, რომელიც ხელისუფლებამ იმავე პერიოდში მიიღო და საკუთარი მდგომარეობის გასამყარებლად გამოიყენა. ამასთანავე, ბაკიევი, სააკაშვილისგან განსხვავებით, უშუალოდ ვაშინგტონს დაუპირისპირდა, როდესაც ყირგიზეთში განლაგებული ამერიკული ავიაბაზა „მანასის“ არენდისთვის გადასახდელი თანხის არაპროპორციული გაზრდა მოითხოვა, შემდეგ კი რუსეთის მხარდაჭერით პარლამენტს მისი გაუქმების (აშშ-თან ხელშეკრულების დენონსაციის) გადაწყვეტილება მიაღებინა.** ეს არ იყო 2010 წლის რევოლუციის ერთადერთი მიზეზი, მაგრამ მან ამერიკელებს ბაკიევის შემდგომი მხარდაჭერის ყოველგვარი სტიმული მოუსპო. აღსანიშნავია, რომ, ბაკიევის დამხობის მიუხედავად, ბაზა 2014-ში მაინც დაიხურა. მისი მნიშვნელობა ავღანეთში მყოფი კოალიციის ჯარების მომარაგებისთვის შემცირდა. ამასთანავე, ამერიკელებს აღარ სურდათ, „მანასი“ ყირგიზი პოლიტიკოსების მხრიდან მუდმივი შანთაჟის თემად გადაქცეულიყო. პლუს ამას ყირგიზეთში რუსეთისა და ჩინეთის გავლენა გაძლიერდა.

საინტერესოა, რომ **საქართველოსა და ყირგიზეთის კონსტიტუციების ცვლილების პროცესს თითქმის იდენტური ლოგიკა ახასიათებს**. ჯერ აკაევის (საქართველოში შევარდნაძის) მმართველობის პერიოდში მოხდა საპრეზიდენტო რესპუბლიკის ჩამოყალიბება, რომელსაც მოჰყვა კონსტიტუციის მისადაგება ავტორიტარი პრეზიდენტის ინტერესებისთვის (2004-ში — სააკაშვილის, 2007-ში — ბაკიევის). შემდეგ დაიწყო საპრეზიდენტო რესპუბლიკის დემონტაჟი და გადასვლა საპარლამენტო მოდელზე (ორივე ქვეყანაში — 2010-ში). მართალია, ყირგიზეთში ეს ბაკიევის დამხობის შემდეგ მოხდა, ხოლო საქართველოში მაშინ, როდესაც სააკაშვილი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში იყო, თუმცა არსებითი მნიშვნელობა ამ ნიუანსს, ალბათ, არ აქვს, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო რესპუბლიკის ჩამოყალიბება გააგრძელა.

**ყირგიზეთში, ისევე, როგორც საქართველოში, 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტიაა.** პარლამენტში, რომლის არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდა, მათგან მხოლოდ 5 მოხვდა, მაგრამ ისინი არათუ მყარი კოალიციების შექმნას, არამედ ელემენტარულ თანამშრომლობასაც კი ვერ ახერხებდნენ. ამის გამო დაიწყო უფლებააყრილი პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის როლის ბუნებრივი გაზრდა, რომელიც რიგმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გაამყარა. **ექსპერტების უმრავლესობა შემდეგ მოსაზრებას იზიარებს: თუ პრეზიდენტი ატამბაევი „მთავარი არბიტრის“ როლს არ შეასრულებდა, „ჭრელი პარლამენტი“ ქვეყანას ქაოსამდე მიიყვანდა.**

2016 წლის დეკემბერში ყირგიზეთში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც ამომრჩევლებმა მხარი პრემიერმინისტრისა და მთავრობის უფლებების გაფართოებას დაუჭირეს. ატამბაევის მოწინააღმდეგეები ირწმუნებიან, რომ **პრეზიდენტს სურს, ვადის ამოწურვის შემდეგ პრემიერმინისტრის სავარძელში გადაჯდეს**, თუმცა ის ამ ბრალდებებს უარყოფს. ასეა თუ ისე, ყირგიზეთის რესპუბლიკა საპარლამენტოდ რჩება, თუმცა ჭრელმა და ქმედუუნარო პარლამენტმა, როგორც ელიტა, ისე მოსახლეობა, „ძლიერი ხელის“ აუცილებლობაზე დააფიქრა. ძნელი სათქმელია, დასრულდება თუ არა პროცესი მორიგი პერსონალისტური რეჟიმის ჩამოყალიბებით, თუმცა საქართველოსთან გარკვეული პარალელების გავლების შესაძლებლობა ამ შემთხვევაშიც არსებობს.

ჩვენ ვხედავთ, როგორ მუშაობს და შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ იმუშავებს საპარლამენტო მოდელი ერთი პოლიტიკური ძალის, „ქართული ოცნების“, დომინირების პირობებში. მაგრამ **რა მოხდება, თუ ოდესმე (ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად მოხდება) ისეთივე ჭრელ პარლამენტს მივიღებთ, როგორიც ყირგიზეთმა ბაკიევის დამხობის შემდეგ? შეძლებენ თუ არა ქართველი პოლიტიკოსები ამბიციების შეზღუდვას და კოალიციურ თანამშრომლობას? დააკმაყოფილებს თუ არა მათი მოქმედება მასებს და ხომ არ დასრულდება ყოველივე ახალი დიქტატორის მოსვლით?**

15 ოქტომბერს ყირგიზეთში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. პრეზიდენტ ატამბაევს მასში მონაწილეობის უფლება არ აქვს — ის და მისი სოციალურ-დემოკრატიული პარტია მხარს უჭერენ მოქმედ პრემიერმინისტრ **ჟეენბეკოვს.** მისი მთავარი კონკურენტები არიან ყირგიზეთის ყველაზე მდიდარი ადამიანი **ომურბეკ ბაბანოვი** და დიპლომატი **ტაალატბეკ მასადიკოვი.** არის კიდევ ორი ათეული კანდიდატი, თუმცა რეალური და დაახლოებით თანაბარი შანსი მხოლოდ ამ სამს აქვს. ერთმანეთს უპირისპირდება ადმინისტრაციული რესურსი, დიდი ფული და კავშირები (მასადიკოვს მხარს ძალოვანთა ნაწილი უჭერს, მას, აგრეთვე, აქვს კარგი კონტაქტები მოსკოვში; მაშინ, როდესაც მოქმედი პრეზიდენტის გუნდი პეკინისკენ იხრება). **ძალთა ბალანსი ისეთია, რომ ყირგიზეთში შეიძლება ყველაფერი მოხდეს, არჩევნების შედეგის გაპროტესტების, ხელისუფლების დამხობისა და „ყირგიზი ივანიშვილის“ — ბაბანოვის „გამეფების“ ჩათვლით. მართალია, ვაშინგტონი „ფერად რევოლუციებს“ მხარს ძველი ენთუზიაზმით აღარ უჭერს, მაგრამ 2005 წლის გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერ ჯორჯ სოროსის ვაჟიშვილი — ალექს სოროსი სულ ახლახან, ივნისის დასაწყისში, ბიშკეკში ჩავიდა, პრეზიდენტ ატამბაევსა და ადგილობრივი ელიტის წარმოამდგენლებს შეხვდა. სოროსისა და მისი სტრუქტურების პოზიციები ყირგიზეთში „ტიტების რევოლუციის“ შემდეგ ისეთივე (და, შესაძლოა, უფრო) მყარია, როგორც საქართველოში.**

ცხადია, მსგავსების გარდა, ორ ქვეყანას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაც შეიმჩნევა. მაგალითად, ყირგიზეთის პოლიტიკაში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს გავლენიანი კლანებისა და მათი კოალიციების დაყოფა „ჩრდილოურად“ და „სამხრეთულად“, რომელიც ეროვნული ერთიანობის მიღწევას ხელს უშლის. **კიდევ ერთი მწვავე პრობლემა ახალგაზრდა ყირგიზულ სახელმწიფოში უზბეკური უმცირესობის სრულფასოვანი ინტეგრაციაა — თითქმის 900 ათასი უზბეკი ქვეყნის მოსახლეობის 14,4% შეადგენს**. სისხლიანი შეტაკებები, რომლებიც მათი კომპაქტური დასახლების ადგილებში 1990 და 2010 წლებში მოხდა (2010-ში 400-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა), ყირგიზეთის ხელისუფლებას დამშვიდების შესაძლებლობას არ აძლევს. მართალია, ისლამ ქარიმოვის გარდაცვალების შემდეგ ოფიციალური ტაშკენტის ზეწოლა ყირგიზეთის ხელისუფლებაზე და ნაციონალისტური რიტორიკა შეიზღუდა, მაგრამ სიტუაცია შეიძლება ძალიან სწრაფად შეიცვალოს.

**კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა – რადიკალური ისლამისტური იდეების გავრცელებაა.** მიუხედავად იმისა, რომ ყირგიზეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სეკულარული მუსლიმანური სახელმწიფოა, შესაბამისი იდეოლოგია ახალგაზრდებს შორის მაინც ფართოდ ვრცელდება, ხოლო მეზობელ ავღანეთში, სიტუაციის უკიდურესი გართულებიდან გამომდინარე, ხელისუფლებას მოუწევს, უსაფრთხოებაზე გაცილებით მეტი დახარჯოს.

**სხვა პრობლემები კი დაახლოებით ისეთია, როგორც საქართველოში — მკვდარი ეკონომიკა და სიღარიბე, ნაწილობრივ შენიღბული კორუფცია და პოლიტიკური არასტაბილურობა**. დადებითი მომენტებიც ერთნაირია — ფარდობითი დემოკრატიულობა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება (რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით) და ინსტიტუციური ფუნდამენტის შექმნა ქვეყნის შემდომი განვითარებისთვის, რომელიც კვლავინდებურად ეჭვქვეშ დგას.

**ლუკა ნემსაძე**

**რუსეთმა და აშშ-მა დაიკისრეს სირიის სამხრეთ-დასავლეთში ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულება. ეს არის რაიონები დერაა, ქუნეითრა და სუვეიდა. ამ ზონებში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 9 ივლისიდან ამოქმედდა. ამ ზონის გარშემო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს რუსეთის სამხედრო პოლიცია აშშ-სა და იორდანიასთან კოორდინაციით.**

ფაქტები და მოვლენები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რაზე მოილაპარაკეს პუტინმა და ტრამპმა ჰამბურგში



**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ჰამბურგში G20-ის სამიტის მიმდინარეობისას გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების, ვლადიმერ პუტინისა და დონალდ ტრამპის, შეხვედრის შედეგებზე ისაუბრა. ლავროვმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტები თავიანთი ქვეყნების ნაციონალურ ინტერესებს იცავდნენ და ცდილობდნენ ურთიერთსასარგებლო შეთანხმებისთვის მიეღწიათ, პუტინმა და ტრამპმა სირიის, უკრაინის, ჩრდილოეთი კორეისა და კიბერუსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს.**

### შეთანხმება სირიის საკითხზე

პირველი, რაც დაადასტურა **ლავროვმა**, იყო ის, რომ რუსეთმა და აშშ-მა დაიკისრეს სირიის სამხრეთ-დასავლეთში ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულება. ეს არის რაიონები: დერაა, ქუნეითრა და სუვეიდა.

ამ ზონებში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 9 ივლისიდან ამოქმედდა. ამ ზონის გარშემო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს რუსეთის სამხედრო პოლიცია აშშ-სა და იორდანიასთან კოორდინაციით. რაც შეეხება სირიის ჩრდილოეთს, ლავროვის თქმით, იქ უსაფრთხოების ზონის შექმნაზე ჯერ კიდევ გრძელდება მოლაპარაკებები სპეციალისტებს შორის.

### შეთანხმება უკრაინის საკითხზე

ლავროვის განცხადების თანახმად, **პუტინი** და **ტრამპი** შეთანხმდნენ, რომ აშშ-ის წარმომადგენელი უკრაინის საკითხებში უახლოეს დღეებში ეწვევა მოსკოვს კონსულტაციების გასამართავად. ამ წარმომადგენლის დანიშვნით ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის იჭრება არხი იმ შესაძლებლობების გამოსაყენებლად, რომლებიც აქვს აშშ-ს უკრაინაში ვითარების დასარეგულირებლად მინსკის შეთანხმების საფუძველზე.

### კიბერუსაფრთხოება

ტრამპისა და პუტინის მოლაპარაკების მესამე თემა იყო კიბერუსაფრთხოება, რომელსაც საკმაოდ დიდი დრო დაეთმო გასაგები მიზეზების გამო. პრეზიდენტებმა აღნიშნეს, რომ ეს სფერო საფრთხეების შემცველია, მათ შორის, ტერორისტული საფრთხის. პუტინი და ტრამპი შეთანხმდნენ, რომ ყველა საკითხზე, მათ შორის ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან, აგრეთვე, ჰაკერებთან ბრძოლის საკითხებზე, რუსეთი და აშშ ერთობლივად იმუშავებენ და ამ მიზნით შეიქნება ერთობლივი ჯგუფი.

### არჩევნებში ჩარევა

ლავროვის თქმით, პრეზიდენტი დონალდ ტრამპი პუტინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადებს, რომ კამპანია, თითქოს რუსეთი ჩაერია აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში, „უცნაურ ხასიათს იძენს“.

„ასეთი შინაარსის ბრალდება, უკვე თვეებია, გვესმის, მაგრამ ერთი მტკიცებულებაც კი არ წარმოუდგენიათ“, — განაცხადა ლავროვმა.

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ

ლავროვმა განაცხადა, რომ მას და აშშ-ის სახელმწიფო მდივან **რექს ტილერსონს** დაევალათ ყველა საერთაშორისო საკითხის, მათ შორის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საკითხის, მოგვარებაზე მუშაობა საგარეო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავებით.

პრესკონფერენციის ბოლოს ლავროვმა განაცხადა, რომ შეხვედრაზე ორივე პრეზიდენტი განწყობილი იყო იმ გადაწყვეტილებების მოსაძებნად, რომლებიც შეესაბამებოდა რუსეთისა და აშშ-ის, აგრეთვე, მსოფლიოს თანამეგობრობის ინტერესებს.



ბილ გეიტსი:

# ევროპა წაილეკება, თუ მიგრანტების ნაკადს ვერ შეაჩერებს

**მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის — ბილ გეიტსის განცხადებით, აფრიკაში დემოგრაფიული აფეთქება ევროპას წალეკავს, თუ ევროპა თავის ტერიტორიაზე მიგრანტების შეღწევას არ გაართულებს.**

ამერიკელმა მილიარდერმა თავისი მოსაზრება აფრიკიდან იტალიაში მიმავალი მიგრანტების ნაკადის მომატების ფონზე გამოთქვა. გერმანული გამოცემა „დი ველტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გეიტსმა განაცხადა, რომ აფრიკის მოსახლეობის მატება ევროპაზე უზარმაზარ საიმიგრაციო ზემოქმედებას გამოიწვევს და ამ საფრთხის შეკავების ერთადერთი გზა იმიგრაციის წყარო-ქვეყნების ეკონომიკური დახმარებაა. ამ დახმარებამ კი ამ ქვეყნებიდან მოსახლეობის გადინების მასშტაბი უნდა შეამციროს.

გეიტსმა მიგრანტების მიმართ გერმანიის დამოკიდებულებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ გერმანიის ხელისუფლების გადაწყვეტილება მიგრანტების მიღების თაობაზე, ერთი მხრივ, კეთილშობილურია, მაგრამ ეს „კეთილშობილება“ სულ უფრო მეტ აფრიკელს უბიძგებს ევროპისკენ. გეიტსი ასკვნის, რომ ევროპამ აფრიკელებს უნდა გაურთულოს ევროპამდე ჩაღწევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აფრიკელთა მიგრაცია ევროპას წალეკავს.

# ცესკო — უზრუნველყოფილი სიბერე

**საქართველოს იურისტთა ასოციაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა წერილი ცესკოს ინიციატივით მომზადებულ საკანონმდებლო წინადადებაზე, რომლის თანახმად, ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს კანონში „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“. გთავაზობთ ამ წერილის შემოკლებულ ვარიანტს.**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) წევრობა, სხვა უამრავ მიზეზთან ერთად, ბევრისთვის, ალბათ, იმიტომაც არის სასურველი, რომ იქ მაღალი ანაზღაურებაა. **2015 წელს ცესკოს მიერ დამტკიცებული განკარგულების თანახმად, ცესკოს თავმჯდომარის ხელფასი თვეში 5 500 ლარს შეადგენს, მოადგილის — 4 700 ლარს, ხოლო კომისიის მდივნის — 4 600 ლარს. რაც შეეხება კომისიის დანარჩენ 10 წევრს, მათი ანაზღაურება თვეში 3 900 ლარია (ამ თანხებში არ შედის დანამატი და პრემია, რომლებიც არანაკლებ შთამბეჭდავია).** საარჩევნო პერიოდში კი ცესკოს წევრების ანაზღაურება ორმაგდება. შესაბამისად, თავმჯდომარის ანაზღაურება 11 000 ლარი ხდება, მოადგილის — 9 400 ლარი, მდივნის — 9 200 ლარი, ხოლო წევრებისა — 7800 ლარი (ბოლო არჩევნების პერიოდში გაორმაგებული ანაზღაურება ოთხი თვის განმავლობაში გაიცემოდა). გარდა ამისა, როგორც წესი, ცესკოს წევრი უზრუნველყოფილია სხვადასხვა საკომუნიკაციო ხარჯით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისში საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა ცესკოს ინიციატივით მომზადებული საკანონმდებლო წინადადება, რომლის თანახმად, ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს კანონში „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“. ცესკოს წევრი და აპარატის მოხელეები კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლების მქონე სუბიექტების სტატუსს მიიღებენ. კომპენსაციის დანიშვნის პირობაა 65 წლის მიღწევა ან არანაკლებ 25 წლის შრომის სტაჟი, რომლიდანაც, სულ ცოტა, 6 თვე ცესკოს წევრის თანამდებობაზე მუშაობა უნდა იყოს. პროექტის განმარტებით ბარათში არაფერი წერია, რატომ უნდა გადაუხადოს სახელმწიფომ მათ კომპენსაცია. სამაგიეროდ წერია, რომ ცესკოს წევრის კომპენსაციის ოდენობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოქმედი წევრის ხელფასის მესამედი უნდა იყოს.

**ცნობისთვის:** ზემოთ აღნიშნული „გენიალური“ ინიციატივა იმ ქვეყნის ცესკოში დაიბადა, რომელშიც, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) თანახმად, ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეექვსე ბავშვი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს. მსოფლიო ბანკის მიერ შარშან გამოქვეყნებული კვლევის თანახმად კი, საქართველოს მთელი მოსახლეობის 32.3% (1.4 მლნ) სიღარიბის ზღვარს მიღმაა. ამ ფონზე მით უფრო გაუგებარია, რატომ უნდა უხდიდეს სახელმწიფო კომპენსაციას ცესკოს წევრებს, რომლებიც ამ უფლება-მოვალეობის შესრულებისას სრულად არიან უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ.



# ევროკავშირი უკრაინას უვიზო რეჟიმის შეჩერებით ემუქრება

**„ევროკავშირში უკრაინელთა უვიზოდ შესვლის რეჟიმი შეიძლება შეჩერდეს, თუ კიევი კვლავ განაგრძობს ანტიკორუფციული რეფორმების საბოტაჟს“, — განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა უკრაინაში — ჰიუგ მინგარელიმ.**

„უვიზო რეჟიმი შეიძლება შეჩერდეს იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა დაიწყებს უკანსვლას ანტიკორუფციულ რეფორმებში“, — განაცხადა მინგარელიმ და დასძინა, რომ, ანტიკორუფციული რეფორმების საბოტაჟის გარდა, უვიზო რეჟიმი შეიძლება შეჩერდეს უკრაინელი მიგრანტების რაოდენობის მომატების გამო, რომლებიც ევროკავშირში თავშესაფარს ითხოვენ, აგრეთვე, უკრაინისა და ევროკავშირის თანამშრომლობის დაბალი დონის გამო რეადმისიის საკითხზე.

# რა ტიპის ხმაური აწუხებს ყველაზე მეტად თბილისელებს

**კანონი ხმაურის შესახებ პარლამენტმა 28 ივნისს დაამტკიცა, რომელიც ძალაში 15 აგვისტოს შევა. 1 აგვისტომდე მთავრობას დაგეგმილი აქვს ტექნიკური რეგლამენტის მომზადება, რომელიც დეციბელების დასაშვებ ზღვარს დაადგენს. ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისას პირველ შემთხვევაზე პირი გაფრთხილდება, მეორე შემთხვევაზე კი დაჯარიმდება.**

ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი ეი-სი-თი დაინტერესდა, რა ტიპის ხმაური არის ყველაზე შემაწუხებელი თბილისის მოსახლეობისთვის და ემხრობიან თუ არა ხმაურის გამომწვევი ობიექტების (სუბიექტების) სანქცირებას. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისის მოსახლეობის ნახევარს (48%) აწუხებს რაიმე ტიპის ხმაური, მათ შორის, 22%-ს — ხშირად. თბილისელებისთვის ყველაზე შემაწუხებელია მანქანების მოძრაობის (27%) და მეზობლებისგან გამოსული ხმაური (15%).

ხმაური, რომელიც მშენებლობის წარმოებასთან ან გასართობ დაწესებულებებთან არის დაკავშირებული, თბილისელების 7-8%-ს აწუხებს.

თბილისელები ხმაურით, ძირითადად, ღამის 12 საათიდან დილის 3 საათამდე პერიოდში წუხდებიან (30%). თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა (67%) ეთანხმება იმ ობიექტების (სუბიექტების) დაჯარიმებას, რომლებიც იწვევს ხმაურს ღამის 12 საათის შემდეგ.

გამოკითხვა ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის გზით 400 ზრდასრულ თბილისელს შორის, 2017 წლის 16-დან 19 ივნისამდე პერიოდში. მონაცემთა სტატისტიკური ცდომილება არ აღემატება 4,9%-ს.

გვერდი მოამზადა **ლუკა მაისურაძემ**

პუბლიკაციის კვალდაკვალ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად თვითმხილველთა ჩვენებისა, რომ სამსონ თამარიანმა განზრახ დააჯახა თავისი „მერსედესი“ არასრულწლოვან მერგელ მელტონიანს, ფეხი მოტეხა და სცადა მეორედ დაჯახება, სამხარეო პროკურატურამ სამსონ თამარიანის მიმართ საქმე აღძრა სსკ-ის 124-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სხეულის დაზიანებას გაუფრთხილებლობით და ისჯება მხოლოდ ფულადი ჯარიმით.**

# ორი შეკითხვა პროკურორ ღონღაძეს

**განვაგრძობთ წერილების გამოქვეყნებას საზარელ მკლელობაზე, რომელიც 2016 წლის 30 ივლისს წალკის რაიონის სოფელ ნარდევანში მოხდა.**



**პირველი — სამსონ თამარიანს პროკურატურამ წაუყენა სსკ-ის 124-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანების გამო. თქვენივე ძალისხმევით სასამართლოზე გამოიკვეთა სხვა სურათი: სამსონ თამარიანი განზრახ დაეჯახა არასრულწლოვან მერგელ მელტონიანს და დააინვალიდა. ნუთუ, დატოვებთ 124-ე მუხლს?**

**მეორე — დავუშვათ, სამსონ თამარიანმა გაუფრთხილებლად მიაყენა მძიმე ტრავმა მერგელს. მაშინ რატომ არ დაეხმარა, რატომ არ წაიყვანა საავადმყოფოში ან არ გამოიძახა «სასწრაფო»? როგორც ვიცი, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიტოვება თავისუფლების აღკვეთით ისჯება.**

შეგახსენებთ, რომ იმ დღეს წალკის საკრებულოს წევრმა **სამსონ თამარიანმა** მანქანა დააჯახა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის — **აიკ მელტონიანის** არასრულწლოვან შვილს — **მერგელ მელტონიანს**, ფეხი მოტეხა მას და მიიმალა. 30-40 წუთის შემდეგ კი **სამსონ თამარიანის** ვაჟმა **ანდრანიკ თამარიანმა** „ვინჩესტერის“ ტიპის დაურეგისტრირებული თოფიდან გასროლით მოკლა აიკ მელტონიანის ძმისშვილი, საქართველოს ჩემპიონი მძლეოსნობაში — **ანდრანიკ მელტონიანი.** აღსანიშნავია, რომ მკვლელი მკვლელობის ადგილზე „ფორდ ტრანზიტით“ მიიყვანა ბიძამ, სამსონ თამარიანის ძმამ — **სამველ თამარიანმა**, რომელმაც მკვლელობის შემდეგ მანქანა დაძრა, დაახლოებით, 20 მეტრში მდგომ მელტონიანებისა და მათი თანასოფლელების მიმართულებით. მათ შორის იყო აიკ მელტონიანის მეორე შვილი, არასრულწლოვანი **ამბარცუმ მელტონიანი.** მისმა განწირულმა ყვირილმა: „მამა, მიშველე!“, აიძულა აიკ მელტონიანი, გამოეყენებინა ტაბელური იარაღი, შედეგად ხელში დაჭრილი სამველ თამარიანი „ფორდ ტრანზიტით“ გაიქცა სოფელ აიაზმას მიმართულებით. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. განზრახ მკვლელობის მუხლით სასამართლოს წინაშე წარდგა ანდრანიკ თამარიანი, ხოლო აიკ მელტონიანი გასამართლდა განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით. მოგვიანებით, მელტონიანების ბრძოლის შემდეგ, ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურა იძულებული შეიქნა, აღეძრა საქმე სამსონ თამარიანის წინააღმდეგ. **მიუხედავად თვითმხილველთა ჩვენებისა, რომ სამსონ თამარიანმა განზრახ დააჯახა თავისი „მერსედესი“ არასრულწლოვან მერგელ მელტონიანს, ფეხი მოტეხა და სცადა მეორედ დაჯახება, სამხარეო პროკურატურამ სამსონ თამარიანის მიმართ საქმე აღძრა სსკ-ის 124-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სხეულის დაზიანებას გაუფრთხილებლობით და ისჯება მხოლოდ ფულადი ჯარიმით,** რაც ყოვლად უსამართლოა და აბსურდული. სამსონ თამარიანის მიერ მარგელ მელტონიანისთვის მანქანის დაჯახებით მიყენებულმა მძიმე დაზიანებამ მხარეთა შორის ურთიერთობის უკიდურესი გამწვავება გამოიწვია, რაც ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობით დასრულდა. ეს ორი დანაშაული ერთი საქმის შემადგენელია, ურთიერთდაკავშირებული რგოლები, რაც, სხვათა შორის, სასამართლო სხდომებზე არაერთხელ დაადასტურა ამ საქმის პროკურორმა **გიორგი ღონღაძემ**, მაგრამ სამხარეო პროკურორის — **ლევან გეგეჭკორის** ზემოქმედებით, სამსონ თამარიანის დანაშაული გამოიყო ცალკე წარმოებაში და მიმდინარეობს ცალკე სასამართლო პროცესი. ამით სამხარეო პროკურორმა მიზანმიმართულად მოუსპო დაზარალებულ მერგელ მელტონიანს თავის დაცვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება. როცა მელტონიანების ადვოკატებმა, **თემურ** და **დიანა გვიშიანებმა,** სასამართლოს წინაშე საქმის გაერთიანების საკითხი დააყენეს, რომელიც დაშვებული შეცდომების ნაწილს მაინც გამოასწორებდა, სამხარეო პროკურატურა წინააღმდეგი წავიდა; არადა, ამ ორ პროცესზე ერთი და იგივე მოწმეები იკითხებოდნენ.

სამსონ თამარიანის სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდება.

გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში სამსონ თამარიანი ამბობს, რომ მას, მანქანით მიმავალს, სოფლის ცენტრში დახვდნენ მერგელ მელტონიანი და მისი ბიძაშვილი — ჰაიკ მელტონიანი. ბიჭებმა დაუწყეს გინება და ცემა. **„მანქანაში მჯდომს, ღია ფანჯრიდან მერგელი და ჰაიკი ისე ძლიერად მირტყამდნენ სახესა და თავში, რომ ტკივილისგან კინაღამ გონება დავკარგე. ჩემს მანქანას ეს ბიჭები მთელი ძალით ურტყამდნენ წიხლებს, ჩაამტვრიეს წინა მარცხენა კარის მინა. ამის შემდეგ შეშინებული გავიქეცი შემთხვევის ადგილიდან, მერგელ მელტონიანი კი მომდევდა და ქვებს ესროდა ჩემს მანქანას“,** — ყვება სამსონ თამარიანი.

იმავე დღეს, მკვლელობიდან ერთი საათის შემდეგ, სამსონ თამარიანის მანქანა დაათვალიერა წალკის პოლიციის გამომძიებელმა **მერაბ ყულოშვილმა.** მან დაზიანებები ვერ იპოვა. თამარიანის „მერსედესის“ სრული ექსპერტიზა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა.

**დასკვნა: მანქანა იდეალურ მდგომარეობაშია.** საკვირველია, რატომ არ მიმართა „ნაცემმა“ სამსონ თამარიანმა წალკის საავადმყოფოს ან პოლიციას? მას ხომ ბიჭები ძლიერ ურტყამდნენ „სახესა და თავში“? კანონზომიერი პასუხია: იმიტომ არ მიმართა, რომ მისი სახე ისეთივე იდეალურ მდგომარეობაში იყო, როგორც მისი ძვირადღირებული „მერსედესი“. აი, 5 ივლისს სასამართლოზე დაკითხულმა **ალვარდ კარაპეტიანმა** კი განსხვავებული ჩვენება მისცა და ეს მიუხედავად იმისა, რომ კარაპეტიანი სამსონ თამარიანის ადვოკატების მოწმეა. ქალბატონი ალვარდი ამტკიცებდა, რომ „საწყალ სამსონს“ არა მხოლოდ მერგელი და ჰაიკი, არამედ ხუთი მელტონიანი თავს დაესხა „მთვრალი“ მორლენ მელტონიანის მეთაურობით და ეს მან „საკუთარი თვალით იხილა“... აშკარაა, რომ ალვარდ კარაპეტიანმა თავისი ჩვენებით სამსონ თამარიანს დათვური სამსახური გაუწია.

წალკის საკრებულოს წევრის ადვოკატების — ცოლქმარ **თამარ სადრაძისა** და **მუხრან ღურწკაიას** მრავალი მცდელობის მიუხედავად (ჯერ თქვეს, სამსონი შემთხვევის ადგილას არ ყოფილაო, შემდეგ, მაინც, იყოო, მაგრამ მერგელისთვის მანქანა არ დაუჯახებიაო, უფრო მეტიც, ის მელტონიანებმა სცემეს და დაზარალებულიაო), საერთოდ აარიდონ თამარიანს პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისთვის, თვითმხილველების, სხვა მოწმეების ჩვენებებიდან და პროკურორ გიორგი ღონღაძის კვალიფიციური ქმედებებიდან გამომდინარე, იკვეთება სურათი: არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა სამსონ თამარიანმა **განზრახ** დააჯახა მანქანა არასრულწლოვან მერგელ მელტონიანს, მოტეხა ფეხი და გაიქცა. აღსანიშნავია სამსონ თამარიანის ერთ-ერთი ადვოკატის — თამარ სადრაძის ყოვლად მიუღებელი ქცევა და, გნებავთ, გამოხდომები სასამართლო პროცესებზე. ეს ქალბატონი პიროვნულად შეურაცხყოფდა არა მხოლოდ მელტონიანების ოჯახის წარმომადგენლებს, მისთვის არასასურველ მოწმეებს, არამედ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებსაც კი, მაგალითად, **ალექსანდრე ანჯაფარიძეს.** მიზეზი? ბატონმა ალექსანდრემ სასამართლოს არ მისცა სადრაძისთვის სასურველი ჩვენება. ამის გამო, სადრაძემ ექსპერტს მატყუარა უწოდა, რაც ნებისმიერი ადვოკატის მხრიდან დაუშვებელია, ბოლოს და ბოლოს, უზრდელობაა. საერთოდ, თამარ სადრაძე თავისი „ფსიქოლოგიური“ ზეწოლით მისთვის არასარწმუნო მოწმეებზე ჰგავს კენ კიზის რომანის „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ პერსონაჟს (ოღონდ, პრიმიტიულ ვარიანტში) — მედდა რეთჩედს. ევროპული იურისპრუდენციის ერთ-ერთი გრანდის, პროფესორ **ჰოოგერსის** წერილში, რომელიც მან საქართველოს მთავარ პროკურორ **ირაკლი შოთაძეს** მისწერა, ვკითხულობთ: „თამარიანის ოჯახის ადვოკატმა თამარ სადრაძემ, რომელიც პარლამენტში მდივნად არის დანიშნული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, რამდენჯერმე მიზანმიმართულად დაარღვია საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსი მოცემული საქმის მიმართ. მაგალითად, თარჯიმანს — **სამანტა განდიევას**, რომელიც თამარ სადრაძემ დაიქირავა თამარიანის ოჯახისთვის, არ აქვს საჭირო სერტიფიკატი და არც კი საუბრობს სომხურ ენაზე. გარდა ამისა, მოწმეები განზრახ არიან შეცდომაში შეყვანილი და მოწმის ჩვენება ფალსიფიცირებულია თამარ სადრაძის მიერ. ეს დასტურდება მოწმეთა გამოკითხვით (სარქის მაზმანიანი და ტირუნ აივაზიანი — ავტ.). ყოველივე ზემოთ აღნიშნული არის მიუღებელი“.

თავისი მეუღლისგან განსხვავებით, მუხრან ღურწკაია ნამდვილად ტოვებს თავშეკავებული, განათლებული და კულტურული ადამიანის შთაბეჭდილებას. თუმცა, აი, რა მომიყვა მასზე პროცესზე დაკითხვის შემდეგ მოწმე **ბარსელ იგიტიანმა:** „შარშან გოგო მოვიტაცე, ცოლად რომ შემერთო. პოლიციამ დამაკავა. წალკის რაიონის პოლიციის იმჟამინდელმა უფროსმა ნიკოლოზ გადელიამ შემომთავაზა ადვოკატად მუხრან ღურწკაია. ბატონ მუხრანთან შევთანხმდით, რომ მომსახურებაში გადავუხდიდი ორმოც ათასს ლარს. მან აიღო ე.წ. ბე — 4500 ლარის ოდენობით. რამდენიმე დღეში კი მითხრა, ცხრაწლიანი „სროკი“ გემუქრებაო და თანხა ასი ათასს ლარამდე გამიზარდა, ამიტომ უარი ვუთხარი. ის წავიდა და აღარც დაბრუნებულა. ვიქირავეთ სხვა ადვოკატი, რომელმაც საქმე ბოლომდე მიიყვანა“. თუ იგიტიანი სიმართლეს ამბობს, წალკის პოლიციის ყოფილმა უფროსმა ნიკოლოზ გადელიამ და ადვოკატმა მუხრან ღურწკაიამ, სავარაუდოდ, სარფიანი ტანდემი შექმნეს. იჭერს ვიღაცას წალკის პოლიცია, მიჰყავს განყოფილებაში, დაპატიმრებულს ხვდება გადელია და სთავაზობს ადვოკატს. დაპატიმრებულიც კმაყოფილია, რადგან ეს ადვოკატი პოლიციის უფროსის „პროტეჟეა“ და ამით იმედი ეძლევა, რომ თავს დაიხსნის განსაცდელისგან.

დასასრულ, მინდა ორი კითხვა დავუსვა პროკურორ გიორგი ღონღაძეს:

**პირველი** — სამსონ თამარიანს პროკურატურამ წაუყენა სსკ-ის 124-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანების გამო. თქვენივე ძალისხმევით სასამართლოზე გამოიკვეთა სხვა სურათი: სამსონ თამარიანი განზრახ დაეჯახა არასრულწლოვან მერგელ მელტონიანს და დააინვალიდა. ნუთუ, დატოვებთ 124-ე მუხლს?

**მეორე** — დავუშვათ, სამსონ თამარიანმა გაუფრთხილებლად მიაყენა მძიმე ტრავმა მერგელს. მაშინ რატომ არ დაეხმარა, რატომ არ წაიყვანა საავადმყოფოში ან არ გამოიძახა „სასწრაფო“? როგორც ვიცი, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიტოვება თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

**გიორგი კორძაძე**

**როცა მელტონიანების ადვოკატებმა, თემურ და დიანა გვიშიანებმა, სასამართლოს წინაშე საქმის გაერთიანების საკითხი დააყენეს, რომელიც დაშვებული შეცდომების ნაწილს მაინც გამოასწორებდა, სამხარეო პროკურატურა წინააღმდეგი წავიდა**

ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსი ჯონ სტეინბეკი რომანში „მრისხანების მტევნები“ კარგად აღწერს ამერიკაში გამეფებულ შიმშილს, ამერიკელთა მძიმე ცხოვრებას 1930-იან წლებში, მაგრამ ლიბერალებს, რომლებიც დასავლეთის წაქეზებით, სსრკ-ის არსებობაში მხოლოდ ცუდს ხედავენ და ცდილობენ ამ აწ უკვე ყოფილი სახელმწიფოს წარმატებების დაკნინებას, მხოლოდ ერთ-ერთი რესპუბლიკის, უკრაინის, „გოლოდომორი“ ახსენდებათ.

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სსრკ და «ჰუმანური» დასავლეთი

**დღეს ე.წ. ლიბერალურ საზოგადოების წარმომადგენლებს აქვთ ერთი, მათი აზრით, შეუვალი არგუმენტი, რომლითაც, როგორც ეჩვენებათ, ანადგურებენ საბჭოთა კავშირს, სტალინურ ეპოქას. ეს არის მასობრივი დაპატიმრებები — „გულაგი“ და ინჟინერ-კონსტრუქტორის, სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის წარმოების მთავარი ორგანიზატორის — სერგეი კოროლიოვის, აგრეთვე, ავიაკონსტრუქტორ ანდრეი ტუპოლევის გამომწყვდევა ციხეში.**


სერგეი კოროლიოვი


ალან ტიურინგი

ასეთი რამ რომელ ქვეყანაში შეიძლებოდა მომხდარიყო, სსრკ-ის გარდა? — სვამენ რიტორიკულ კითხვას საბჭოთა კავშირის მაგინებელი ლიბერალები, — მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას შეეძლო, ჩაედინა ასეთი კანიბალიზმი! და, სანამ ამ საბჭოურ გადმონაშთებს სრულიად არ გავანადგურებთ, ჰუმანური დასავლეთი კარს არ გაგვიღებს და წარმატებას ვერაფერში მივაღწევთ.

მაგრამ, მოდი, რიტორიკული კითხვა — რომელ ქვეყანაში შეიძლებოდა მომხდარიყო? — პირდაპირ დავსვათ და აი პასუხიც: — ეს ქვეყანაა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, რომელშიც ცხოვრობდა **კოროლიოვისა** და **ტუპოლევის** თანამედროვე **ალან ტიურინგი** — თანამედროვე კომპიუტერის მამა.

აი რა წერია ალან ტიურინგზე „ვიკიპედიაში“: **„მათემატიკოსი, ლოგიკოსი, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი (1945), ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი (1951). მის მიერ გამოგონილი გამომთვლელ მანქანას („ტიურინგის მანქანა“), რომელიც თანამედროვე კომპიუტერის მოდელად შეიძლება ჩაითვალოს, დღესაც იყენებენ ბევრ თეორიულ და პრაქტიკულ კვლევაში. ტიურინგის სახელობის პრემია დღეს ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ ითვლება ინფორმატიკის სფეროში“.**

1952 წელს ტიურინგი ჰომოსექსუალიზმში დაადანაშაულეს და ქიმიური კასტრაცია ჩაუტარეს. 1954 წელს კი, 42 წლისამ, თავი მოიკლა, რადგან ვერ აიტანა, რაც გაუკეთეს და მხოლოდ 2013 წელს, სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ, შეიწყალა დიდი ბრიტანეთის დედოფალმა.

მაგრამ ამ მსხვერპლზე რატომ არ ალვარლვარებენ ცრემლს თანამედროვე ლიბერალები? **რატომ არავინ გაჰკივის, რომ დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ციხეებში სასჯელს იხდის 2,2 მლნ ადამიანი, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაპატიმრებულთა 25% (პატიმართა ეს რაოდენობა არის უფრო მეტი, ვიდრე ევროპის 35 დიდი სახელმწიფოს ერთობლივი ანალოგიური მაჩვენებელი და 40%-ით აღემატება ჩინეთის მაჩვენებელს), მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის მცხოვრებთა რაოდენობა მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენს?**

**საბჭოთა კავშირში, მაგალითად, 1930 წელს ციხეებსა თუ გამოსასწორებელ კოლონიებში სასჯელს იხდიდა 179 ათასი ადამიანი, მასობრივი დაპატიმრებების პიკზე, 1939 წელს — 1,8 მლნ, აშშ-ში კი დღეს 2,2 მლნ პატიმარია.**

**საბჭოთა კავშირში, მაგალითად, 1930 წელს, ციხეებსა თუ გამოსასწორებელ კოლონიებში სასჯელს იხდიდა 179 ათასი ადამიანი, მასობრივი დაპატიმრებების პიკზე, 1939 წელს — 1,8 მლნ, აშშ-ში კი დღეს 2,2 მლნ პატიმარია**

სერგეი კოროლიოვის დაპატიმრება ბურუსითაა მოცული. ერთნი მიიჩნევენ, რომ ის დაუმსახურებლად ჩასვეს ციხეში, კოლეგების დასმენით. სხვების აზრით, კოროლიოვმა თავისი პროექტების განსახორციელებლად კოლოსალური თანხა დახარჯა სახელმწიფოს ხაზინიდან და ამიტომ აგებინეს პასუხი (1938 წელს).


ანდრეი ტუპოლევი

ანდრეი ტუპოლევმა კი ნამდვილად დაიმსახურა სასჯელი მავნებლობისთვის. 1936 წელს დავალებული ჰქონდა, აშშ-ში შეეძინა სსრკ-ისთვის საჭირო თვითმფრინავის ნახაზები, მაგრამ იქიდან თავისთვის ჩამოიტანა მაცივარი და უამრავი უსარგებლო ქაღალდი — ნახაზებზე ზომები დატანილი იყო დუიმებში, რის გამოც ეს ნახაზები უსარგებლო იყო წარმოებისთვის, თანაც ტუპოლევი ისეთი ამპარტავანი იყო, რომ ფიქრობდა, სსრკ-ში მხოლოდ მისი შექმნილი თვითმფრინავი უნდა ეწარმოებინათ.

კოროლიოვისა და ტუპოლევის დაპატიმრების ამბავში მთავარი სხვა რამ არის: ორივე კონსტრუქტორი პატიმრობის ადგილებში დაიმუხტა შემოქმედებითი ენერგიით და შეეცადა, სარგებელი მოეტანა ქვეყნისთვის და მოუტანეს კიდეც თავდადებული შრომით. დემოკრატიულ და აყვავებულ ბრიტანეთში კი ნიჭიერი ახალგაზრდა კაცისთვის, რომელმაც ქვეყანას გამომთვლელი მანქანა მისცა, ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდა.

ტუპოლევმა 82 წელი იცოცხლა, კოროლიოვმა — 60. ტიურინგმა კი სიცოცხლე 42 წლისამ მოისწრაფა. არადა, კოროლიოვივით 60 წლამდე მაინც რომ ეცოცხლა, კიდევ რამდენ რამეს შეუქნიდა კაცობრიობას.

**თანამედროვე ლიბერალები გაჰკივიან სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე სსრკ-ში, მაგრამ „ავიწყდებათ“, რომ „დემოკრატიულ“ აშშ-ში ათეული წლების განმავლობაში ლინჩის წესით ასამართლებდნენ შავკანიანებს და აიძულებდნენ, მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ტუალეტში ევლოთ, აგრეთვე, თეთრკანიანის გვერდით ტრანსპორტში არ დამსხდარიყვნენ.**

საზოგადოდ, მსოფლიოს ყველა წამყვანმა ქვეყანამ განვითარების ერთი და იგივე გზა გაიარა — თავისი დეპრესიებით, რეპრესიებით, სხვაგვარად მოაზროვნე „კუდიანებზე“ ნადირობით და ა. შ. ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსი **ჯონ სტეინბეკი** რომანში „მრისხანების მტევნები“ კარგად აღწერს ამერიკაში გამეფებულ შიმშილს, ამერიკელთა მძიმე ცხოვრებას 1930-იან წლებში, მაგრამ ლიბერალებს, რომლებიც დასავლეთის წაქეზებით, სსრკ-ის არსებობაში მხოლოდ ცუდს ხედავენ და ცდილობენ ამ აწ უკვე ყოფილი სახელმწიფოს წარმატებების დაკნინებას, მხოლოდ ერთ-ერთი რესპუბლიკის, უკრაინის, „გოლოდომორი“ ახსენდებათ.

არადა, შავკანიანთა ლინჩის წესით გასამართლების, სეგრეგაციისა და აშშ-ბრიტანეთის მიერ ფაშისტური გერმანიის დაფინანსება-წაქეზების შედეგად კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების ფონზე, საბჭოთა კავშირში ვითარება მართლაც უკეთესი იყო.

**უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**

**ნიკა კორინთელმა**

**თანამედროვე ლიბერალები გაჰკივიან სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე სსრკ-ში, მაგრამ «ავიწყდებათ», რომ «დემოკრატიულ» აშშ-ში ათეული წლების განმავლობაში ლინჩის წესით ასამართლებდნენ შავკანიანებს და აიძულებდნენ, მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ტუალეტში ევლოთ, აგრეთვე, თეთრკანიანის გვერდით ტრანსპორტში არ დამსხდარიყვნენ**



შავკანიანთა ლინჩის წესით გასამართლება ამერიკაში



ამერიკელი შავკანიანი მისთვის განკუთვნილ პირსაბანთან

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვიეტნამი, გრენადაში შეჭრა, აფეთქებები ლიბანში 1983 წელს, ერაყის მეორე ომი, ლიბიაში შეჭრა 2011 წელს, ამჟამად სირია... ეს ყველაფერი ამერიკის მარცხის მაგალითებია, რომელთა მიზეზებია: პირველი — პრეზიდენტების სტრატეგიული რაციონალური აზროვნებისა და განსჯის უუნარობა; მეორე — საკმარისი ცოდნის უქონლობა და იმ სიტუაციაში გარკვევის უუნარობა, რომლებშიც სამხედრო ძალა უნდა იქნას გამოყენებული.**

# რატომ არ შესწევთ უნარი პრეზიდენტებსა და მინისტრებს, იაზროვნონ რაციონალურად და სტრატეგიულად?



**გთავაზობთ Business Insider-ში გამოქვეყნებული წერილის თარგმანს.**

ვიეტნამი, გრენადაში შეჭრა, აფეთქებები ლიბანში 1983 წელს, ერაყის მეორე ომი, ლიბიაში შეჭრა 2011 წელს, ამჟამად სირია... ეს ყველაფერი ამერიკის მარცხის მაგალითებია, რომელთა მიზეზებია: პირველი — პრეზიდენტების სტრატეგიული რაციონალური აზროვნებისა და განსჯის უუნარობა; მეორე — საკმარისი ცოდნის უქონლობა და იმ სიტუაციაში გარკვევის უუნარობა, რომლებშიც სამხედრო ძალა უნდა იქნას გამოყენებული.

50 წლის წინათ **ჯონ კენედი** და **ლინდონ ჯონსონი** ვიეტნამის ხაფანგში აღმოჩნდნენ რაციონალური სტრატეგიული შეფასების უქონლობის გამო. საბჭოთა კავშირი არცთუ სტაბილური იყო, ჩრდილოეთ ვიეტნამი კი მსოფლიო კომუნისტური გადატრიალების მოწინავე ხაზზე არ იმყოფებოდა, მაგრამ ვაშინგტონს 10 წელიწადი და 58 ათასი ამერიკელის გაწირვა დასჭირდა თავისი ჯარების ამ ქვეყნიდან გამოსაყვანად. ამ გამანადგურებელი ომიდან რაიმე სასარგებლო დასკვნა გამოიტანეს აშშ-ის მომდევნო პრეზიდენტებმა? — სამწუხაროდ, არა.

შემდგომი მარცხის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ბოლო ოთხ პრეზიდენტს, ტრამპის ჩათვლით, არ გააჩნდა საკმარისი გამოცდილება ან სტრატეგიული აზროვნების უნარი სამხედრო ძალის გამოყენების საკითხში. **ბილ კლინტონს** სხვებზე მეტად გაუმართლა: აშშ-ის პრეზიდენტად იგი აირჩიეს საბჭოთა კავშირის დაშლისა და 1991 წელს **სადამ ჰუსეინის** გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ, რამაც ხელი შეუწყო ამერიკის სამხედრო ავტორიტეტის აღდგენას. ამასთანავე, ეკონომიკა უკვე აღმავლობის გზაზე იდგა, მაგრამ კლინტონმა ვერ შეძლო, გამკლავებოდა „ალ ქაიდასა“ და **უსამა ბენ ლადენს**, მან ყურადღება არ მიაქცია რუანდის ჰუმანიტარულ კატასტროფას და მხოლოდ 78 დღის შემდეგ შეძლო კოსოვოს ტრაგედიის შეჩერება.

**ჯორჯ ბუშს** ეგონა, რომ მისი „გათავისუფლების პოლიტიკა“ და დემოკრატიის დამყარება გააუმჯობესებდა გეოსტრატეგიულ ლანდშაფტს ახლო აღმოსავლეთში, შედეგი 2003 წელს ერაყში შეჭრა და ამ ქვეყნის ოკუპაცია იყო. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის ამერიკის უდიდესი სტრატეგიული კატასტროფა სამოქალაქო ომის შემდგომ ისტორიაში.

**ბარაკ ობამას** წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა ეწარმოებინა „კარგი ომი“ ავღანეთში და ამის პარალელურად გამოეყვანა ჯარები ერაყში „ცუდი ომიდან“. მოთხოვნამ, რომ **ბაშარ ასადს** დაეტოვებინა სირიის პრეზიდენტის თანამდებობა, გაამძაფრა ეს კრიზისი. ინტერვენციამ ლიბიაში 2011 წელს ბენღაზის ხალხის გადასარჩენად ქვეყანაში ქაოსი დაამკვიდრა. „სტრატეგიულმა შებრუნებამ აზიისკენ“ დააფრთხო ამერიკის მოკავშირეები და გააბრაზა ჩინეთი, დადებითი შედეგი კი არ მოჰყოლია.



**ტრამპის** ადმინისტრაციას დღემდე არ შეუმუშავებია გონიერი სტრატეგია იმ კონფლიქტებისა და კრიზისების მოსაგვარებლად, რომლებიც ობამამ დაუტოვა; მათ შორის ისეთებისაც, როგორიც არის „აღმდგარი რუსეთი“ და „ამომავალი ჩინეთი“.

რატომ არ შესწევთ უნარი პრეზიდენტებსა და მინისტრებს, იაზროვნონ რაციონალურად და სტრატეგიულად? — აი, შეკითხვა, რომელმაც უნდა დააფიქროს ამერიკელები. 11 სექტემბრის ტერაქტებამდე ცოტა ამერიკელმა თუ იცოდა, რას წარმოადგენდნენ სუნიტები და შიიტები. სამწუხაროა, რომ არც ამერიკის ხელმძღვანელობაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ღრმად და საფუძვლიანად იყვნენ გარკვეული ისლამური სამყაროს ამგვარ ნიუანსებში, რომელთა ცოდნისა და ანალიზის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო იქაურ ვითარებაში გარკვევა და ძალის გამოყენების „სტრატეგიის“ გამოყენება.

თუ ამ შეცდომებს გაითვალისწინებენ, ხომ კარგი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამარჯვების შანსი არ დარჩებათ. უფრო სარწმუნოა, რომ გაიმეორებენ იმ შეცდომებს, რომლებიც თავის დროზე ვიეტნამში, ერაყსა და ლიბიაში დაუშვეს.

და დამარცხდნენ.

**მსოფლიო პრობლემების კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის (SIPRI) მეცნიერებმა მსოფლიო ბირთვული არსენალის შესახებ მორიგი ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნეს. ამ ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში არსებული ბირთვული იარაღის ოდენობის შემცირება გრძელდება, მაგრამ ყველა ბირთვული სახელმწიფო ხვეწს თავის იარაღს, ცდილობს ბირთვული სამხედრო მარაგის მოდერნიზებას და აშკარად მზად არ არის, უახლოეს მომავალში უარი თქვას ამ იარაღზე.**

# ექსპერტები «დაბალ დონეებზე» ბირთვულ ომს ვარაუდობენ

## უზარმაზარი მარაგი

რუსეთსა და აშშ-ს აქვს ბირთვული იარაღის მოდერნიზაციის ფართო და ძვირად ღირებული პროგრამები. აშშ, მაგალითად, გეგმავს, 2017-დან 2026 წლამდე 400 მილიარდი დოლარი დახარჯოს ბირთვული ძალების მოდერნიზებისთვის. ზოგიერთი შეფასებით, უახლოეს 30 წლის განმავლობაში ასეთი განახლება ამერიკას შეიძლება ერთი ტრილიონი დოლარი დაუჯდეს.

„აშშ-ის მოსალოდნელი დანახარჯის ოდენობა მოულოდნელი არ არის, — ამბობს SIPRI-ის მეცნიერი თანამშრომელი **ჰანს კრისტენსენი,** — დღევანდელი ადმინისტრაცია განაგრძობს პრეზიდენტ **ობამას** მიერ წარდგენილი ბირთვული მარაგის მოდერნიზაციის ამბიციურ პროგრამას“.

სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს გაცილებით ნაკლები ოდენობის ბირთვული არსენალი აქვს, მაგრამ ყველა მათგანი ან უკვე შეუდგა ბირთვული იარაღის მიტანის ახალი სისტემების გაშლას, ან განაცხადა ამგვარი განზრახვის შესახებ.

**ჩინეთმა** უკვე დაიწყო მოდერნიზაციის ხანგრძლივი დროისთვის გათვლილი პროგრამის რეალიზაცია, რომელიც ორიენტირებულია ბირთვული იარაღის არსენალის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ინდოეთი და პაკისტანი აფართოებენ ბირთვული იარაღის თავიანთ არსენალებს და განავითარებენ სარაკეტო სისტემებს. ჩრდილოეთ კორეას 10-20 ქობინის შესაქმნელად საკმარისი ბირთვული საწვავი აქვს, რაც მიგვანიშნებს მისი შესაძლებლობების გაფართოებაზე 2016 წელთან შედარებით. შარშან ამ ქვეყანამ სხვადასხვა სარაკეტო სისტემების გამოცდის უპრეცედენტო რაოდენობა განახორციელა.

„ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ საერთაშორისო მოლაპარაკებებზე მიღწეული ამასწინანდელი პროგრესის მიუხედავად, მოდერნიზაციის გრძელვადიანი პროგრამების განხორციელება ცხრავე ქვეყანაში მიმდინარეობს. ეს კი მიგვანიშნებს, რომ ამ ქვეყნებიდან არც ერთი მზად არ არის, უარი თქვას თავის ბირთვულ არსენალზე“, — განაცხადა SIPRI-ის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **შენონ კაილმა.**



## შეუძლებელია და უსაფრთხოც არ არის

უაზრობაა ლაპარაკი იმაზე, რომ ბირთვული სახელმწიფოები უარს იტყვიან ყველაზე გამანადგურებელ იარაღზე, რომელიც კაცობრიობას ოდესმე შეუქმნია. ასეთი რამ არასოდეს მოხდება, — მიიჩნევს პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ალექსანდრე ხრამჩიხინი.** მეტიც, მსოფლიოში ბირთვული არსენალის ფრიად შესამჩნევი შემცირება არათუ აუმჯობესებს, არამედ აუარესებს სიტუაციას, ბირთვული უსაფრთხოება ამ შემთხვევაში მხოლოდ მცირდება.



„თუ ბირთვული არსენალები ძალიან შემცირდება და ბირთვული იარაღი ნაკლები დარჩება, ბირთვული ომი შეუძლებელი აღარ იქნება, მას აღარ წარმოვიდგენთ, როგორც ცივილიზაციის დამღუპველ უბედურებას. გვეგონება, რომ, თუ იარაღი არც ისე ბევრი დარჩა, მისი გამოყენება კაცობრიობისთვის ფატალური არ იქნება“, — ახსნა ასეთი პოზიცია ერთ-ერთმა ექსპერტმა.

იგი წამითაც არ ეჭვობს, რომ ყველა აზიური ბირთვული სახელმწიფო ამდიდრებს ბირთვულ შეიარაღებას. „რუსეთისა და აშშ-ის შესახებ საუბარი უფრო რთულია, რადგან სწორედ ეს ორი სახელმწიფო სხვებზე მეტად ამცირებდა თავის ბირთვულ არსენალებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში... გამორიცხული არ არის, რომ რუსეთსაც და ამერიკასაც მოუწევს მათი რაოდენობის გაზრდა“, — აღნიშნავს ხრამჩიხინი.

## ყველაფერი ბურუსითაა მოცული

ცალკე თემაა ბირთვული იარაღის გადანაწილება. საკითხავი ის არის, გაჩნდება თუ არა ახალი ბირთვული სახელმწიფოები. „გამორიცხული არ არის, რომ გაჩნდეს, რადგან ეს ტექნოლოგია 70 წლისწინანდელია და ბევრს შეუძლია მისი გამოყენება, თუ მოისურვებენ“, — ამბობს ექსპერტი.

ამასთანავე, იგი ხაზს უსვამს, რომ ფრიად სკეპტიკურად ეკიდება SIPRI-ს შეფასებებს, რადგან მათი წყარო გაურკვეველია.

„იარაღი რომ უჯობესდება, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მაინტერესებს, სად მოიპოვეს მონაცემები, რომ მისი რაოდენობა მცირდება. საინტერესოა მათი გაანგარიშების მეთოდიკა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში არ გაუმჟღავნებიათ. მეტ-ნაკლებად ცნობილია დიდი ბრიტანეთის ბირთვული არსენალის ოდენობა. გაცილებით უცნობია ამერიკელებისა და ფრანგების არსენალების მოცულობა. დანარჩენის შესახებ, რუსეთის ჩათვლით, ცნობილი არაფერია“, — ასკვნის ხრამჩიხინი. იგი არ გამორიცხავს ბირთვული ომის შესაძლებლობას „დაბალ დონეებზე“, მაგალითად, ინდოეთისა და პაკისტანის დაპირისპირებაში, მაგრამ ასეთი ომის დროსაც მსხვერპლი კოლოსალური იქნება, და არა მხოლოდ ომში ჩართულ ქვეყნებში. გამორიცხული არ არის, რომ შედეგები გადასწვდება რუსეთსაც, უწინარეს ყოვლისა, ციმბირსა და ურალს. „ეს არ იქნება ცივილიზაციის დაღუპვა, მაგრამ შედეგები უმძიმესი იქნება“, — გვაფრთხილებს ანალიტიკოსი.

**კეიტლინ ვინი ონტარიოს პროვინციის პირველი ქალი მეთაური, ამასთანავე, კანადის პირველი პოლიტიკოსია, რომელმაც საჯაროდ განაცხადა თავისი არატრადიციული ორიენტაციის შესახებ, მაგრამ მხოლოდ ამის გამო როდი გაითქვა სახელი — 2015 წელს მან წარადგინა სასკოლო სწავლებაში ცვლილებების შეტანის პროგრამა. სწორედ ამ ცვლილებების საფუძველზე პატარებს 6 წლიდან ასწავლიან სექსუალური აღზრდის საფუძვლებს.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ვატიკანის სამდივნოს უფროსს ბრალს სდებენ ძალადობაში

**რამდენიმე დღეა, მსოფლიო პრესაში სკანდალურ ფაქტზე საუბრობენ, რომლის ცენტრალური ფიგურაა კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობის წარმომადგენელი — ავსტრალიის პოლიციამ სექსუალურ ძალადობაში ბრალი დასდო ეკონომიკურ საკითხებში ვატიკანის სამდივნოს ხელმძღვანელს, ავსტრალიის კარდინალს — ჯორჯ პელს.**

„კარდინალ პელს ბრალი აქვს წაყენებული რამდენიმე პუნქტით, რომლებიც სექსუალური ხასიათის დანაშაულს ეხება“, — განაცხადა ვიქტორიის შტატის პოლიციის წარმომადგენელმა **შეინ პატონმა**, — “მას ბრალდება წარედგინა რამდენიმე სასარჩელო განცხადების საფუძველზე.” ჯორჯ პელი სასამართლოს წინაშე 18 ივლისს უნდა წარსდგეს.

კარდინალი კატეგორიულად უარყოფს ბრალდებებს. „მე უდანაშაულო ვარ, ბრალდებები, რომლებიც წარმიდგინეს, სიცრუეა“, — თქვა პელმა ვატიკანში გამართულ პრესკონფერენციაზე და დასძინა, რომ მას გულს ურევს სექსუალური ძალადობის ვარაუდიც კი.

შარშან, ივლისში, ცნობილი შეიქნა, რომ პოლიცია აწარმოებს გამოძიებას ჯორჯ პელის მიერ არასრულწლოვანთა გარყვნის საკითხზე. ავსტრალიის ტელერადიო კომპანია ABC-მ მაშინ განაცხადა, რომ კარდინალის წინააღმდეგ მიმართული განცხადებების შესწავლა, უკვე ერთი წელიწადია, მიმდინარეობს.

ბრალდებები ეხება 1970-იანიდან 1990-იან წლებში ჩადენილ დანაშაულებს. შარშან, ოქტომბერში, ავსტრალიის პოლიციამ პელი დაჰკითხა. მაშინ მან ბრალდებებს აბსოლუტური სიცრუე უწოდა.

კარდინალი სასამართლოს წინაშე 26 ივლისს წარსდგება.



## ბაქოში გეებმა და ტრანსვესტიტებმა ერთმანეთს ცხვირიდან სისხლი ადინეს

**ბაქოს ერთ-ერთი რაიონის დასახლებაში კურიოზული დანაშაული მოხდა ლგბტ თემის წარმომადგენელთა მონაწილეობით.**

ბექირ ჩობანზადეს ქუჩაზე, ერთ-ერთი მრავალსართულიანი სახლის პირველ სართულზე მოქმედ კაფეში სექსუალურ უმცირესობათა ოთხი წარმომადგენელი მივიდა და თავს დაესხა იქაურობის პატრონ **ფუად მამედლის** და კაფეში დროს გასატარებლად მისულ ტრანსვესტიტებს; დალეწეს ავეჯი, ჩაამსხვრიეს ფანჯრები.

News.az იტყობინება, რომ ჩხუბის მონაწილეთა შორის არიან დაშავებულები, რომლებსაც საკმარისად მოხვდათ ამ შეტაკების დროს. მათ პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

არც ერთი მოჩხუბარი არ დაუპატიმრებიათ. გაირკვა, რომ აღნიშნული კაფე ადგილობრივი ტრანსვესტიტების შეკრების ადგილია, ისინი სწორედ აქ ნადირობენ კლიენტებზე.

გავრცელებული ინფორმაციით, ტრანსვესტიტებსა და ჰომოსექსუალებს შორის, რომლებიც გარა გარაევის პროსპექტზე სხეულით ვაჭრობენ, გაჩნდა კონკურენცია, რომლის გამოც ისინი ერთმანეთს „უკომპრომისოდ“ დაუპირისპირდნენ.

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით



## კანადაში მიღებული კანონით, მშობლებს, რომლებიც ლგბტ-ს აკრიტიკებენ, შვილებს წაართმევენ

**ეს ნიშნავს, რომ, თუ ბავშვი გადაწყვეტს, შეიცვალოს სქესი, მშობლებს არა თუ არ აქვთ უფლება, გადაათქმევინონ, არამედ ვალდებულნი არიან, დაეხმარონ განზრახვის არსასრულებლად.**

ასეთი დამოკიდებულება თავისთავად უზნეობის მწვერვალია, რომელშიც სხვა, უფრო დიდი უბედურება დევს. აგიხსნით: ვისგან, თუ არა ბავშვისგან, შეიძლება შეიტყონ სამართალდამცველებმა, რომ მშობლებმა ეს კანონი დაარღვიეს?

რა თქმა უნდა — შვილისგან.

ესე იგი, შვილმა დედ-მამა უნდა დაასმინოს.

ეს კი ნიშნავს, რომ კოლექტივიზაციის პერიოდში გმირად წარმოდგენილი **პავლიკ მოროზოვის** ფენომენის პროპაგანდას საბჭოთა კავშირიდან ძალიან, ძალიან დაშორებულ კანადაში ახალი, კანონიერი საფუძველი ჩაუყარეს.

ესეც უმწიკვლო ზნეობის მაგალითი, ანუ იმ „მაღალი მორალის“ ნიმუში, რომლის ერთგულებასაც გვიქადაგებენ.

მაგრამ დავუბრუნდეთ აღნიშნულ კანონს.

ჯერჯერობით მხოლოდ ონტარიოს პროვინციაზეა ლაპარაკი.

მოღვაწეობს იქ ცნობილი პოლიტიკოსი, სახელად **კეიტლინ ვინი**. ონტარიოს პროვინციის პირველი ქალი მეთაური, რომელიც, ამასთანავე, კანადის პირველი პოლიტიკოსია, რომელმაც საჯაროდ განაცხადა თავისი არატრადიციული ორიენტაციის შესახებ, მაგრამ მხოლოდ ამის გამო როდი გაითქვა სახელი — 2015 წელს მან წარადგინა სასკოლო სწავლებაში ცვლილებების შეტანის პროგრამა. სწორედ ამ ცვლილებების საფუძველზე პატარებს 6 წლიდან ასწავლიან სექსუალური აღზრდის საფუძვლებს. აქაური დოგმის თანახმად, 8-9 წლის ბავშვები უკვე გარკვეული უნდა იყვნენ ერთნაირსქესიანთა ურთიერთობაში. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ეთანხმებიან თუ არა მშობლები აღზრდის ამ პრინციპს.

მაგრამ ამით არ მთავრდება ყველაფერი.

მადამ ვინი უფრო შორს წავიდა.

კანადაში მიიღეს ახალი კანონი 89 (Bill 89), ანუ „2017 წლის კანონი ბავშვების, ახალგაზრდებისა და ოჯახის მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიხედვით სახელმწიფოს აქვს უფლება, ჩაერიოს მშობლებისა და ბავშვების ურთიერთობაში. ბავშვების ინტერესები ვრცლადაა აღწერილი. სხვა ყველაფერთან ერთად, აქ ჩართულია „სექსი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტურობა და გენდერული თვითდამკვიდრება“.

თუ ბავშვი ბიჭად დაიბადა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, რომ სურს, გოგოდ გარდაიქმნას ან პირიქით, გოგოს — ბიჭად, მშობლები ვალდებულნი არიან, დაიცვან კანონი და მისცენ მას ამ შემთხვევისთვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ამას მიიჩნევს ბავშვის ტანჯვა-წამებად და გამოიყენებს ოჯახიდან მისი წაყვანის კანონით დადგენილ უფლებას.

იგივე მოხდება, თუ მშობლები გაბედავენ ლგბტ თემის იდეოლოგიის წინააღმდეგ სიტყვის ამოღებას ან, თუ ბიჭს დაუშლიან, უყვარდეს სხვა ბიჭი პარალელური კლასიდან. პრინციპი ერთია — ბავშვი საკუთარი ოჯახისგან უნდა დაიცვან.

**აქამდე მიჩნეული იყო, რომ გარდამავალი ასაკი, ანუ შვილებისა და მშობლების გაუცხოება დროებითი მოვლენაა, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ თავისით ქრება. თურმე ცდებოდნენ თაობები. ეს პერიოდი, ბატონებო და ქალბატონებო, ყოფილა ბავშვის „მენტალური და ემოციური დისკომფორტის“ პერიოდი და ეს მოცემულობა ოჯახიდან შვილის გარიდების უფლებას იძლევა.**

როგორც გაირკვა, ბავშვს ძალიან ბევრი უფლება ჰქონია, საკუთარი მშობლებისგან განსხვავებით. ისინი თითქოს დანაღმულ ველზე იმყოფებიან. მათ მოსაზრებას არც წონა აქვს და არც იუვენალური სამსახურები აქცევენ რაიმე ყურადღებას. ამასთანავე, მათთვის უმჯობესია, არ გაამჟღავნონ რელიგიურობა. არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას აქ გაცილებით მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე რწმენას. მიღებული კანონი გამორიცხავს აღმსარებლობის ცნებას და „ღირებულებათა სისტემას, რომლითაც მშობლებმა აღზარდეს თავიანთი შვილი“.

როგორც ჩანს, კანონმდებლებმა ჩათვალეს, რომ ოჯახი, რაც უფრო ტრადიციულია, მით უფრო უარესია.

## სამი ერთნაირსქესიანი «პატარძლის» ქორწინება

**დასავლეთის მედია აზუსტებს, რომ ამ არაბუნებრივი „კავშირის“ მონაწილეებს ყველა ის სამოქალაქო უფლება დაუმტკიცეს, რომლებიც ტრადიციულ ოჯახებს აქვთ, მათ შორის, მემკვიდრეობითობის უფლებაც.**

ამ „კაცებმა“ საქორწინო დოკუმენტებს 12 ივნისს მოაწერეს ხელი. „დაქორწინდნენ“ მსახიობი **ვიქტორ უგო პრადა**, სპორტული მწვრთნელი **ჯონ ალეხანდრო როდრიგესი** და ჟურნალისტი (ფუი ეშმაკს!) **მანუელ ხოსე ბერმუდესი**.

2016 წელს კოლუმბია მეოთხე ქვეყანა გახდა სამხრეთ ამერიკაში (არგენტინის, ბრაზილიისა და ურუგვაის შემდეგ), რომლის ხელისუფლებამ დააკანონა ერთნაირსქესიანთა ქორწინება. ჰომოსექსუალებს ბავშვების შვილად აყვანის ნებაც დართეს.

ბრაზილია პირველობს, რადგან აქ, ერთნაირსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციის გარდა, რომელიც 2013 წელს



განხორციელდა, არეგისტრირებენ სამი ერთნაირსქესიანი „პატარძლის“ ქორწინებასაც.

უცხოური პრესა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამას წინათ პოლონეთის მესაზღვრეების ყურადღება მიიქცია ავტობუსმა „უკრაინელი ტურისტებით“: სასაზღვრო კონტროლის გავლისას მებაჟეებმა შეამჩნიეს, რომ ყოველ „დამსვენებელს“ თან ჰქონდა ბარი. ასევე, მებაჟეს ჩვეულებრივზე მძიმედ მოეჩვენა ერთი ჩემოდანი, გახსნეს და აღმოჩნდა, რომ ქალი ცდილობდა, არალეგალურად გადაეყვანა თავისი რვა წლის ბიჭი, რადგან ვერ შეაგროვა შვილისთვის ბიომეტრული პასპორტის შესაძენად აუცილებელი თანხა“.**

## Riafan: აშშ ტერორისტებისთვის იარაღის მიწოდებაში ამხილეს



**ბულგარული გაზეთის — „ტრუდის“ ჟურნალისტებმა გამოიძიეს და დაადგინეს, რომ აშშ მონაწილეობდა სირიის, ერაყისა და იემენის ისლამისტური, აგრეთვე, სამხრეთ აფრიკის კრიმინალური დაჯგუფებებისთვის და ბურკინა-ფასოში სამხედრო გადატრიალების მონაწილეებისთვის იარაღისა და საბრძოლო მასალების მიწოდებაში.**

ეს იარაღი დანიშნულების ადგილზე ჩაჰქონდათ არა მხოლოდ გემებით, არამედ საჰაერო გზითაც. ბოლო სამი წლის განმავლობაში აზერბაიჯანის სახელმწიფო ავიაკომპანია Silk Way-ს თვითმფრინავებმა 350-ჯერ გადაზიდეს იარაღი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ამასთანავე, ამ რეისებს მინიჭებული ჰქონდა დიპლომატიური სტატუსი, რაც ათავისუფლებდა მათ საბაჟო შემოწმებისგან და აეროპორტებით სარგებლობის გადასახადისგან.

გამოძიება დაიწყო 2015 წლის 6 ივნისიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ბულგარეთის ანევოს სამხედრო პოლიგონზე დაიღუპა 41 წლის **ფრენსის ნორვილო,** აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების ყოფილი ოფიცერი, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღების სპეციალისტად ითვლებოდა. იგი დაიღუპა 1984 წელს დამზადებული ყუმბარის აფეთქების შედეგად, რომლითაც ცდილობდა ყუმბარსატყორცნის დატენვას. მოგვიანებით გაირკვა, რომ იგი აწარმოებდა სირიის ოპოზიციისთვის განკუთვნილი იარაღის ტესტირებას, რომელიც აშშ-ის ფულით უნდა შეეძინათ.

**2016 წლის ბოლოს გაარკვიეს, რომ ბულგარული იარაღი „ჯებჰად ან-ნუსრის“ 9 საწყობში ინახებოდა, დადგინდა საზღვაო ტრანზიტის ფაქტიც. ამ გადაზიდვას ამერიკული ფირმები აფინანსებდნენ**. სოპოტში ბულგარეთის სამხედრო ქარხნის მიერ დამზადებული პროდუქციის ერთი გემით გადაზიდვა ვერ მოხერხდა. სწორედ მაშინ გამოჩნდა ავიაკომპანია Silk Way, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა, რომ გადაიტანს იარაღს. ამ ავიაკომპანიამ მიიღო თავისი სამოქალაქო რეისების დიპლომატიური სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლით ასეთი სტატუსი მხოლოდ სამხედრო თვითმფრინავებს ენიჭება.

ამ აზერბაიჯანელ ფირმას გადაჰქონდა „ამერიკული სტანდარტების იარაღი“, რომლის შესაძენად სამმა ამერიკულმა კომპანიამ: Purple Shovel-მა, Chemring-მა და Orbital ATK-ამ აშშ-ის მთავრობისგან ბოლო სამ წელიწადში ერთ მილიარდ დოლარზე მეტი მიიღო. მის გადასაზიდად აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებს იყენებდნენ.

Silk Way-ის დიპლომატიური ავიარეისებით სარგებლობს ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის უახლოესი მოკავშირე საუდის არაბეთიც, რომელიც მხარში უდგას ისლამისტებს სირიაში, ერაყსა და იემენში. **2016 წლიდან დღემდე იარაღის გადასაზიდად დიპლომატიური სტატუსის მქონე 23 ავიარეისი განხორციელდა აზერბაიჯანიდან, ბულგარეთიდან და სერბეთიდან ჯედასა და ერ-რიადის აეროპორტებში. შედეგად ბულგარული ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები — SPG-9 და GP-25 სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ მოთარეშეების ხელში აღმოჩნდა.**

წლეულს, მარტში, ავიარეისით, რომელიც საუდის არაბეთმა დაიქირავა, ბურგასიდან გაიგზავნა უმართავი საავიაციო რაკეტების — VAR-80 VMZ-ის პარტია, რომელთა წონა 29,9 ტონა იყო და რომლებიც პოტენციურად საშიშია სირიაში რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალებისთვის. ოფიციალურად ისინი კონგოსთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ თვითმფრინავის საუდის არაბეთში დაშვების შემდეგ ბრაზავილამდე მხოლოდ მსუბუქი შეიარაღება აღწევდა, საიდანაც იგზავნებოდა სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოებში. იქაური დანაშაულებრივი დაჯგუფებები ამ იარაღის გამოყენებით ცდილობდნენ, ხელთ ეგდოთ ოქროსა და ალმასის საბადოები.

## Junge Welt: უკრაინელები ევროკავშირში «ექსკურსიებზე» ჩემოდნებში დამალული ბავშვებით მიემგზავრებიან



**უკრაინელები მზად არიან, მოიმოქმედონ ყველაფერი, რათა თავიანთი ქვეყნიდან გაიქცნენ — ევროკავშირში სამუშაოს პოვნა მათი ერთადერთი მიზანია. მიემგზავრებიან საკუთარი ბარებითაც კი, ბავშვები ჩემოდნებით გადაჰყავთ, შუამავლებს ხარკს უხდიან — ოღონდ როგორმე გააღწიონ ღატაკი უკრაინიდან, მაგრამ ევროკავშირში მხოლოდ კაპიკების შოვნის მიზნით არ მიემგზავრებიან, გერმანელი ჟურნალისტები მაღალკვალიფიციური პერსონალის მიგრაციის ზრდაზე საუბრობენ.**

„პოლონური ქალაქის — პოზნანის ცენტრი. პარკი. ბაღის მერხზე ორი გოგო მოკალათებულა. ადგილობრივი იაფი მაღაზიის პაკეტიდან იღებენ დაჭრილ პურსა და კონსერვებს, მიირთმევენ და რომელიღაც ფერად სითხეს აყოლებენ. დანაყრების შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა იკითხა — "სად არის ავტობუსების უახლოესი სადგური?", — წერს გერმანული გაზეთი Junge Welt-ი.

პოზნანის ამ სადგურიდან ნაშუადღევს ნახევარსაათიანი ინტერვალებით გადის საავტომობილო მარშრუტები არა მხოლოდ ახლომდებარე ლვოვში, არამედ პოლონეთიდან დაცილებულ ისეთ სამრეწველო ქალაქებში, როგორებიცაა უკრაინული კრემენჩუგი, ჩერკასი და კრივოი როგი. იმ ავტობუსებით მგზავრობა, რომლებიც კონდიციონერებით აღჭურვილი არ არის, შეიძლება 24 საათს გაგრძელდეს, საზღვარზე დაყოვნების ჩათვლით.

**გოგონები, რომლებიც ვახსენეთ, უკრაინელთა იმ 1,2-მილიონიანი არმიის წარმომადგენლები არიან, რომლებიც, უახლესი მონაცემებით, პოლონეთში ცხოვრობენ და მუშაობენ. აშკარად ჩანს, რომ ეს რაოდენობა მოიმატებს. ამ ტენდენციის ბიძგის მიმცემია ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო გადაადგილების უფლება, რომელიც უკრაინის მოქალაქეებმა წლეულს, 12 ივნისს, მიიღეს. უვიზო რეჟიმი არ ითვალისწინებს ევროკავშირში მუშაობას, მაგრამ ეს — მხოლოდ თეორიულად.**

ასეთი აკრძალვა, ყოველ შემთხვევაში, პოლონეთში, პრაქტიკულად არ მოქმედებს. პოლონეთის საელჩოები შენგენის ვიზების გარეშე ადრეც აძლევდნენ ასიათასობით უკრაინელს სამუშაო ვიზებს: პოლონეთის ადგილობრივი ეკონომიკის მთელი დარგები აღმოსავლეთის მეზობლის იაფი სამუშაო ძალის წყალობით ფუნქციონირებს.

ახლახან **პოლონეთის ერთ-ერთ ტელეარხზე მიწვეულმა ხილის პლანტაციის პატრონმა მასთან დასაქმებული უკრაინელების ხელფასებზე ისაუბრა: ერთ სეზონურ მუშას უკრაინიდან იგი საათში 11 ზლოტს (დაახლოებით 2,6 ევროს) უხდიდა. ამ თანხის თითქმის ერთ მესამედს იღებს უკრაინელი შუამავალი და უკრაინელ მუშას, ფაქტობრივად, რჩება 7 ზლოტი, ანუ 1,65 ევრო.** ამჟამად ძნელია ვინმეს პოვნა, ვინც ამგვარ გასამრჯელოს დათანხმდება. უკრაინელები ითხოვენ „მინიმალურ ხელფასს“, როგორიც პოლონელებისთვისაა — 12 ზლოტს, პლუს დანახარჯი კვებისა და ტრანსპორტის. ფერმერი წუწუნებდა: მომავალ სეზონზე მოლდოვიდან ან ბელარუსიდან ჩასული მუშების დასაქმება მოუწევს ან საერთოდ თავს დაანებებს იმ პროდუქციის მოყვანას, რომლის დაკრეფა მექანიკური საშუალებებით შეუძლებელია. თუმცა ხილისა და ბოსტნეულის დეფიციტი პოლონეთში მოსალოდნელი არ არის: უკრაინული ხელფასების დონე, კიევშიც კი, პოლონელებისაზე ძალიან ნაკლებია. უკრაინის რეგიონებში ხელფასები კიდევ უფრო მიზერულია, რა თქმა უნდა, ისეთ შემთხვევაში, თუ იქ შეიძლება სამუშაოს პოვნა. ამიტომაა, რომ ქვეყანას მოდებული არიან ლეგალური და ნახევრადლეგალური შუამავლები, რომლებიც უკრაინელებს სთავაზობენ საათში 7-ზლოტიან ანაზღაურებას პოლონეთის პლანტაციებსა და მშენებლობებზე.

„ამას წინათ პოლონეთის მესაზღვრეების ყურადღება მიიქცია ავტობუსმა „უკრაინელი ტურისტებით“: სასაზღვრო კონტროლის გავლისას მებაჟეებმა შეამჩნიეს, რომ ყოველ „დამსვენებელს“ თან ჰქონდა ბარი. ასევე, მებაჟეს ჩვეულებრივზე მძიმედ მოეჩვენა ერთი ჩემოდანი, გახსნეს და აღმოჩნდა, რომ ქალი ცდილობდა, არალეგალურად გადაეყვანა თავისი რვა წლის ბიჭი, რადგან ვერ შეაგროვა შვილისთვის ბიომეტრული პასპორტის შესაძენად აუცილებელი თანხა“, — იუწყება Junge Welt-ი.

შევცდებით, თუ აღნიშნულ მიგრაციას ევროკავშირში იაფი სამუშაო ძალის ინვაზიად მივიჩნევთ. მაგალითად, უკრაინის რკინიგზა ყოველთვის აცხადებდა, რომ აკლია ლოკომოტივების მემანქანეები, რადგან ისინი, როგორც კვალიფიციური სპეციალისტები, სამუშაოდ ეწყობიან პოლონეთსა და ჩეხეთში. პოლონეთის ფირმები უკრაინელ სპეციალისტებს იმდენს უხდიან, რამდენსაც ადგილობრივ თანამშრომლებს. ამავე დროს უძრავი ქონების მაკლერების კავშირმა ახლახან განაცხადა, რომ სულ უფრო მეტი უკრაინელი ყიდულობს ბინას პოლონეთის დიდ ქალაქებში. საფასურს ქეშად იხდიან, იმ ფულით, რომელიც უკრაინაში თავიანთი უძრავი ქონების გაყიდვით იშოვეს.

„პოლონეთის უმაღლეს სასწავლებლებში, უპირველესად, ტექნიკური მიმართულების უნივერსიტეტებში, იზრდება უკრაინელი სტუდენტების რაოდენობა, რის გამოც უკვე ალაპარაკდნენ „ინჟინერული განათლების უკრაინიზაციაზე“. ამ ყველაფერს უკრაინელებისთვის კარგი ბონუსი აქვს: ისინი, ვინც პოლონეთში სწავლობს და იქვე ეწყობა სამუშაოდ, მიუწვდომელი ხდებიან უკრაინის არმიისთვის და მისი სამობილიზაციო ბრძანებებისთვის“, — წერს გერმანული გაზეთი.

## France-Presse: კატალონია დამოუკიდებლობას რეფერენდუმის დასრულებისთანავე გამოაცხადებს



**ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა ხმას მისცემს ამ მხარის დამოუკიდელობას რეფერენდუმზე, რომელიც წლეულს, 1 ოქტომბერს გაიმართება.**

„თუ ხმების უმრავლესობა კატალონიის რესპუბლიკის მხარეს იქნება, დამოუკიდებლობა დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს“, — თქვა კატალონიის კოალიციის წევრმა **გაბრიელა სერამ.**

დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადების შესახებ ნათქვამია კანონში, რომელიც კატალონიას ესპანეთის სამართლებრივი სისტემიდან გამორიცხავს.

უკვე დიდი ხანია, კატალონიაში ესპანეთიდან გამოყოფაზე ლაპარაკობენ. ეს რეგიონი მნიშვნელოვნად არის განვითარებული და აქ მცხოვრებნი მიიჩნევენ, რომ, თუ გამოეყოფიან ხანგრძლივ ეკონომიკურ კრიზისში მყოფ ესპანეთის სახელმწიფოს, დანარჩენი ესპანელებისგან განსხვავებით, არ დასჭირდებათ ქამრების შემოჭერა და უზრუნველყოფილი იქნებიან ცხოვრების მაღალი დონით.

ესპანეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ დაბლოკავს კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმს.

## Sun Sentinel: ფლორიდაში შერეული ორთაბრძოლების სპორტსმენი მოკლეს



**უცნობები შეიჭრნენ ამერიკელი სპორტსმენის — აარონ რეჯმენის სახლში, მოკლეს 25 წლის ახალგაზრდა და მიიმალნენ.** წინასწარი მონაცემებით, ბოროტმოქმედებმა მინიმუმ ერთხელ ესროლეს აარონს.

რეჯმენი სპორტის ამ სახეობის პროფესიონალი მებრძოლი სამი წლის წინათ გახდა, ვარჯიშობდა მოქმედ ჩემპიონებთან. პოლიცია ეძებს დამნაშავეებს.

**რუსულ სტრატეგიულ ფრთოსან რაკეტა X-101-ს შეუძლია გაანადგუროს 4500 კილომეტრით დაშორებული ობიექტები. იგი შეიძლება აღიჭურვოს ბირთვული ქობინითაც. რაკეტებში დამონტაჟებულია დამიზნების კომბინირებული სისტემა, რომლითაც, წინა თაობის რაკეტებისგან განსხვავებით, მიზნისკენ გატყორცნილი რაკეტისთვის მიმართულების შეცვლა შეიძლება სხვა ობიექტისთვის დარტყმის მისაყენებლად.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «დათვების» დარტყმა: რუსულმა Ty-95MC-ებმა უახლესი ფრთიანი რაკეტებით გაანადგურეს «ისლამური სახელმწიფოს» ობიექტები სირიაში

**რაკეტებით აღჭურვილი Ty-95MC-ები („დათვი" — ნატოს კლასიფიკაციით) აფრინდნენ სარატოვის ოლქის ენგელსის აეროდრომიდან, ჰაერში ყოფნისას შეივსეს საწვავი და უახლესი ფრთოსანი რაკეტა X-101-ებით გაანადგურეს „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტული დაჯგუფების ობიექტები და „ბოევიკები".**



რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ცნობა, რომ სარაკეტო დარტყმის შედეგად განადგურებულია იარაღის რამდენიმე საწყობი სირიის პროვინციების — ჰამისა და ჰომსის — საზღვარზე. ეს არ არის რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ძალების მიერ ზუსტი რაკეტების გამოყენების პირველი შემთხვევა სირიის სამხედრო კამპანიაში.

„დარტყმის შედეგად განადგურდა შეიარაღებისა და სამხედრო მასალის სამი დიდი საწყობი და ტერორისტების სამეთაურო პუნქტი ქალაქ აქერბატის რაიონში, რაც კონტროლის მონაცემებმაც დაადასტურა", — ნათქვამია ცნობაში. ბომბდამშენებს იცავდნენ ავიაგამანადგურებლები Cy-30CM-ები, რომლებიც ჰმეიმიმის აეროდრომზე ბაზირებენ. საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ რუსეთის თვითმფრინავები აეროდრომებზე დაბრუნდნენ.

ოპერაცია „ურყევი გამბედაობის" შტაბმა, რომელიც ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამხედრო კოალიციას აშშ-ის მეთაურობით, დააყოვნა რუსეთის სტრატეგიული ბომბდამშენების მიერ განხორციელებული ოპერაციის კომენტირება.

უახლეს **რუსულ სტრატეგიულ ფრთოსან რაკეტა X-101-ს შეუძლია გაანადგუროს 4500 კილომეტრით დაშორებული ობიექტები. იგი შეიძლება აღიჭურვოს ბირთვული ქობინითაც. რაკეტებში დამონტაჟებულია დამიზნების კომბინირებული სისტემა, რომლითაც, წინა თაობის რაკეტებისგან განსხვავებით, მიზნისკენ გატყორცნილი რაკეტისთვის მიმართულების შეცვლა შეიძლება სხვა ობიექტისთვის დარტყმის მისაყენებლად.**

ამ ტიპის რაკეტები დამზადებულია რადიოლოკაციური აღმოჩენის შემცირების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. სირიაში საბრძოლო გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

სარაკეტო დარტყმა, რომელზეც ვლაპარაკობთ, ბოლო 5 თვეში პირველად განხორციელდა. ეს რაკეტები პირველად წლეულს, 17 თებერვალს, გამოიყენეს სირიის ელ-რაკის რაიონში ტერორისტების წინააღმდეგ. მაშინ განადგურდა „ისლამური სახელმწფიოს" ერთ-ერთი უმსხვილესი დაჯგუფების საბაზო ბანაკები, მომზადების ცენტრები და მართვის პუნქტი. ოპერაციის განხორციელება კოორდინირებული იყო საერთაშორისო კოალიციასთან, რომელსაც აშშ მეთაურობს.

თებერვლის ოპერაციისას სტრატეგიული ტურბოხრახნული რაკეტმზიდი Ty-95MC-ები აფრინდნენ რუსეთის ერთ-ერთი აეროდრომიდან, გადაკვეთეს ირანისა და ერაყის საჰაერო სივრცე და დაბომბეს ობიექტები. ბომბდამშენებს იცავდნენ რუსეთის მოიერიშე თვითმფრინავები Cy-30CM და Cy-35M.

ავიადარტყმები 2016 წლის ნოემბრის შუა რიცხვებშიც განხორციელდა.

„საჰაერო ბაზირების ფრთოსანი რაკეტების გაშვება ხმელთაშუა ზღვის აკვატორიის თავზე გათვალისწინებული რაიონიდან განხორციელდა. მაშინ ბომბდამშენებმა ფრენისას შეივსეს საწვავი ავზები და ძირდაუშვებლად გადალახეს 11 ათასი კილომეტრი", — იუწყებოდა რუსეთის თავდაცვის სამინისტრო.

2016 წლის ივლისსა და აგვისტოში ბომდამშენმა ავიაციამ ხუთჯერ დაბომბა ტერორისტების ბაზები ელ-რაკისა და პალმირას რაიონებში.

რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ძალების ოპერაცია სირიაში 2015 წლის სექტემბერში დაიწყო, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა **ბაშარ ალ-ასადმა** ოფიციალური თხოვნით მიმართა მოსკოვს სამხედრო ძალით დახმარებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ Ty-95-ის ექსპლუატაცია ჯერ კიდევ 1995 წელს დაიწყო, მისი ღრმა მოდერნიზაცია, ასევე, უახლესი შეიარაღებით აღჭურვა (X-101-ის ჩათვლით), საშუალებას აძლევს ამ ბომბდამშენს, კვლავაც აქტუალურ და ეფექტიან საფრენ აპარატად დარჩეს თანამედროვე ლოკალურ ომებში.

მომავალში იგი უნდა შეცვალოს უახლესმა შორეულმა ბომბდამშენმა, პერსპექტიულმა საავიაციო კომპლექსმა, რომელიც ამჟამად გამოცდას გადის.

# ავსტრიული კომპანიები რუსეთში მუშაობას განაგრძობენ

**ავსტრიელმა ბიზნესმენებმა ხელისუფლებას მოსთხოვეს, გამოვიდეს ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებიდან. ამის შესახებ ავსტრიის ეკონომიკის პალატის ვიცეპრეზიდენტმა რიჰარდ შენცმა განაცხადა.**



შენცმა თქვა, რომ ავსტრიული კომპანიები სიამოვნებით თანამშრომლობენ რუსეთის რეგიონებთან და ამ ორ ქვეყანას მტკიცე ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებს.

„სამწუხაროდ, სამეწარმეო კლიმატი გაუარესებულია ეკონომიკური სანქციებით, რომელთა წინააღმდეგ გამოდის ავსტრიის ბიზნესი და მოითხოვს, ეს სანქციები არ გამოიყენონ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად", — განაცხადა შენცმა ეკონომიკის პალატაში ფსკოვის ოლქის ეკონომიკური პოტენციალის პრეზენტაციაზე, რომელიც ავსტრიაში რუსეთის რეგიონების პირველი ბიზნესმისიის ჩარჩოებში გაიმართა. მან დასძინა, რომ ავსტრიის ეკონომიკის პალატა ცდილობს, გამოიყენოს პოლიტიკური ასპარეზის ყველა შესაძლებლობა, რათა შერბილდეს ან გაუქმდეს სანქციები, რადგან ისინი უდანაშაულოებს აზარალებს.

შენცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სავაჭრო კავშირი რუსეთთან 2014 წლის სანქციების შემდეგ 2016 წლის ოქტომბრიდან თანდათან უმჯობესდება. „2017 წლის პირველ კვარტალში ავსტრიის ექსპორტმა რუსეთში 28,1 პროცენტით მოიმატა, იმპორტმა რუსეთიდან კი — 26,3 პროცენტით. მიმდინარე წელს ჩვენი ორმხრივი სავაჭრო ბრუნვა 10 პროცენტზე მეტად მოიმატებს", — თქვა ეკონომიკის პალატის ვიცეპრეზიდენტმა.

რიჰარდ შენცის განცხადებით, ყველა სირთულისა და დაბრკოლების მიუხედავად, ავსტრიული კომპანიები განაგრძობენ მუშაობას რუსეთში და უფრო მეტი ინვესტიციის ჩადებას აპირებენ ამ ქვეყნის ეკონომიკაში.

## «ბლუმბერგი»:

# ევროპელები ბევრ ალკოჰოლურ სასმელს სვამენ

**სააგენტო „ბლუმბერგის" მიერ გავრცელებული ცნობით, ევროპის მოქალაქეები უფრო მეტ ალკოჰოლურ სასმელს სვამენ, ვიდრე ამერიკელები და აფრიკელები, რაც კიბოთი დაავადების საფრთხეს ზრდის.**



ევროპელების მიდრეკილება სპირტის შემცველი სასმელებისადმი აძლიერებს კუჭისა და ნაწლავების კიბოთი დაავადების რისკს. იუწყება „ბლუმბერგი" გასტროენტეროლოგიის ევროპული ასოციაციის მონაცემებზე დაყრდნობით.

გამოკვლევით დადგინდა, რომ მოზრდილი ევროპელი ერთი წლის განმავლობაში 11,2 ლიტრ ალკოჰოლურ სასმელს სვამს. ეს 20 პროცენტით აჭარბებს აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებელს. ყველაზე მსმელ ევროპულ ქვეყნად აღიარეს **ლიტვა.**

სპეციალისტების შეფასებით, ევროპელები კუჭისა და ნაწლავების კიბოთი დაავადების რისკჯგუფში არიან. ამერიკის ონკოლოგთა საზოგადოების მონაცემებით, საფრთხე ემუქრება ყველა მამაკაცს, რომლებიც დღეში, სულ ცოტა, ორ ალკოჰოლურ სასმელს მიირთმევენ, და ყველა ქალს, რომლებიც დღეში ერთი ასეთი სასმელით კმაყოფილდებიან.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, კუჭ-ნაწლავის დავადებით გარდაცვლილთა დაახლოებით მეოთხედი ალკოჰოლური სასმელის ბოროტად გამოყენების შედეგად მოკვდა.

# თურქეთის პოლიციამ «ემნისტი ინტერნეიშენალის» განყოფილების ხელმძღვანელი დააკავა

**ეს ფაქტი მსოფლიო პრესის განსჯისა და აღშფოთების საგნად იქცა გასული ათი დღის განმავლობაში და შავ შლეიფად ჩაჰყვა ერდოღანს G20-ის ჰამბურგის სამიტზე.**

ღონისძიება, რომელზეც განიხილავდნენ უფლებადამცველ ჯგუფებს შორის ინფორმაციის გაცვლის საკითხებს, გაიმართა სასტუმროში, რომელიც სტამბოლის მახლობელ ერთ-ერთ კუნძულზე მდებარეობს. პოლიცია შეიჭრა სასტუმროს ნომერში და 12 ადამიანი დააპატიმრა, „ემნისტი ინტერნეიშენალის" თურქეთის განყოფილების ხელმძღვანელის **იდილ ესერის** ჩათვლით. დაკავებულთა შორის შვიდი უფლებადამცველი ჯგუფის წევრია, აგრეთვე, ორი უცხოელი ინსტრუქტორი გერმანიიდან და შვედეთიდან. დაპატიმრებულია სასტუმროს მფლობელიც.



რა მიზეზით დააპატიმრეს შეხვედრის მონაწილენი, ჯერჯერობით უცნობია.

## ეს უნდა გვახსოვდეს

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბუნებითად კანონი ყველასათვის ერთნაირი დავალებაა, ერთნაირი უფლება და, როცა იგი ერთს ერთნაირად ექცევა და მეორეს სხვანაირად, მაშინ იგი სხვა არა არის რა, თუ არ რჯულად შექმნილი უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე“.**



# წყევლაკრულვიანი საკითხავი

## დღეს დიდ კაცთან სამართალი რომ გაგივიდეს, საკმარისია, მართალი იყო? ჩვენს ეპოქაში ქართველ ერსა და სახელმწიფოებრიობას გადარჩენის რა შანსი აქვს?

„დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი?!“ — კრილოვის ცნობილი იგავის — „მგელი და კრავის“ შეგონება ყველა დროის პროგრესული საზოგადოების წინაშე წყევლაკრულვიან საკითხად იდგა. ამ საკითხის სიმწვავე ილიამ მთელი სიგრძე სიგანით იმთავითვე გაიაზრა და ხმა აღიმაღლა ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ. მისი პოზიცია, რომ კანონი ყველასთვის უნდა კანონობდეს, მკვეთრად გამოხატა თავის ერთ-ერთ საგაზეთო წერილში, რომლის დაწერაც ერთმა კონკრეტულმა შემთხვევამ უკარნახა.

ილიას აზრით, „იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდპატარაობას, მაღალმდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ“; კანონის წინაშე თანასწორობის დაცვა წესიერი საზოგადოების ჩამოყალიბების ქვაკუთხედია და ამიტომაც ეს თანასწორობა გასაფრთხილებელი და დასაცველიაო.

დღევანდელი მსოფლიოც ძალიან შორსაა სრულყოფისგან, მაგრამ შედარებით უფრო სამართლიანია, ვიდრე კრილოვისა და ილიას ეპოქებში იყო. ყოველ შემთხვევაში, გვინდა, გვჯეროდეს, დიდისა და პატარის კონფლიქტისას სამართლიანობის შანსი რომ გაცილებით მეტია, მაგრამ ჩნდება კითხვები — ჩვენს ეპოქაში დიდ კაცთან სამართალი რომ გაგივიდეს, საკმარისია, მართალი იყო?

უფრო მეტიც: დღეს საქართველოს სწორედ ბეკეკასავით ექცევიან. მამა-მარჩენალი ოკეანის გაღმიდან როგორც გადაწყვეტს, ყველაფერი ისეა: დროდადრო თავზე ხელს გადაგვისვამენ, ხან დაგვტუქსავენ, ხანაც შეგვაქებენ, ჯერ გაგვიწყრებიან, მერე დაგვიყვავებენ... ასეთ სიტუაციაში ქართველ ერსა და სახელმწიფოებრიობას გადარჩენის რა შანსი აქვს?

აი ესაა დღეს ჩვენთვის წყევლაკრულვიანი საკითხავი.

## ილია ჭავჭავაძე: კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია

**კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება.**

იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდპატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ. რაკი ერთისათვის ერთი კანონია და მეორესათვის — მეორე, კანონი ჰკარგავს თვის უდიდეს მნიშვნელობას საყოველთაო მფარველობისას და შემწეობისას, რადგანაც თვის მადლს და თვის მსჯავრს ერთნაირად ვერ მოჰფენს ყველასა, ვინც კი მისკენ მიიმართება გაჭირების დროს. **ბუნებითად კანონი ყველასათვის ერთნაირი დავალებაა, ერთნაირი უფლება და, როცა იგი ერთს ერთნაირად ექცევა და მეორეს სხვანაირად, მაშინ იგი სხვა არა არის რა, თუ არ რჯულად შექმნილი უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე.**

ვერა, **წესიერად მოწყობილი მოქალაქური ცხოვრება ვერ შეიფერებს ამისთანა უსწორმასწორობას** უიმისოდ, რომ თვით ზედ არ გადაეგოს, პირქვე არ დაემხოს და ამიტომაც არ არის ქვეყანაზედ არც ერთი იმისთანა განათლებული სახელმწიფო, საცა ყველას თანასწორობა კანონის წინაშე დედააზრად, სათავედ არ ედვას ყოველს კანონმდებლობას, ყოველს რჯულიერებას. რუსეთის სახელმწიფოშიაც ეს თანასწორობა ყველასი კანონის წინაშე ცხადად გამოთქმულია. განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე II განსამართლების რჯულდებამ ეს თანასწორობა მტკიცე საფუძველზედ დააყენა რუსეთის იმპერიაში და აწ არსებული და მომქმედნი კანონები ყველას ერთგვარად და განურჩევლად უქადიან მფარველობას და შემწეობასა.

**თუმცა რჯულიერება კანონის წინაშე ეგრე გვასწორებს ყველასა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონ ცხოვრება, რომელსაც ჯერ ვერ აღმოუფხვრია ძირიანად ძველნი ზნენი და წადილნი, ჯერ კიდევ ეურჩება კანონს და დიდი ჰბედავს შებღალვას პატარის უფლებისას მარტო იმ აზრით, რომ მე დიდი ვარ და ის პატარაო.**

ამ მავნებელის ზნის აყოლა მიეტევება გაუნათლებელს კაცსა, იმისთანა კაცსა, რომელსაც არ ესმის, რომელსაც ჯერ ვერ მიუგნია, რა დიდი მადლია ქვეყნისათვის, კაცთა საზოგადოების ბედნიერად ცხოვრებისათვის თანასწორობა კანონის წინაშე. ხოლო არ მიეტევება მას, ვინც გარეგანის ნიშნებით მაინც საგულისხმოა, რომ სწავლაში ყოფილა, განათლების შუქი ცოტად თუ ბევრად მოჰფენია და თვის საზოგადოებაშიც იმისთანა მდგომარეობა აქვს, რომ მოეთხოვება სამართლიანი მართებული ქცევა ყველგან და ყველას წინაშე, დიდი იქნება თუ პატარა.

ყოველივე ეს გვათქმევინა ერთმა შემთხვევამ, რომელიც დღეს ახალს ამბებშია დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. ერთი იმერელი მოსამსახურე გაუგზავნია თავის პატრონს ფაეტონის მოსაყვანად. დიდხანს ჰცდილა ეს მოსამსახურე, მრავალს მეფაიტონეებს შეჰხვეწნია, მაგრამ არავინ გამოჰყოლია. ბოლოს, როგორც იყო, უშოვნია ფაეტონი. იქაც მახლობლად მდგარა სამი სამხედრო წოდების კაცი, ერთს მათგანს უბრძანებია მოსამსახურის მიერ დაჭერილ მეფაიტონესათვის, მე წამიყვანეო, მოსამსახურე უარზედ დამდგარა, ძლივძლივობით ვიშოვე ფაეტონი, ჩემი დაჭერილია და ვერ დაგითმობთო. სამხედრო წოდების კაცს ბევრი აღარ ულაპარაკნია, ფაეტონი წაურთმევია, დაუძახნია პოლიციელისათვის და უბრძანებია, ურჩი მოსამსახურე სადმე გამაცალეო.

ამისთანა ძალმომრეობა ხშირია ჩვენში, მაგრამ იშვიათად გამომჟღავნდება ხოლმე. სამართლამდე რომ მიაღწიოს ამ საქმემ, რასაკვირველია, ამ ძალმომრეობას, მარტო დიდპატარაობისა და მაღალ-დაბალობაზედ დაფუძნებულს, თავისი შესაფერი მსჯავრი დაედებოდა, მაგრამ საწუხარო ეს არის, რომ დიდმა იცის, პატარა ამაებს არ გამოუდგება და დანაშაული შერჩება დამნაშავესა. უსათუოდ ამისთანა ბოლოც ექმნება ამ საქმესა: მოსამსახურე არ იჩივლებს და ეს ამბავი ჩაილურის წყალს დალევს. ჩვენ კი არ შეგვეძლო ხმა არ ამოგვეღო ამ საგანზედ.

**კანონის მიერ მონიჭებული თანასწორობა საჯარო უფლებაა, ერთნაირად კუთვნილი ყველასი და მაშასადამე, ერთნაირად ძვირფასი ყველასათვის.** ამიტომაც იგი თანასწორობა ერთნაირად გასაფრთხილებელია, ერთნაირად საქომაგებელი, ერთნაირად დასაცველი, თუ კაცს ცოტა რამ ამ ქვეყნიერობისა შეუგნია და სიყვარული წესიერობისა და რიგიანობისა გულს ჩასახვია. დარღვევა ამნაირის თანასწორობისა თვითეულის ჩვენგანის უფლების დარღვევაა და ამიტომაც საქებურია გულწყრომა იმისი, რომელმაც ეს ამბავი გვაუწყა ჩვენ გაზეთში დასაბეჭდად და სამართლიანია იგი გულამღვრევაც, რომელიც ამის მოამბეს უგრძვნია ამ ამბავის მოხდენის დროს.

ეგ თანასწორობა, ეგ საჯარო უფლება რომ დაუსჯელად ილახებოდეს, მაშინ ვერავინ კარშიაც ფეხს ვერ გამოჰყოფდა, რადგანაც პატარას დიდი არ დაელევა და დიდს კიდევ უფრო დიდი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ კაცთა საზოგადოება ცნობიერთა არსებათა კრებას კი არ წარმოადგენდა, არამედ შავის ტყის ნადირთა გროვას, საცა ვინც ძლიერია, მართალიც ის არის. ჩვენდა სასიამოვნოდ, ამისთანა ამბებს აწ არსებულნი კანონები არ იწყნარებენ და სანატრელია, რომ არც ამ ზემოხსენებულს შემთხვევაში შეიწყნაროს.

## მეგობრობა გზად და ხიდად

**ვიქტორ ვიქტორის ძე გოლცევი ქართველი მწერლების დიდი მეგობარი იყო. იგი გახლდათ ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქტორი; როგორც რედაქტორსა და კრიტიკოსს, მას დიდი წვლილი მიუძღვის რუს მკითხველთა შორის ქართული ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში. იგი შესანიშნავად იცნობდა საქართველოს ისტორიას, ეროვნულ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, ბევრს მოგზაურობდა საქართველოში, შექმნა წიგნი-ნარკვევი სვანეთში მოგზაურობის შესახებ. ავტორია რამდენიმე წიგნისა და 50-ზე მეტი სტატიისა ქართული ლიტერატურის შესახებ; საგანგებო ნაშრომები მიუძღვნა შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ეგნატე ნინოშვილის, გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძის... შემოქმედებას. ამ უკანასკნელთან ვიქტორ გოლცევს დიდი მეგობრობაც აკავშირებდა. ისინი ერთად მუშაობდნენ ქართული პოეზიის ანთოლოგიის (რუსულ ენაზე) შედგენაზე. გოლცევი 1936 წელს მოსკოვში გამოცემული ტ. ტაბიძის „რჩეულის“ რედაქტორიც გახლდათ. გთავაზობთ ამონარიდებს მათი მიმოწერიდან, როგორც ნიმუშს საუცხოო მეგობრობისა და თანამშრომლობისა.**

## ვიქტორ გოლცევი: ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი მეგობრობა საუკუნოა

* „ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი მეგობრობა საუკუნოა ანუ, სანამ პირში სული გვიდგას, ურღვევი და მტკიცე იქნება.

როგორც ადრე შეგატყობინეთ, ა. ფადეევი თქვენი შემოქმედებითი საღამოს მოწყობის მომხრეა...

მაშასადამე, შევთანხმდებით თებერვლის მეორე ნახევარში თქვენი საღამოს მოწყობის თაობაზე...“ *(ვიქტორ გოლცევი);*

*** „...ტფილისში მუდამ ჩემთვის სასიხარულო თქვენი წერილი დამხვდა... რა შესანიშნავია, მოსკოვში ქართული პოეზიის ასეთი დიდი საღამო რომ იმართება, პროგრამა გადმომცეს და მოსკოვიდან გამოგზავნილი დეპეშაც, დიდად, დიდად მოხარული ვარ, რომ გახსოვართ. ულრმესი მადლობა ასეთი მეგობრობისთვის... ანთოლოგია თითქოს ყველას აინტერესებს, მეტისმეტად დაკავებულ და საქმიან უწყებებსაც, მაგრამ საქმით კი არაფერი კეთდება. ყოველ შემთხვევაში აქნობამდე“** *(ტიციანი);*

* „ძვირფასო ტიციან!

ძალზე მესიამოვნა ჩემი საყვარელი თბილისიდან თქვენი და ნინო ალექსანდრეს ასულის ხმის გაგონება, იმწუთას ბორის ალექსანდრეს ძეს დავურეკე, კვლავ გაგიხსენეთ თქვენ. ვილაპარაკეთ ქართულ პოეზიაზე. ჩვენს მუშაობასა და მეგობრობაზე.

გუშინ კი პავლე ანტოკოლსკიმ ქ. გორკიდან ჩამოსვლისთანავე ჩვენთან შემოიარა და თქვენი „სამშობლოს“ თარგმანი წაგვიკითხა, რომელიც, ჩემი და იულიას აზრით, ძალზე კარგადაა შესრულებული.

როგორც ადრე ტელეფონით შეგატყობინეთ, სერგეი სპასკი ამთავრებს მუშაობას თქვენს „ამუნდსენზე“ და რამდენიმე ლირიკულ ლექსზე. ვფიქრობ, არც ის გაგვიცრუებს იმედებს.

მაგრამ, ძვირფასო ტიციან, სასწრაფოდ გამოაგზავნეთ თარიღები და ავტობიოგრაფია, თუ გინდათ, რომ წიგნში მოვათავსოთ“;

*** „ეს წუთია, მივიღე თქვენი წერილი და მინდა, სასწრაფოდ გიპასუხოთ. ავტობიოგრაფია ცოტა გვიანდება, მაგრამ ამ დღეებში უთუოდ გამოგიგზავნით. ვაჟა-ფშაველას წიგნი თუ გამოვიდა? თუ „ქართველ ლირიკოსებზე“ რაიმე დაიწერა ან დაიბეჭდა გაზეთებში, რომლებიც თბილისამდე ვერ აღწევს, ძალიან გთხოვთ, გამომიგზავნოთ“;**

* „ძვირფასო ტიციან!

თქვენ იცით, როგორ გვიყვარხართ და გაფასებთ. შინ გლანძღავთ მასალების დაგვიანებისათვის, მაგრამ გამომცემლობებში, რასაკვირველია, თქვენს საქმეებზე ვხლაფორთობ. საწარმოო სექტორს ვემუდარე, შემდეგ... შევუთანხმდი წიგნში დამატებით თქვენი ავტობიოგრაფიის შეტანის შესახებ, რომელსაც წინასწარ გადავამუშავებ. როგორც იქნა, თქვენი ავტობიოგრაფიის წიგნის ბოლოს მოთავსების ნება დამრთეს — შემცირების, ციტატების და ზედმეტი დეტალების ამოღების ხარჯზე. ახლა რედაქტორის ხელში უნდა გაიაროს. ყველაფერი ეს იანვარში უფრო ადვილი გასაკეთებელი იქნებოდა.

ტირაჟი ჯერჯერობით ისევ 5 ათასია, მაგრამ ამაზეც მოვილაპარაკებ...“

**ქართლ-კახეთის მეფემაც ომში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა, ოლონდ იმ პირობით, თუ რუსეთი საქართველოში დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა. სოლომონ პირველი ომში ჩაება. ის ფიქრობდა, რუსეთის ჯარის დახმარებით დაემორჩილებინა იმერეთის ურჩი მთავრები და თავადები, დაებრუნებინა თურქების მიერ მიტაცებული ქართული მიწები და საბოლოოდ განედევნა საქართველოდან ოსმალო დამპყრობლები. ერეკლე მეორე იმედოვნებდა, რუსეთის დახმარებით დაებრუნებინა ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-ჯავახეთი, დაემორჩილებინა ჭარ-ბელაქანი და აღეკვეთა ლეკთა თარეში.**

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო

**იმერეთის სამეფო ტახტზე ასულ სოლომონ პირველს (1735-1784) ენერგიული ბრძოლა მოუხდა ოსმალო დამპყრობლებისა და ქვეყნის შიგნით არსებული ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ. ახალგაზრდა მეფემ რუსეთის მთავრობისგან დახმარების მიღება სცადა. ამ მიზნით 1764 წელს მან თხოვნით მიმართა ალექსანდრე ბაქარის ძეს, რათა მას რუსეთის იმპერატორთან ეშუამდგომლა. 1766 წელს კი სოლომონ მეფემ, როცა თურქები იმერეთში შემოიჭრნენ და მეფემ თავი მოდინახეს ციხეს შეაფარა, ყიზლარის კომენდანტს აცნობა, რომ სრული დამარცხების შემთხვევაში რუსეთს გაემგზავრებოდა. მეფე მას სთხოვდა, რომ ეკატერინე მეორეს პასუხი ეცნობებინა ქართველი არქიმანდრიტ გრიგოლის მეშვეობით, რომელიც მაშინ ოსეთში მისიონერად იყო. გარკვეული დროის შემდეგ, სოლომონის თხოვნით, თვით არქიმანდრიტი გრიგოლიც გაემგზავრა ყიზლარში, რათა რუსეთის მთავრობას მისთვის თურქეთის ხელისუფალთა წინაშე ეშუამდგომლა.**


ერეკლე II


სოლომონ I

ეკატერინე მეორეს მთავრობამ კონსტანტინოპოლელ რეზიდენტ ა. ობრესკოვისგან სათანადო ინფორმაცია მიიღო თურქ ხელისუფალთა დამოკიდებულებაზე იმერეთის სამეფოსადმი. ობრესკოვმა შეატყობინა, რომ თურქეთის მთავრობა შეშფოთებული იყო იმერეთთან ბრძოლების წარუმატებლობით: საკუთარ ძალთა რაოდენობრივი სიჭარბის მიუხედავად, თურქეთმა სიამოვნებით მიიღო ერეკლე მეორეს შუამავლობა სოლომონ პირველთან. **თურქები დათანხმდნენ სოლომონის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე მხოლოდ ერთი პირობით, რომ იმერეთის მეფეს ძველებურად ეხადა ხარკი, ე.ი. ყოველწლიურად 60 ასული გაეგზავნა. თავის მხრივ, თურქეთი იმარეტს, ქვეშევრდომად კი არა, სულთნის პროტექტორატის ქვეშ მყოფ სახელმწიფოდ გამოაცხადებდა.** რუსეთის რეზიდენტი ყურადღებას მიაქცევდა იმ ფაქტს, რომ თურქებს განსაკუთრებით ეშინოდათ საქართველოს საქმეებში რუსეთის ჩარევის და თანხმობა განაცხადეს ერეკლე მეორესა და იმერეთის მეფის კავშირზე.

მიუხედავად თურქეთთან დაზავებისა, სოლომონ მეფეს კარგად ესმოდა, რომ იმერეთისთვის აუცილებელი იყო თურქი დამპყრობლებისგან საბოლოოდ თავის დახსნა და ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა. ამიტომ იყო, რომ 1768 წლის ივნისში, რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავებისას, რუსეთში განსაკუთრებული რწმუნებით გაიგზავნა ქუთაისელი **მიტროპოლიტი მაქსიმე აბაშიძე**.

**ცნობისთვის: მაქსიმე II (აბაშიძე) გახლდათ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1776-1795 წლებში; ქუთათელი ეპისკოპოსი მიტროპოლიტის ხარისხით 1759-1781 წლებში; ენერგიულად იბრძოდა ტყვეებით მოვაჭრე თავადთა წინააღმდეგ, ზოგიერთს უკანვე გამოასყიდვინა ოსმალებისათვის მიყიდული ქართველები. 1777 წელს გურიისა და ოდიშის მთავრებს დააბრუნებინა მითვისებული საეკლესიო მამულები, აღადგინა საეპისკოპოსოები, აღკვეთა საკათოლიკოსო მამულების გაცემა მეფის მოურავებსა და მოხელეებზე. დასაფლავებულია კიევ-პეჩორის ლავრაში.**

როცა ეკატერინე მეორეს კარზე იმერეთის ელჩის ჩასვლა გაიგეს, სათანადო განკარგულება გასცეს, რომ ელჩი სასწრაფოდ პეტერბურგს გაეგზავნათ. მიტროპოლიტ მაქსიმეს ელჩობის წევრი არქიმანდრიტი ყიზლარიდან უკან გააბრუნეს და თან გააყოლეს პორუჩიკი ქობულაშვილი (ხვაბულოვი).

ხვაბულოვს ევალებოდა იმერეთში არსებული ვითარების გარკვევა და სოლომონთან მოლაპარაკება. საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ ყიზლარის კომენდანტისადმი გაცემულ განკარგულებაში ეწერა, რომ ახლა თურქეთთან დაწყებული ომის პირობებში ქუთაისის მიტროპოლიტის ჩამოსვლა დროული იყო.

სოლომონ პირველი ეკატერინე მეორეს სახელზე გაგზავნილ სიგელში იმერეთის რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებასა და სამხედრო თუ სხვა მატერიალურ დახმარებას მოითხოვდა. მეფე აღნიშნავდა, რომ **თორმეტი წელია, თურქებს ებრძვის. ამ ხნის განმავლობაში თურქები შვიდჯერ შემოიჭრნენ მის ქვეყანაში და მუდამ დამარცხებული გარბოდნენ.**

ეკატერინე მეორეს მთავრობა რუსეთ-თურქეთის ომში მიზნად ისახავდა შავი ზღვის სანაპიროს დაპყრობასა და იქ თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვებას. რუსეთს თურქეთთან ომში ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას თურქეთის ბატონობის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანების ბრძოლას ანიჭებდა. რუსეთის მთავრობამ მოწოდებით მიმართა ბალკანელ და კავკასიელ ქრისტიანებს, რომ იგი „იძულებულია", ებრძოლოს თურქეთს „ქრისტეს სარწმუნოებისათვის". უფრო მოგვიანებით, ეკატერინე II დიდი კმაყოფილების გრძნობით სწერდა ვოლტერს, რომ მან თურქეთს ოთხივე მხრიდან შეუტია: დუნაიდან, ყირიმიდან, მორეიდან და საქართველოდან. ამგვარად, რუსეთი გეგმავდა თურქეთის წინააღმდეგ ქრისტიანი მოსახლეობის აჯანყებას ბალკანეთში და საქართველოს ომში ჩაბმას, რათა თურქეთის ძალები კავკასიაში შეებოჭა. როცა ეკატერინე მეორეს კარზე თურქეთის წინააღმდეგ საქართველოს მონაწილეობის საკითხს იხილავდნენ, რწმენა გამოთქვეს, რომ იმერეთის მეფე ამ ბრძოლაში ჩაებმებოდა, მაგრამ ერეკლე მეორის მონაწილეობას საეჭვოდ თვლიდნენ: ქართლ-კახეთის სამეფო თურქეთზე დამოკიდებული არ იყო და, რუსი პოლიტიკოსების აზრით, ერეკლე არ მოისურვებდა თურქეთთან განხეთქილებას.

1769 წლის მარტში ყიზლარიდან სოლომონ პირველთან დაბრუნდა არქიმანდრიტი, რომელსაც პორუჩიკი ქობულაშვილიც ახლდა. სოლომონმა განუცხადა მას, რომ თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის დამხმარე ჯარს მიიღებდა. თავისი მხრიდან ის ოცი ათასი კაცის გამოყვანას კისრულობდა. სოლომონ პირველმა კანცლერ ნ. პანინისგან მიღებული წერილი ერეკლე მეორეს გაუგზავნა, ხოლო 26 მარტს თვით ქობულაშვილი გაემგზავრა თბილისს.

**ერეკლემ სათანადოდ შეაფასა შექმნილი ვითარება: მან გაითვალისწინა ის, რომ რუსეთი თურქეთს უკვე ეომებოდა, ხოლო ირანი, მისი აზრით, ოსმალეთის დასუსტებისა და მის ხარჯზე ქართლ-კახეთის გაძლიერების წინააღმდეგი არ უნდა ყოფილიყო. ფორმალური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ირანი, მართალია, ერეკლეს თავის ვასალად თვლიდა, მაგრამ ოსმალეთის წინაშე ყოველთვის როდი აგებდა პასუხს „გურჯისტანის" მოქმედებაზე. სუსტი ირანისთვის ამ დროს წაყრუების პოზიცია უფრო მომგებიანი იყო. ყოველივე ამან ხელი შეუწყო თურქეთის წინააღმდეგ ყველა ქართული სამეფოს გაერთიანებული გამოსვლისთვის პირობების მომზადებას.**

**ქართლ-კახეთის მეფემაც ომში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა, ოლონდ იმ პირობით, თუ რუსეთი საქართველოში დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა. სოლომონ პირველი ომში ჩაება. ის ფიქრობდა, რუსეთის ჯარის დახმარებით დაემორჩილებინა იმერეთის ურჩი მთავრები და თავადები, დაებრუნებინა თურქების მიერ მიტაცებული ქართული მიწები და საბოლოოდ განედევნა საქართველოდან ოსმალო დამპყრობლები.**

**ერეკლე მეორე იმედოვნებდა, რუსეთის დახმარებით დაებრუნებინა ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-ჯავახეთი, დაემორჩილებინა ჭარ-ბელაქანი და აღეკვეთა ლეკთა თარეში.**

1769 წლის 21 მაისს თბილისში სოლომონ პირველი ჩამოვიდა. ქართველი მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. მათ ხვაბულოვს კონკრეტული წინადადებები წაუყენეს და პეტერბურგში ელჩების გაგზავნა გადაწყვიტეს.

ერეკლე **ა. ანდრონიკაშვილს** აგზავნიდა, სოლომონი კი — **დ. კვინიხიძეს**. უკვე გაჩაღებული რუსეთ-თურქეთის ომის ფონზე პეტერბურგში თავისი დიპლომატიური საქმიანობა გაშალა მიტროპოლიტმა მაქსიმემ. ის ეკატერინე მეორეს მთავრობას სათანადო ინფორმაციას აწვდიდა და იმერეთში რუსეთის ჯარის გაგზავნას ითხოვდა.

ამის შემდეგ ეკატერინე მეორეს მთავრობამ გადაწყვიტა იმერეთში ოთხასკაციანი სამხედრო რაზმისა და ზარბაზნების გამოგზავნა, ხოლო საგარეო საქმეთა კოლეგიამ თავისი ოფიციალური წარმომადგენლის, თავად **ანტონ მოურავოვის** გამოგზავნა, რომელიც ვახტანგ მეექვსის დროს რუსეთში გადასახლებული ართხანმოურავების შთამომავალი იყო.

1769 წლის აგვისტოში ყიზლარიდან საქართველოსკენ გამოემართნენ სპეციალურად შერჩეული სამხედრო ნაწილები 480 კაცის შემადგენლობით. აგვისტოს დამლევს ასკაციანი ავანგარდი, ტოტლებენის მეთაურობით, დარიალის გზით აღმოსავლეთ საქართველოში შემოვიდა. გენერალმა დაუყოვნებლივ აცნობა ერეკლე მეორეს თავისი ჩამოსვლა, რუსეთის ჯარის გავლის ნებართვა ითხოვა და პირისპირ შეხვედრა შესთავაზა.

1769 წლის 29 აგვისტოს სოფელ ხოდასთან ერეკლე ტოტლებენს შეხვდა. მოლაპარაკების დროს ერეკლემ თურქეთთან ომში მონაწილეობასა და სოლომონ პირველისთვის დახმარებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ იმ პირობით, თუ რუსეთის მთავრობა ხუთიათასიან დამხმარე ჯარს გამოუგზავნიდა. უკიდურეს შემთხვევაში, თუ დაზამთრებამდე გაჭირდებოდა ამ ჯარის მთლიანად გამოგზავნა, 1500 ჯარისკაცი მაინც უნდა ჩამოსულიყო. ამასთან ერთად, ქართლ-კახეთის მეფე საარტილერიო საქმისა და სასარგებლო წიაღისეულის ამოღების ორგანიზაციისთვის სათანადო სპეციალისტებს მოითხოვდა. ტოტლებენმა ერეკლე დაიმედა, რომ დაზამთრებამდე 1500 ჯარისკაცს მიიღებდა, დანარჩენ საკითხებზე კი რუსეთის მთავრობასთან შუამდგომლობას შეჰპირდა.

ეკატერინე მეორე თურქეთის წინააღმდეგ ომში ერეკლეს მონაწილეობით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო. რადგანაც კავკასიის ფრონტზე სოლომონ პირველის ძალები საკმარისი არ იქნებოდა, 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინემ განკარგულება გასცა, რომ საქართველოში რუსეთის 3700 მეომარი გამოეგზავნათ.

26 სექტემბერს ტოტლებენი თავისი რაზმით იმერეთის საზღვრებს მოადგა, სადაც მას სოლომონი შეხვდა. 3 ოქტომბერს იმერეთისა და რუსეთის ჯარებმა **შორაპნის ციხეს** ალყა შემოარტყეს. ამ დროს სოლომონ პირველმა იმერეთში თურქების შემოჭრის ცნობა მიიღო. მეფე იძულებული გახდა, მათ განსადევნად წასულიყო, შორაპანთან ტოტლებენი დარჩა.

ოქტომბრის ბოლოს ტოტლებენის რაზმი ცხინვალში გაჩერდა: მან აუცილებლად ჩათვალა დამხმარე ჯარის მოყვანის თაობაზე თავისი დანაპირების შესრულება და მოზდოკს გაემგზავრა. მალე იქიდან საქართველოში დაბრუნდა ჯარის დამატებითი ნაწილით.

**1770 წლის თებერვალში საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარი უკვე 1228 კაცს ითვლიდან. 30 აპრილისთვის კი, როცა მოზდოკიდან საქართველოსკენ დაიძრა სპეციალურად გამოყოფილი ტომსკის პოლკი, მასში 2093 კაცი ირიცხებოდა.**

ერეკლე მეორე დარწმუნდა, რომ ეკატერინე მართლაც გზავნიდა საქართველოში ჯარს და თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. მისი გეგმით, გაერთიანებულ ძალებს უნდა დაერტყათ თურქთა ძირითადი დასაყრდენისთვის — ახალციხისთვის, შემდეგ მოესპოთ თურქთა მცირე გარნიზონები იმერეთში.

ტოტლებენმა, როგორც ჩანს, ეს გეგმა მიიღო.

14 აპრილს ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი სადგერში (ამჟამად ბორჯომის რაიონის სოფელი — რედ.) იდგა. ტოტლებენმა ერეკლეს შესთავაზა სადგერის ციხეში ჯარის ერთი ნაწილის დატოვება, ხოლო დანარჩენით ლაშქრობის გაგრძელება. ერეკლემ გზა განაგრძო ახალციხისკენ, მას სურდა, პირდაპირ ახალციხეზე გაელაშქრა და მოულოდნელად აელო იგი, ხოლო გზად არსებული აწყურის ციხისთვის გვერდი აევლო. მეფეს მიაჩნდა, რომ ახალციხის აღების შემთხვევაში აწყურის დამცველები ისედაც დაყრიდნენ იარაღს, რადგან ახალციხიდან მაშველის იმედი აღარ ექნებოდათ (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერეკლემ მაშინ სწორად გათვალა, ეს გამომჟღავნდა 1828 წლის აგვისტოში, როდესაც პასკევიჩმა ახალციხე აიღო, აწყურის დამცველები მეორე დღესვე დანებდნენ). ევროპულ სამხედრო სკოლა გამოვლილმა ტოტლებენმა ერეკლეს შეთავაზება იუარა, მას შეუძლებლად მიაჩნდა, ზურგში დაეტოვებინა ციხე, რომელსაც ოსმალები აკონტროლებდნენ. ერეკლე ბოლოს დათანხმდა გრაფს და 17 აპრილს ქართველებისა და რუსების ლაშქარი აწყურს მიადგა. 19 აპრილს ციხის დამცველებს ახალციხიდან გამოგზავნილი ოსმალებისა და ლეკების ჯარი მიეშველა. საფრთხე უკვე მოალყეებს ემუქრებოდა. შეშინებულმა ტოტლებენმა თავისი 1200-კაციანი არმია უკან გააბრუნა, ქართლში.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ებრაელებს არ ეშინიათ გლობალიზაციის, მიუხედავად იმისა, რომ მისი ავტორები თვითონ არიან. არ ეშინიათ იმიტომ, რომ ისინი გასამხედროებული კანონებით ცხოვრობენ. მათ არ ეშინიათ ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების, რადგან მას არასოდეს დაუშვებს ებრაელი ერი.

**ჩემი დღევანდელი წერილი ეხება პროფესორ დენიზა სუმბაძის სატელევიზიო გადაცემასა და გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას, რომლებშიც მან ფართოდ მიმოიხილა ეკლესიის როლი და ადგილი საზოგადოებაში, აგრეთვე, ნათელი მოჰფინა ქართველი ერის სამეფო დინასტიისა და ტახტის აღდგენის საკითხებს.**

# მეცნიერი ქალბატონი, რომელიც არ გაყიდულა დოლარებზე და შვილთან ერთად გოლგოთის გზას შეუდგა

## რატომ კრთის მასონიზმი, რატომ დახარჯა მილიარდობით დოლარი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მსოფლიოს ფარულმა ხელმა ანტისტალინური ისტერიის გასაჩაღებლად?

ქალბატონმა დენიზა სუმბაძემ, უდიდესმა მორწმუნემ, თეოლოგიისა და ფილოსოფიის უნიჭიერესმა მკვლევარმა, დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით ბრალი დასდო საქართველოს ეკლესიას ფარული გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებმაც გამოიწვია:

**პირველი. უცხოეთში გადახვეწილი მოქალაქეების სამშობლოში არდაბრუნების რჩევა**, წინააღმდეგ იმისა, რომ პატრიარქი ყოველთვის მოუწოდებდა გადახვეწილ მრევლს, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და განემტკიცებინათ ოჯახი;

**მეორე. პატრიარქის აღსაყდრების დღის გაუქმება,** რომელიც არა მხოლოდ ილია მეორის პატრიარქად კურთხევის აღნიშვნა იყო, არამედ ქართველი მრევლის კვლავ ეკლესიაში შებრუნების, მართლმადიდებლობის გადარჩენისა და აღორძინების დასაწყისიც;

**მესამე. პატრიარქის აღსაყდრებისა და საქართველოში მართლმადიდებლური წესით ცხოვრების დასაწყისის დღის ზეიმის ჩანაცვლება ებრაული დღესასწაულით — ხანუქათი**, რომელიც ებრაელმა ხალხმა აქ, თბილისში, ოპერის თეატრში უნდა იზეიმოს ყოველწლიურად;

**მეოთხე. გაურკვევლობა საკითხში — ჩვენს ქვეყანაში ჯერ ტახტი უნდა აღდგეს თუ დინასტია;**

**მეხუთე. არის თუ არა საქართველოს სამეფო დინასტია (ბაგრატიონთა) დავითიანთა ჩამომავლობის და ვართ თუ არა ქართველები ებრაელები და რატომ მაინცდამაინც ებრაელები.**

წიგნის თაროების დალაგებისას ჩემი მუდმივი დამხმარე და წიგნების ბეჭდური ვერსიის ამწყობი **ლელა სვანიძე** ჩემთან ერთად გულმოდგინედ არჩევდა წიგნებს, როცა თხელყდიანი მომცრო წიგნი გადმომაწოდა და მითხრა: „თქვენ ეს წიგნი, მგონი, წაკითხული არ უნდა გქონდეთ“. დავხედე წიგნს და წავიკითხე: **იმანო მეიმე. „ერთი ყველასათვის... ყველა ერთის წინააღმდეგ (სტალინი)“.** ვიფიქრე, რომ ეს წიგნი ჩემნაირი მოყვარულის დაწერილი იქნებოდა და ამიტომ არ მიმიქცევია ჯეროვანი ყურადღება. როცა ლელამ წიგნის გადათვალიერება დაჟინებით მთხოვა, პირველ გვერდს გადავავლე თვალი და... 150 გვერდი სულმოუთქმელად ჩავიკითხე. წიგნს თავფურცელზე ეწერა: „სტალინელ გრიშა ონიანს ავტორისგან. 1999 წელი“.

დავიწყე **იმანო მეიმეს** ძებნა, როგორც საზოგადოებაში, ისე ინტერნეტში. კვალს ვერ მივაგენი. წიგნს არც რედაქტორი ჰყავს და არც სტამბაა მითითებული. გამოშვებულია 1999 წელს. ახლა ეს პატარა წიგნი ჩემს ბიბლიოთეკაში ყველაზე ძვირფასია; სადაც უნდა წავიდე დასასვენებლად, ყველგან დამაქვს. სწორედ ამ წიგნიდან ამონარიდებით უნდა განვამტკიცო პროფესორ დენიზა სუმბაძის მეცნიერული კვლევის შედეგები, რის გამოც მკვლევარს ჯვარზე გაკვრას უპირებენ:

* „ისრაელის საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ებრაელთა ფსიქიკის ერთ-ერთი მახასიათებელი მათი გამორჩეული თვითმყოფადი მსოფლმხედველობაა. მათ შექმნეს და გაითავისეს სხვა ქვეყნებში, ასე ვთქვათ, „მშობლიურ უცხოეთში“ ცხოვრების მობილური კანონები, რომლებიც არასდროს ემთხვევა იმავე საზღვრებში მოსახლე მკვიდრი ერის ცხოვრებისეულ ნორმებს, რაც კიდეც განსაზღვრავს „მშობლიურ უცხოეთში“ მოსახლე ებრაელთა დამოკიდებულებას ქვეყნის სახელმწიფო თუ ნაციონალურ ინტერესებთან, აგრეთვე, აბორიგენ მოსახლეობასთან, ასევე, განსაზღვრავს მათ დამოკიდებულებას ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან და, საერთოდ, სამყაროსთან. ამდენად, უდავოა, რომ „მშობლიურ უცხოეთში“ მოსახლე ებრაელი სხვებზე მეტი სულიერი სიღრმის პიროვნებაა, იგი გაორებულია და ყოველთვის მობილიზებულია ამ გაორების დასამალავად. მისი იდეოლოგია „თავისიანებთან“ (ებრაელებთან) სხვაა, არაებრაელებთან — სხვა, რაც ჩემთვის უდავო და უეჭველია. მეტსაც ვიტყვი, „მშობლიურ უცხოეთში“ მოსახლე ებრაელები, ასე ვთქვათ, „გასამხედროებული“ სულის ადამიანები არიან, რომლებიც მზად არიან, დამალონ საკუთარი სახე და არ თქვან ის, რასაც ფიქრობენ.

ებრაელთა სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ „მშობლიურ უცხოეთში“ გადაბირებულ პირთა თუ სხვა ეროვნებად მონათლულ მზვერავ პოლიტიკოსთა მეშვეობით შეძლეს, დაებრმავებინათ ხალხები. მათ მეტიც შეძლეს... ასე ვთქვათ, „მშობლიურ უცხოეთში“ მოსახლე უდავოდ გენიალურმა ებრაელებმა, მასონებისა თუ სხვა მბრძანებლების სახით, თავიანთი უნიკალური ტალანტით შექმნეს და განახორციელეს „მსოფლიოს ათვისების“ პროგრამა, თავს მოახვიეს დანარჩენ კაცობრიობას ასიმილაციის, ნაციონალურ-პატრიოტული სულისკვეთების განელების თეორიულ-პრაქტიკული მოდელი; თავს მოახვიეს კაცობრიობას ის ეკონომიკური მოდელი, რომელიც ტრადიციულად ებრაელთა ინტერესების მატარებელია, რომელიც აკანონებს მათ ეკონომიკურ ძლევამოსილებას, შეუზღუდავ თავისუფლებასა და განამტკიცებს „მშობლიურ უცხოეთში“ მოსახლე ებრაელთა ჰეგემონიზმს სამყაროზე. ეს მაშინ, როცა „მშობლიურ უცხოეთში“ მოსახლე ებრაელებმა სწორედ ეროვნული რელიგიის თუ იდეოლოგიის წყალობით თავისი ერის შიგნით გააძლიერეს ნაციონალურ-პატრიოტული თვითშეგნება, შექმნეს გაებრაელების ყველა საჭირო პირობა და ნორმა“.



დენიზა სუმბაძე

**კერძო კაპიტალით საქართველოს დაპყრობის დღიდან ჩვენი პოლიტიკოსები კიდეც ამაყად და კიდეც შვებით გაიძახიან, რომ საქართველოდან გასულია მილიონზე მეტი ქართველი, რაც პატრიოტებისთვის უდიდეს ეროვნულ უბედურებას წარმოადგენს. როგორც მოგეხსენებათ, ქართველები, ბედის უკუღმართობით, დემოგრაფიულ უკიდურესობაში ჩავარდნილი მცირერიცხოვანი ერია, აქ კიდევ ერთბაშად მილიონზე მეტი დაკარგული ადამიანი, რაც ნიშავს იმას, რომ საქართველოში ქართველები უკვე უმცირესობაში ვართ**

ომის შემდგომ ქართველი მეცნიერების სტალინთან სტუმრობისას შავიზღვისპირა აგარაკზე ფართოდ მიმოიხილებოდა ქართველების ურთიერთობის საკითხები ძველ ცივილიზაციასა და უძველეს ხალხებთან, მაგრამ არც **ნიკო ბერძენიშვილსა** და არც **სიმონ ჯანაშიას** არსად უთქვამთ და დაუწერიათ ქართველებისა და ებრაელების ნათესაობის თაობაზე.

* „ბევრმა იცის, რომ ებრაული წეს-ჩვეულებით ბავშვი ებრაელად ითვლება, თუ დედა ებრაელია, ხოლო საერთაშორისო წეს-ჩვეულებით ბავშვი ებრაელად ითვლება, თუ მამა ებრაელია. ამ ორი წეს-ჩვეულების საფუძველზე ბავშვი ყველა შემთხვევაში შეიძლება იქცეს ებრაელად. ნუ შემედავებით, რადგან, სხვა ეროვნების დედებისგან განსხვავებით, მხოლოდ ებრაელ დედას აქვს ფსიქიკური საფუძველი, ანუ პრეტენზია იდავოს, იბრძოლოს ბავშვის ებრაელად აღზრდისთვის. ამდენად, ნურავის გაუკვირდება, თუ თანამედროვე სამყაროში, სადაც ჩამკვდარია ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება, შერეული ქორწინების შედეგად მოვლენილი პირმშო ყველა შემთხვევაში ებრაელად იქცეს“, — წერს იმანო მეიმე.

**ებრაელებს არ ეშინიათ გლობალიზაციის, მიუხედავად იმისა, რომ მისი ავტორები თვითონ არიან; არ ეშინიათ იმიტომ, რომ ისინი გასამხედროებული კანონებით ცხოვრობენ. მათ არ ეშინიათ ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების, რადგან მას არასოდეს დაუშვებს ებრაელი ერი.**

სწორედ ამაზე წერს იმანო მეიმე წიგნში:

*** „მშობლიურ უცხოეთში“ მოსახლე ებრაელებს, განსხვავებით დანარჩენი მოსახლეობისგან, ყოფა-ცხოვრების თუ სულიერი განვითარების სხვა მიმართულებები აქვთ. ამდენად, ებრაელებს არასდროს ეშინიათ ქვეყანაში ამორალური ატმოსფეროს გაძლიერებისა, რადგან ეს მოვლენა მათზე არავითარ უარყოფით გავლენას არ ახდენს და მე ვიტყოდი, პირიქით, არ იქნება გასაკვირი, თუ ვინმე არსებით განსხვავებას დაინახავს ისრაელისა და მის გარეთ მცხოვრებ ებრაელებს შორის“.**

რატომ კრთის მასონიზმი, რატომ დახარჯა მილიარდობით დოლარი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მსოფლიოს ფარულმა ხელმა ანტისტალინური ისტერიის გასაჩაღებლად?

* „აშინებთ თუ არა ებრაელებს დღეს რაიმე? დღეს, რა თქმა უნდა, არაფერი აშინებთ, გარდა „წარსულის გახსენებისა“. ეს სტალინიზმის გახსენებაა, სოციალურ-ეკონომიკური წყობილება აბსოლუტური უმრავლესობის, ანუ მკვიდრი ერის ინტერესებში. სტალინიზმი სახელმწიფოსა თუ საზოგადოების მოწყობის ის მექანიზმია, რომლის იდეოლოგიაზე აღზრდილ ადამიანებს ერთსულოვნად სწამდათ, რომ სამშობლოში დამკვიდრდებოდა თავისუფლება, სამართლიანობა და თანასწორობა. აქ, ალბათ, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, კერძოდ, იმას, რომ მკვიდრ ერებში მე ვგულისხმობ, როგორც ისტორიულ, ისე ახალ ერებს, ანუ ვგულისხმობ კაცობრიობის აბსოლუტურ უმრავლესობას, რომლის წინააღმდეგ დღესაც წარმოებს „ბრძოლა“. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ის მიგრაციული პროცესები, რომლებიც დღეს მიმდინარეობს მსოფლიოში, თავიდან ბოლომდე მიმართულია ერთი მიზნისკენ — დაირღვეს თანაფარდობა მკვიდრ ერსა და „ჩამოსახლებულთა“ შორის, ჩამოსახლებულთა სასარგებლოდ“.

**კერძო კაპიტალით საქართველოს დაპყრობის დღიდან ჩვენი პოლიტიკოსები კიდეც ამაყად და კიდეც შვებით გაიძახიან, რომ საქართველოდან გასულია მილიონზე მეტი ქართველი, რაც პატრიოტებისთვის უდიდეს ეროვნულ უბედურებას წარმოადგენს. როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ბედის უკუღმართობით დემოგრაფიულ უკიდურესობაში ჩავარდნილი მცირერიცხოვანი ერია, აქ კიდევ ერთბაშად მილიონზე მეტი დაკარგული ადამიანი, რაც ნიშავს იმას, რომ საქართველოში ქართველები უკვე უმცირესობაში ვართ.**

* „მეოცე საუკუნეში ებრაელთა ჰეგემონიზმის წინააღმდეგ ორი ისტორიული პიროვნება გამოვიდა — **სტალინი** და **ჰიტლერი.** გამოვიდნენ განსხვავებულად, სხვადასხვა ისტორიული მისიით. ჰიტლერმა ჩაიფიქრა და ნაწილობრივ განახორციელა ებრაელი ერის ამოჟლეტის გეგმა. სტალინმა ჩაიფიქრა და განახორციელა ებრაელთა სულიერი გაკეთილშობილება. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირში მცხოვრები ებრაელების უდიდესმა ნაწილმა იშრომა და იცხოვრა თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებით და ამ პრინციპების ერთგული გახდა. ნურავის მოეჩვენება უცნაურად, თუ სტალინის მიერ დედამიწაზე თავისუფლების, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების მცდელობა, რომლითაც სამყაროს გარკვეულ ნაწილზე დროებით შეწყდა ებრაელთა ჰეგემონიზმი, ებრაელთა მსოფლიო „ანტისაზოგადოებამ“ (მასონიზმმა — გრ. ონიანი) ეს არანაკლებ სახიფათოდ მიიჩნია, ვიდრე ჰიტლერის გეგმა მათი სრული ამოწყვეტის შესახებ“.

იმანო მეომე, რომელმაც ფსევდონიმით ყველასთვის მტკივნეული საკითხები წამოჭრა თავის წიგნში, უხილავია, მაგრამ ხილულია ქალბატონი დენიზა სუმბაძე, რომელიც არ შეუშინდა სიმართლის თქმას და ისტორიული წყაროების ძირფესვიანი დამუშავების შემდეგ ჭეშმარიტება გამოარკვია. ის, ზოგიერთი გამყიდველი მოღალატე მეცნიერი ქალბატონის მსგავსად, არ გაყიდულა დოლარებზე და შვილთან ერთად გოლგოთის გზას შეუდგა.

ზოგიერთი უვიცი და ისტორიაში ჩაუხედავი შეიძლება ქალბატონი დენიზას ღირსების დაკნინებას შეეცადოს, მაგრამ „მალე დადგება დრო, როცა ამ ნაგავსაც ისტორიისა და სამართლიანობის ქარი გადახვეტს“.

**სიმინდის დათესვა უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ნიადაგი თესლის ჩათესვის სიღრმეზე 10-12 გრადუსამდე გათბება. სიმინდი ითესება 70 სმ მწკრივთაშორისებით. ამასთანავე, თუ რომელი ჯიში ან ჰიბრიდი ითესება, სათესი უნდა დავაყენოთ შესაბამისი გამოთესვის ნორმაზე. სიმინდის ჯიშები: „აჯამეთის თეთრი“, „აბაშური ყვითელი“, „გეგუთური ყვითელი“ და „იმერული ჰიბრიდი“ უნდა დაითესოს ჰექტარზე 50 ათასი მარცვალი. მცენარეთა რაოდენობა მოსავლის აღებისას უნდა იყოს 42 ათასი, მარცვლებს შორის მანძილი თესვის დროს — 33 სმ.**

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# სიმინდის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია

დასასრული. დასაწყისი იხ. №24 (401)



## ნიადაგის დამუშავება

**სიმინდის მოსავლის გასადიდებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის დამუშავებას. ამ ღონისძიებამ უნდა უზრუნველყოს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა და გაუმჯობესება: უნდა აღადგინოს კოშტოვანი სტრუქტურა, ხელი შეუწყოს წყლისა და საკვების მომარაგებას, გაწმინდოს ნაკვეთი სარეველებისგან. ნიადაგის დამუშავების სისტემა შეხამებული უნდა იყოს ადგილობრივ პირობებთან — ჰავასთან, რელიეფთან, ნიადაგის ტიპთან და თესლბრუნვასთან.**

სიმინდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მზრალად დამუშავების სისტემას, ამიტომ დამუშავება უნდა განხორციელდეს ყველგან, სადაც კი რელიეფი და კლიმატური პირობები ამის საშუალებას იძლევა. მზრალად დამუშავების სისტემა ორი ღონისძიებისგან შედგება: **ნაწვერალის აჩეჩვა** და **მზრალად ხვნა**. ნაწვერალის აჩეჩვა მოსავლის აღებისთანავე ტარდება 4-8 სმ სიღრმეზე. ის ხელს უწყობს როგორც სარეველების მოსპობას, ისე ნიადაგის თვისებების გაუმჯობესებას. აჩეჩვას დიდი მნიშვნელობა აქვს მზრალად ხვნის ხარისხიანად ჩასატარებლად. ნაწვერალის ჯერ აჩეჩვა და შემოდგომა-ზამთარში სრულ სიღრმეზე ხვნა სიმინდის მოსავლიანობას მნიშვნელოვნად ადიდებს; კერძოდ, ნაწვერალის აჩეჩვის შედეგად სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე 2-3 ცენტნერით იმატებს, ხოლო ურწყავ პირობებში — 4-6 ცენტნერით.

მზრალის თესვისწინა დამუშავების სისტემა გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს. ადრე გაზაფხულზე ნიადაგი უნდა დაიფარცხოს კბილებიანი ფარცხით ხნულის გარდიგარდმო; თუ ხნულზე სარეველები განვითარდა ან ნიადაგმა პირი წაიკრა, დაუყოვნებლივ უნდა ჩავატაროთ კულტივაცია ან აოშვა 10-12 სმ-ზე. სიმინდისთვის საუკეთესო პირობები იქმნება ისეთ მზრალზე, რომელიც ადრე გაზაფხულზე დაიფარცხა და თესვის წინ დამუშავდა კულტივატორით. ეს უზრუნველყოფს როგორც სარეველების მოსპობას, ისე ტენის შენარჩუნებას.

რაც უნდა მცირე ქანობის იყოს ფერდობი, მასზე ხვნა აუცილებლად გარდიგარდმო უნდა ჩატარდეს. **ძლიერ დაქანებულ ფერდობზე, ჭარბტენიან ფართობებზე მზრალად ხვნა სასურველ შედეგს არ მოგვცემს.** ასეთი ნაკვეთები გაზაფხულზე რაც შეიძლება ადრე უნდა მოვხნათ. დასავლეთ საქართველოში ნასიმინდარი უნდა მოიხნას არა შემოდგომაზე, არამედ ზამთარში — ნოემბრიდან თებერვლამდე.

## ნიადაგის განოყიერება

სიმინდის ნიადაგის განოყიერების საუკეთესო საშუალება ორგანულ-მინერალური სასუქები. ასეთ შემთხვევაში ერთდროულად ვიყენებთ სხვადასხვა ორგანულ და მინერალურ სასუქს. სიმინდის გასანოყიერებლად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული საშუალება: ნაკელი, მწვანე სასუქი, მინერალური სასუქი, ხოლო მჟავე ნიადაგებზე მათ გარდა — კირი, ტკილი, დეფეკაციური ტალახი და კირის შემცველი სხვა სასუქები. **გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ სასუქების შეტანის წელს სიმინდის მოსავალი ჰექტარზე მხოლოდ ნაკელის გამოყენებით (20 ტ/ჰა) 3 ცენტნერით გადიდდა. ნაკელზე ფოსფორის დამატებით — 6,1 ცენტნერით, ხოლო, ნაკელი+აზოტი+ფოსფორით — 10,7 ცენტნერით. ორგანული და მინერალური სასუქების ერთობლივად გამოყენება საუკეთესო საშუალებაა სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისთვის.** მწვანე სასუქად აღმოსავლეთ საქართველოში უნდა გამოვიყენოთ ცულისპირა, ბარდა, ცერცველა. ისინი უნდა დაითესოს საშემოდგომო ხორბლის ან ქერის შემდეგ, სანაწვერალოდ. ნაკვეთი მოსავლის აღებისთანავე უნდა მოიხნას, ჩაუტარდეს კულტივაცია და თესვა შუა აგვისტოს არ უნდა გადავაცილოთ.

დათესვისთანავე ნაკვეთი ფრთხილად უნდა მოირწყას, ამით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ 15-20 ტ/ჰა მწვანე მასა, რომელიც მზრალად მოხვნის დროს ჩაიხვნება.

**მწვანე სასუქის მოქმედება გრძელდება 3-4 წელს. ამ ხნის განმავლობაში მიღებული მარცვლის ნამატი, ჯამში, 45 ცენტნერს აჭარბებს ჰექტარზე.** ეს ღონისძიება დიდ ხარჯს არ მოითხოვს; რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ მწვანე სასუქად უნდა გამოვიყენოთ ხანჭკოლა, ცულისპირა და ბარდა. სიმინდის გასანოყიერებლად აუცილებელია აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები.

## თესლის მომზადება და თესვა

უნდა დაითესოს სიმინდის მხოლოდ დარაიონებული ჯიშები და ჰიბრიდები. თესლი ჯიშური სიწმინდით უნდა იყოს პირველი კატეგორიის, სრული თესვითი ღირსებით — პირველი კლასის. სათესლედ შერჩეული უნდა იქნეს ჯიშისა და ჰიბრიდისთვის დამახასიათებელი საღი ტიპური ტაროები და თესვამდე 30-35 დღით ადრე უნდა დაიფშვნას, გაიწმინდოს და დახარისხდეს თესლის საწმენდ მანქანაში.

დათესვამდე თესლი უნდა შეიწამლოს ერთ-ერთი რომელიმე პრეპარატით (ფუნგიციდით): რაქსილი, ვიტავაქს-200 და სხვ. პრეპარატის ხარჯვის ნორმა — 2 კგ ერთ ტონა თესლზე. შეწამლვა უნდა ჩატარდეს წყლის სუსპენზიით (2 კგ პრეპარატი უნდა გაიხსნას 10 ლიტრ წყალში, მოსხურდეს ერთ ტონა თესლზე და კარგად აირიოს ნიჩბით). შეწამლული თესლი დათესვამდე უნდა ინახებოდეს იზოლირებულ, მშრალ საცავში.

სიმინდის დათესვა უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ნიადაგი თესლის ჩათესვის სიღრმეზე 10-12 გრადუსამდე გათბება. სიმინდი ითესება 70 სმ მწკრივთაშორისებით. ამასთანავე, თუ რომელი ჯიში ან ჰიბრიდი ითესება, სათესი უნდა დავაყენოთ შესაბამისი გამოთესვის ნორმაზე. სიმინდის ჯიშები: „აჯამეთის თეთრი“, „აბაშური ყვითელი“, „გეგუთური ყვითელი“ და „იმერული ჰიბრიდი“ უნდა დაითესოს ჰექტარზე 50 ათასი მარცვალი. მცენარეთა რაოდენობა მოსავლის აღებისას უნდა იყოს 42 ათასი, მარცვლებს შორის მანძილი თესვის დროს — 33 სმ; ადგილობრივი „კაჟოვანა ყვითელი“ და „თეთრი“ უნდა დაითესოს ჰექტარზე 55 ათასი მარცვალი. მოსავლის აღების დროს უნდა იყოს ჰექტარზე 45 ათასი მცენარე, მარცვლებს შორის მანძილი — 30 სმ, ჰიბრიდები: „ენგური“, „ქართული 52“, „ივერია 70“, „წეროვანი 1“ და „წეროვანი 3“ უნდა დაითესოს ჰექტარზე 75-80 ათასი მარცვალი, მოსავლის აღების დროს უნდა იყოს 60-65 ათასი მცენარე, მარცვლებს შორის მანძილი — 18-22 სმ. „ქართული 9“ უნდა დაითესოს ჰა-ზე 80 ათასი მარცვალი, მარცვლებს შორის მანძილი — 27 სმ, მოსავლის აღების დროს ჰა-ზე უნდა იყოს 70 ათასი მცენარე. სათესის დისკები უნდა დაყენდეს თესვის წინ, რათა თესვა ნორმალურად ჩატარდეს.

## ნათესის მოვლა

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ნათესის მოვლის ღონისძიებების ადრე დაწყებისა და მაღალხარისხიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად, მით უფრო, თუ ნიადაგი თესვის დროს თესლის ჩათესვის სიღრმეზე მშრალია, ნათესი უნდა მოიტკეპნოს ნაჭდევებიანი საგორავით.

მწკრივთაშორისების პირველი კულტივაცია უნდა ჩატარდეს სიმინდის მცენარის 3-4 ფოთლის ფაზაში, მეორე კულტივაცია — პირველი კულტივაციიდან 12-15 დღის შემდეგ, რომელსაც უნდა დავუკავშიროთ ნათესის გამოკვება აზოტიანი სასუქით. სარწყავ პირობებში მეორე კულტივაცია უნდა შეიცვალოს მწკრივთაშორისების დაბაზოებით, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ნათესის მორწყვას.

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე, თუ თესვისას ნიადაგი გამომშრალია და თესლის აღმოცენებისთვის საკმარისი ტენი არ არის, დათესვისთანავე უნდა ჩატარდეს რწყვა. სარწყავი დროებითი არხები, ნაკვეთის რელიეფის გათვალისწინებით იჭრება სათესის 3-4 გავლის შემდეგ მარკერის ხაზზე, კვლების დაჭრა აადვილებს ნათესის კულტივაციას.

სიმინდის სავეგეტაციო მორწყვა ტარდება ამინდის პირობებისა და მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სარწყავ მიწებზე სიმინდი 3-4 მორწყვას საჭიროებს. ერთი მორწყვა, როგორც წესი, ტარდება ქოჩოჩის ამოღების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, უკანასკნელი მორწყვა — რძისებრი სიმწიფის ფაზაში. მორწყვა უნდა ჩატარდეს გაჟღენთვის წესით, ყველა მწკრივთაშორისებში წყლის მიშვებით.

## სარეველებთან ბრძოლა

ფესურიანი და ფესვთნაყარი სარეველების (შალაფა, ჭანგა) წინააღმდეგ სიმინდის წინამორბედი კულტურის მოსავლის აღებისთანავე, ნაწვერალი უნდა აიჩეჩოს 8-10 სმ სიღრმეზე და სარეველების 15-20 სმ სიმაღლის ფაზაში (აგვისტო), შესხურდეს რომელიმე ერთ-ერთი მთლიანმოქმედი პესტიციდი: რაუნდაპი, კლინი, ნოკდაუნი — 3-4 ლ/ჰა; ურაგანი 4-6 ლ/ჰა ან ვალსაგინაფი 3-5 ლ/ჰა. აღნიშნული პესტიციდები ნიადაგის მზრალად მოხვნამდე მოქმედებს არა მხოლოდ სარეველების მიწისზედა ორგანოებზე, არამედ სპობს ფესურებსაც.

სიმინდის ნათესში შეიძლება გამოვიყენოთ ჰერბიციდები: „ტიტუსი“, „მაისი-50“ გრ/ჰა-ზე, ან „ნიკუში“ 1,-1,5 ლ/ჰა. აღნიშნული ჰერბიციდები შეტანილი უნდა იქნეს სიმინდის მცენარის 3-5 ფოთლის ფაზაში. ისინი მოქმედებს, როგორც ერთწლიან, ისე მრავალწლიან მარცვლოვან სარეველებზე (შალაფა, ჭანგა, ძურწა, ბურჩხა და სხვ.). ნათესში ორლებნიანი სარეველების გავრცელების შემთხვევაში მას უნდა დაემატოს 2,4-დ ამინის მარილი ან რომელიმე მისი ანალოგი. პესტიციდები უნდა გაიხსნას 200-300ლ წყალში და შესხურდეს მზიან, წყნარ ამინდში.

## მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლა

ისევე როგორც სარეველა მცენარეები, სიმინდს ყოველწლიურად აზიანებენ მავნებლები და დაავადებები, რომლებიც ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნისას მრავლდებიან.

სიმინდის ძირითადი მავნებლებია: აზიური, ანუ გადამფრენი კალია; იტალიური კალია; მავნე ანუ კუდკალია; მახრა ანუ ბოსტანა; ველის ჭრიჭინა; ქართული ტკაცუნა; სიმინდის ზოზინა; მაისის ღრაჭა; შემოდგომის ნათესის ხვატარი; მდელოს ხვატარი; სიმინდის ჭიჭინობელა; ზოლებიანი ჭიჭინობელა; სიმინდის ბუზებიანი ბუგრი. სიმინდის ნათესების დასაცავად გამოიყენება სხვადასხვა სახის ინსექტიციდები, აკარიციდები და ფუნგიციდები.

## მოსავლის აღება

სიმინდის მოსავალი აღებული უნდა იქნეს სრული სიმწიფის ფაზაში. სრულ სიმწიფეში შესული სიმინდის ღერო თითქმის მთლიანად (ან უმეტეს ნაწილში მაინც) გაყვითლებულია, ფოთლებისა და ტაროს ირგვლივ შემოხვეული ფუჩეჩიც გაყვითლებული და, ძირითადად, გამხმარია.

მწიფე სიმინდის მარცვალი იღებს ჯიშისა და ჰიბრიდისთვის დამახასიათებელ ფერსა და ფორმას, მაგრდება და მტკიცედ არის დამაგრებული ტაროზე. ტარო (განსაკუთრებით გრძელყუნწიანი) ნაწილობრივ იხრება და შედარებით ადვილად სცილდება ღეროს.

თავთავიანი პურეულებისგან განსხვავებით, დამწიფებული სიმინდის ღერო, ტაროს ნაქუჩი და თვით მარცვალიც შედარებით უფრო მეტი წყლის შემცველობით ხასიათდება. სრული სიმწიფის პერიოდში მარცვალში წყლის რაოდენობა, როგორც წესი, 25%-ზე ნაკლები არ არის, ზოგჯერ კი 30%-საც აჭარბებს.

სიმინდს მარცვლის ჩაცვენა არ ახასიათებს, მიუხედავად ამისა, დამწიფების შემდეგ მოსავლის აღების დაგვიანება არ არის მიზანშეწონილი, ნალექებით მდიდარი შემოდგომის პირობებში ამან შეიძლება გამოიწვიოს როგორც ჩალის, ისე მარცვლის გაფუჭება — დაავადება და მათი ხარისხის გაუარესება. ამასთანავე, ძნელდება მათი შემდგომი გამოშრობა და შენახვა.

სიმინდის მოსავლის აღების დაგვიანება მიუღებელია იმიტომაც, რომ ეს იწვევს ნასიმინდარის მოხვნის დაგვიანებას; განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებშიც სიმინდი საშემოდგომო ხორბლის ან საშემოდგომო ქერის წინამორბედს წარმოადგენს. ამას თან სდევს საშემოდგომო თავთავიანებისთვის (ხორბალი, ქერი და სხვ.) ნიადაგის მომზადებისა და მათი დათესვის დაგვიანება.

მოსავლის აღების პერიოდში სიმინდის მარცვლის ტენიანობა, უმეტეს შემთხვევაში, 25%-ზე ნაკლები არ არის. ასეთი ტენიანი მარცვლები შენახვისას ჩახურების გამო ადვილად ზიანდება, ამიტომ შენახვამდე საჭიროა სიმინდის ტაროებისა და მარცვლის კარგად გამოშრობა — ფუჩეჩგაცლილი ტაროები უნდა გაიშალოს თხელ ფენად, სანამ მარცვლის ტენიანობა 13-14%-მდე არ იქნება დაყვანილი.

სიმინდის ტაროები უნდა შევინახოთ ძარებში, სპეციალურ სასიმინდეებში ან კარგი ვენტილაციის მქონე შენობაში. სასიმინდეში ტაროების ხვავის სიმაღლე 1,4 — 2 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს, შენახვის მთელი პერიოდის განმავლობაში საჭიროა თვალყურის დევნება — ხვავის გაშლა, განიავება, მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ჩატარება და სხვ.

**ოთარ ლიპარტელიანი,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**



# აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკამ ევროპის ბიზნესასამბლეისა და ევროპის სამედიცინო ასოციაციათა გაერთიანების საპატიო ჯილდოები მიიღო



**2017 წლის 3 ივლისს ქალაქ ლუცერნში (შვეიცარია) გაიმართა ევროპის ბიზნესასამბლეის დაჯილდოების ცერემონია, რომელზეც კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი — აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი დაჯილდოვდა ევროპის სამედიცინო ასოციაციის, ოქსფორდის ბიზნესის გაერთიანების, სოკრატეს კომიტეტისა და შვეიცარიის ხარისხის ინსტიტუტის უმაღლესი ჯილდოებით — European Exllenece in Quality და Best Regional Healthcare Provider.**

ეს ჯილდოები იმის აღიარებაა, რომ აკად. ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრის სამედიცინო სერვისები ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. კლინიკა გახდა ევროპის სამედიცინო ასოციაციათა გაერთიანება EBA Global-ის ოფიციალური წევრი და მიენიჭა უფლება, ევროპული ხარისხის სიმბოლიკითა და ევროპის სამედიცინო ასოციაციათა გაერთიანების ლოგოთი ისარგებლოს.



მუდმივი დინამიკა, მუდმივი განახლება, მუდმივი პროგრესი კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სავიზიტო ბარათია.

# მოწიე და შეგერგება!

**უბედურია ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ყველაფერი იცის. დილეტანტი.
ასე უთქვამთ და ასეცაა.
უფრო მეტად უბედურია ადამიანი, რომელსაც დილეტანტები უფროსობენ.
ლოგიკურად ასეა.
ასეა ჩვენს საზოგადოებრივ პრაქტიკაშიც, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე რომელიმე მწვავე პრობლემას ეხება.**

მაგრამ არსებობს კი პრობლემა, რომელიც თეთრი და ფუმფულაა, როგორიც ქიშმიშიანი ფუნთუშა საცხობიდან დახლზე ეს-ესაა გასაყიდად გამოტანილი?!

ცდილობს, ასეთად შემოგვასაღოს მარიხუანის პრობლემა ე.წ. პარტიამ, რომელსაც თავისი სახელწოდებაც კი დამახინჯებულად აქვს წარმოდგენილი — „გირჩი“ და არა **„გირჩა“** (იხ. ენციკლოპედიური ლიტერატურა): „შიშველთესლოვანი მცენარეების სქესობრივი გამრავლების ორგანო“ (ქსე, ტ. III, გვ. 172).

აი, ეს „სქესობრივი გამრავლების ორგანო“ თუ „კოლექტიური თესლი“ ცდილობს, მარიხუანის მოხმარება, მოყვანა, გავრცელება საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის, ბიუჯეტის მილიარდობითი ზრდის საფუძვლად წარმოგვიდგინოს. იცის ეს ჩვენმა მკითხველმა და ელიმება, რადგან გონების ამგვარი გადაბრუნება „შიშველ გიჟებთან“ ასოცირდება.

ხომ გვეგონა, რომ მათმა რაციონალიზაციამ ჭირი მოგვჭამა — გადაძოვეს თიხის (თუ პლასტმასის) ქოთნებში გამოყვანილი მარიხუანის ჩითილები და „წავიდნენ, გაქრნენ სიზმრებლივ ჩქარად“.

შევმცდარვართ.

აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს მართვის ზოგიერთი ორგანო „შიშველთა“ ნარჩენი დეფორმაციისგან ვერ გათავისუფლებულა: ან უკვე გაუგორა კოჭი, ან აპირებს, დღეს და ხვალ თუ არა, ამ შემოდგომაზე — უეჭველად.

კერძოდ, განიხილავენ საკითხებს: აიკრძალოს პოლიციელების მიერ ნარკოტიკის მოხმარებაში საეჭვოდ მიჩნეული პირების ადგილზე შემოწმება. **ეს ერთი.**

და, **მეორე:** მარიხუანის ფლობის დაშვებული ნორმა განისაზღვროს წონით — 70 გრამი ერთ ადამიანზე.

ორივე ერთად კი ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციას. დაუჯდებათ ალჩუზე ქლესა კოჭი ნარკომანებს.

თავი დავანებოთ ფიგურალურ ჩუქურთმებს და მოვუსმინოთ სპეციალისტებს, რომლებიც გვაფრთხილებენ: **მწირი ნარკობიუჯეტის პირობებში, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ნარკომანიის სრულფასოვან პრევენციას, ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობას, მათ სოციალურ რეაბილიტაციასა და სხვა, ზემოთ დასახელებული ნორმების დაკანონება მთელი ქართველი ერის განარკომანებას შეუწყობს ხელს.**



პროფესიონალები, უწინარესად, ექიმი-ნარკოლოგები სრულიად გაუმართლებლად მიიჩნევენ ისეთი ნორმის შემოღებასაც, როცა ნარკოტიკის მოხმარება დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ დამამძიმებელ პირობებში, ვთქვათ, მაშინ, როცა ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი ადამიანი მართავს ავტომანქანას. სამწუხაროდ, გამოჩნდნენ ისეთი ნარკოლოგები, რომლებიც ასეთ მიდგომას საგანგაშოდ არ მიიჩნევენ.

სხვა დროსა და სხვა პირობებში მოქალაქის ნარკოდამოკიდებულებაზე შემოწმება, რაგინდ აშკარად ეტყობოდეს ნარკოტიკის გავლენა, პოლიციას აეკრძალება.

იხარე, საქართველო!

მეცნიერი-ექსპერტები გვისაბუთებენ, რომ მარიხუანის (ნედლი იქნება თუ გამომშრალი) ნარკოგენულ ეფექტს განსაზღვრავს მასში არსებული წამყვანი (სხვაც ბევრია) ნივთიერება ტეტრაჰიდროკანაბინოლი (ტჰკ).

2005 წლამდე ამ ნივთიერების ბუნებრივი შემცველობა მარიხუანაში 1-2 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა, დღეს ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) მონაცემებით, საბაზრო მარიხუანაში ტჰკ-ის შემცველობა მერყეობს 5-დან 28 პროცენტამდე. ამასთანავე, სელექციის გზით (არსებობს მინიშნებები) ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობა შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს. ასეთი პერსპექტივა დროზე შენიშნეს ნიდერლანდებში და ტჰკ-ის მაღალი პროცენტული შემადგენლობის მარიხუანა გაუთანაბრეს კოკაინს (იმ ნარკოტიკს, რომლის მოხმარება ნარკომანიის საფუძველთასაფუძველია).

გამომდინარე ზემოთქმულიდან, **მარიხუანის საფრთხე საზოგადოებისთვის არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მისი წონით, აუცილებელია ტეტრაჰიდროკანაბინოლის პროცენტული შემადგენლობის მითითება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული დოკუმენტის ამოქმედება უდიდეს ზიანს მიაყენებს საქართველოს საზოგადოებას.**

ასე მიიჩნევენ მეცნიერები, „გირჩისტები“ კი (და არა მხოლოდ ისინი) ჩვენს მიმნდობ საზოგადოებას ამ საწამლავს ცხვირში ისე ტენიან, როგორც სახედარს სურნელოვან პიტნას. ხოლო „თეთრი ხმაურის“ „სვეცკი“ ცნობადები მარიხუანის მოხმარებას ისეთ დაბალ დონედ მიიჩნევენ, ისეთ „ბანძობად“ და პროვინციალიზმად, რომელზეც ლაპარაკი რა საკადრისია!

სიტყვის თავისუფლებააო და ნებას რთავენ.

მაგრამ ხომ ცნობილია, რომ, სადაც იწყება სისხლის სამართლის კოდექსი, იქ მთავრდება „სიტყვის თავისუფლება“.

**არმაზ სანებლიძე**

# ოთარ ფაღავას გახსენება

**უკვე რამდენიმე წელია, ბათუმში ტრადიციად იქცა ჩემპიონატის ჩატარება ხელბურთში, ჩემპიონატისა, რომელიც ყოფილი ხელბურთელის, ნაღდი ბათუმელის, უანგარო და სუფთა ადამიანის — ოთარ ფაღავას ნათელ ხსოვნას ეძღვნება.**

სამი წლის წინათ მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ღირსეული პატივი მიგვეგო ოთარის ხსოვნისთვის. გავითვალისწინეთ რა მისი, როგორც აჭარის ხელბურთელთა ნაკრების საუკეთესო მეკარის, წარმატებები სპორტის ამ სახეობაში, დავთქვით, რომ ჩემპიონატი ყოველწლიურად 1 ივნისს გაიხსნებოდა.

სასიხარულოა, რომ ჩემპიონატის მესამე წელს მის ორგანიზებაში წვლილის შეტანის სურვილი გამოთქვეს ქალაქ ბათუმის მერიამ, ბათუმის კლუბმა BSB-მ („შავი ზღვის ბიჭები“), აჭარის ხელბურთის ფედერაციამ, აჭარის სპორტის დეპარტამენტმა. მათმა ერთობლივმა ძალისხმევამ უდიდესი შედეგი გამოიღო — ტურნირი საერთაშორისო დონის გახდა, ხოლო ოთარ ფაღავას სახელი უკვდავებას ეზიარა.

**მეგობრები**

# ქალაქ პალმას მერი — გერმანიას: შეწყვიტეთ «ნაგავი ტურისტების» გამოგზავნა!



**ესპანეთის კუნძულ მალიორკაზე მდებარე ქალაქ პალმას მერი გერმანელებს მოუწოდებს, შეწყვიტონ „ნაგავი ტურისტების“ გამოგზავნა, — იუწყება** Diario de Mallorca.

„ნაგავი, რომელსაც ისინი გზავნიან, კარგი არ არის“, — განაცხადა ერთი კვირის წინათ არჩეულმა ქალაქ პალმას მერმა ანტონი ნოგუერამ გერმანელ ტურისტებზე, რომლებიც შვებულებას კუნძულ მალიორკაზე ატარებენ და რომლებიც ერთმანეთს წაეჩხუბნენ. ანტონი ნოგუერას თქმით, ვერ წარმოუდგენია, რომ ესპანელი ტურისტებიც მსგავს რალაცებს სჩადიან ბერლინში.

# ბუნებრივი აირის ახალი ტარიფი მომავალ კვირას იქნება ცნობილი



**ბუნებრივი აირის ახალი ტარიფი მომავალი კვირის დასაწყისში, 17 და 18 ივლისს, გახდება ცნობილი. როგორც სემეკიდან იუწყებიან, მიმდინარე წლის 17 ივლისის საჯარო სხდომაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისთვის“ ბუნებრივი აირის ტარიფის დადგენის თაობაზე იმსჯელებს.**

18 ივლისს კომისია განიხილავს შპს „ყაზტრანსგაზ თბილისისთვის“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზისა“ და სს „საქორგგაზისთვის“ ბუნებრივი აირის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების დადგენის თაობაზე სემეკის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ პროექტებს.

როგორც სემეკ-ში განმარტავენ, კომისიის მიერ ტარიფებზე გადაწყვეტილებები მიღებული იქნება საჯარო სხდომებზე, რომლებზეც დასწრება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.


# ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894